

K 89
2

კან. ნათქაფი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლონდონ, მსოფლიო
ტვირთვა.

1921



ქართული ენის ენციკლოპედია

839.96 ზიგურაძის

გრიგოლ რობაქიძე

Handwritten signature

Handwritten signature

ცხვიანაშვილი
ლ.ა.

Handwritten signature

89.

ლონდა

Handwritten initials

მელუტრემ ლამარა

Handwritten signature



7058

386

გაფრდგე



ქართული
ბიბლიოთეკა

889
K 89
მ ნ ბ უ ე

ბი-

ანი.

Handwritten notes in the top left corner, possibly including the name 'მედიკალი' and a signature.



მოქმედნი:

მთავარი.

დედოფალი.

თამაზ ბატონიშვილი.

ოთარ მოშიარე.

ქურუმი.

ქადაგი.

მომბე.

ლონდა.

შეწირულები.

ხორო: შვიდი კაცი.

მასხები.

Handwritten initials or signature, possibly 'A-M'.

მთის კალთები. მალლობზე: ქვის სალოცავი
მცირეაზიული სტილით გამართული. კედლებზე
ახატულია: გრიფები — გველები — თევზფრინველები —
ყმათა და ქალწულთა ორგიული პროცესიები.
სალოცავის კარებთან დგანან შეწირულები ორი
მხრით. სალოცავს ჰფარავს ქრამუხა ათასწლოვანი.
მოსჩანს ერთი მხრით გადაკვეთილი უფსკრული.
მეორეთი: თვალუწვდენი ველები.
ქალებს სერავს დაკლებული მდინარე.
პეიზაჟში: დასიცხული თვლენა.
უმთავრესი ფერი: ყვითელი ძალზე.
მურები: ყარამფილისა და შიგა-აშიგ ხავსის.
ყამი მზის გადახრის.



ეროვნული

ბიბლიოთეკა

ეპოქა: წარმართობის ბოლო.

ადგილი: ძველი კოლხეთი.

დრამა იხსნება ხოროს ღირიული ამღვრებით.
ხორო მეტყველებს ცალკეული ხმებით. მხოლოდ
მეშვიდე პასაჟს წარმოსთქვამს ერთობილ.

დრამა ვითარდება მონუმენტალური პრიმიტივის
ხაზებში. ტემპო: თვლელმა მზეში. თვლელმა თანდათან
იღებს ქოლერული ტემპერამენტის ხასიათს. ამბავთა
თანდათან დართობით და გართულებით დრამის
ტემპო უფრო და უფრო ძლიერდება. ბოლოში
წყდება კატასტროფიულად. დრამის შენებაში:
პრინციპი „ორკესტრის“.

ხორო.

1. ასეთი სიცხე ჯერ არ ყოფილა.
2. ასეთს აღმურს არავენ მოსწრებია.
3. იწვის იდაგვის ქვეყანა.
4. ხვატის სისხლიანი თალხი
გადაებურა ატეხილ მხარეს.
5. მიწის მკერდებზე ფართოდ გაღარულან.
6. საშონი მიწისა იხეთქებიან თხრილებად.
7. ღმერთო გვიშველე.

ერთად. ღმერთო გვიშველე.

(პაუზა)

2. მდინარენი კლებულობენ თანდათან.
4. წისქვილები გაჩერდენ და არა იფქვის რა.
5. წყაროები შრებიან ყოველ დღე.
7. აღარ ციმციმებენ მათი ცინცხალი თვალები.
1. წყურვილით იხოცება ყოველი სულდგმული.
3. წდება უცნაურად სიპთა სისველე.
5. შეგვიბრალე უზენაესო.

ერთად. შეგვიბრალე უზენაესო.

(პაუზა)

1. ბუხები ხელდებიან და ცხარედ იკბინებიან.
5. ხარებს მოედვენ აწივილებული კრაზანები.
7. და გარბიან გარბიან კუდამოძუებულნი.
6. სისხლმორეული კამეჩები
ბულრაობენ გაბრაზებით.
3. კორიანტელი მტვერის ღრუბლებათ აბურთობა.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

2. ცხენთა ჯოგები ხელდებიან
და ხრამში იჩეხებიან.

4. ღმერთო შეგვიბრალე.

ერთად. ღმერთო შეგვიბრალე.
(პაუზა)

3. ბრაზდება სიცხე და ცოფდება ყოველი.

5. ძაღლებს დაუღიათ ხახა და
ტუჩებზე ცოფი ელორწებათ.

4. და გარბიან გარბიან ველად კუდდაშეგებულნი.

7. ზეგანს ბრაზიან ძაღლს ბავშები დაუკბენია.

1. ქელავენ ქელეშით ცოფმორეულნი.

2. ყვითურად ემღვრევათ იმათ თვალები.

6. ვაი ჩვენს შავ დღეს.

ერთად. ვაი ჩვენს შავ დღეს.
(პაუზა)

1. იწვის მიწის ავარვარებული სხეული.

3. ყანებს ლურჯი ტანი დაუშვიათ ლონთქოში.

5. დაზნექილ ყლორტებს ედებათ სიყვითლე.

6. სიმინდმა ვერ მოასწრო აყრა თაველის.

4. გულებში სიმინდს პეპელა გასჩენია.

2. პეპლები ცხვრებსაც თავში აღიტინებიათ.

7. რა გვიხსნის.

ერთად. რა გვიხსნის.
(პაუზა)

6. აღმურის ტანი დნება როგორც ყვითელი ბაია.

3. ვაზებს ეშრებათ ცრემლიანი სისველე.

5. გატიტვლებულნი იკეცებიან ლერწები.

7. მტევნების მარცკალნი აღარ სრულდებიან.

1. ქენება ფოთოლი: მწირდება ყოველი.

2. ხმება ხეხილი: კვდება ნაყოფი.

4. ნუ გაგვიმეტებ უზენაესო.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერთად. ნუ გაგვიმეტებ უზენაესო.
(პაუზა)

ყველანი. მზეო მზეო
ცხოველმყოფელო
ძლიერო სისხლიანო მაგარო
უცნაურო საშინელო
შენეღდი დაჰსცხრი
და მიეც შვებად
სისველე სინედლე მიწას.

(მილაგდებიან ხის ძირას. ჩურჩული: „ცოტა აგრილდა“ — „ეს ქვენა ნიავია“ — „შესაძლოა წვიმა მოვიდეს“. შემოდის ოთარ მოშაირე. დაახლოებით ოცდახუთმეტი წლის. შავგვრემანი. რუხი თვალები. მალალი.)

ოთარ. გამარჯვება თქვენ.

1. ოთარს გაუმარჯოს.
- მ. აქ რას აკეთებთ?!
2. ვუცდით საიდუმლო ცხადებას.
- მ. რა ცხადებას?!
3. ნუ თუ არ იცი:
მესამე დღეა რაც დიდი ქუროუმი
ლოცულობს ჩვენთვის.
უნდა შეიტყოს: თუ რას მოასწავებს
ჩვენს თავზე დატეხილი უბედურება.
- მ. რა უბედურება?!
4. აი ეს საშინელი გოლვა
რომელიც სდაგავს და სპობს ყოველსა.

ოთარ. ალბად უთუოდ გამოიცნობს.

5. განა მარტო მაგისტანა რამ გამოუცენია მას?

6. იგი განდევილია. იგი წმიდა კაცია.

7. იგი მუდამ ლოცულობს
და სხეულზე არ ფიქრობს სრულად.
თუმცა ხანდახან წმიდა მდინარეში
განიბანება ხოლმე.

ო. უცნაური ყოფილა.

1. ამბობენ ასი წლის არისო.

2. რატომ ორასის არა!
მისი დაბადება არავის ახსოვს.

3. საკმელად წმიდა ხეების
ცილებს ხვარობს უმეტესად.

ო. ჰგავს: ჯერ კიდევ მაგარი კბილები ჰქონია.

4. მარცვლებს სჭამს იგი წმიდა მცენარეებისას
და ოდეს საზვარაკო ცხოველი იწირება—
სისხლსა ხვრებს თბილსა მისას.

ო. როგორ ხვდება იგი ღვთის ცნაურს?!

5. ამბობენ:

სალოცავში ნახეთქი ყოფილა ერთი
რომლიდანაც შიშინი მოისმის იღუმალი.

ქურუმი ყურს უგდებს შიშინს
მხურვალე ლოცვით

და ასე ტყობილებს ნებას ღვთისას.
შეწირულებიც ამას იტყვიან.

(პაუზა)

ოთარ. ალბად ახლაც შიშინს უსმენს—არა?!

6. შენ, სულ მხიარულ გუნებაზე ხარ.

ო. რა მაქვს საჯავრო:

ქვეყანა დიდია და ლამაზი.



- 7. ქვეყანა იწვის და შენ მხიარულობ?!
 - ა. სიცოცხლე მზეა მწვავი და თუ სიცოცხლე გინდა...
 - 1 გოლვაც უნდა გიყვარდეს — არა?
 - ა. სწორედ რომ უნდა გიყვარდეს: როცა დიდი ამბავი ხდება — მზე ცხარდება ხოლმე.
 - 2. შენ შენსას არ იშლი: მუდამ შაირობ.
 - ა. სამყაროს სუნთქვა შაირია ცხელი.
 - 3. მოდი მოგვითხრე შენებური შაირი.
 - 4. მართლაც კარგს იხამ ოთარ.
 - 5. მოგვაქროლე სიგრილე სიტყვის.
 - 6. მოგვასხურე ხალისი ზღაპარის.
 - 7. დაგვიღბე სმენა ლამაზი თქმულებით.
 - ა. მართლაც საშინელი სიცხეა: და არც თავი მუშაობს.

ხმები. არა — არა: მოჰყევი უთუოდ.

- ა. მაშ კარგი. ისმინეთ. (პაუზა)

იყო მონადირე ლამაზი ყმაწვილი. ვერავენ შეუტევდა მის მკლავებს ჯერიანს. დნებოდა მისთვის მრავალი საცოლე. თვითონ კი დასდევდა ტევრებში ჯერიანს. და ერთხელ უეცრად როგორც სინდითფალა მას შემოეყარა ტყის დედოფალი.

ხმები. ვინ არის ვინ არის იგი დედოფალი?!

ოთარ. ტყის დედოფალი: არ იცით ვინ არის?!
 მაგარი. ავხორცი. ტევრების ასული.
 ტკბილია შეხვედრა მუდამ მომცინარის.
 მას ელის მონადირე საირმედ გასული.
 წითური თმები და მწვანე თვალები
 დასწვავენ მონადირეს სხვათერი აღებით.



ხმები. და მერე რა მოხდა?!

ოთარ. მივიდა დედოფალი. მოხვია ხელები.
ყმაწვილს აუარდა ტკბილი ქრუანჭელი,
მიენდო. მიენდო მღვრია გახელდებით.
სხეული მოელბო ვით რბილი სანთელი.
და უჩვეულო მწვაფი სიხარულით
შეჭფიცა ჯადოსანს ვაჟმა სიყვარული.
მაგრამ დედოფალმა მოუჭრა ფარულად:
მოკვდავთან არ შეცდე თუ გინდა სიხარული

ხმები. ნეტავ რით გაგძელდა?!

ოთარ. გაიჭრა მონადირე სრულებით ტყეველად.
ძალზე გაველურდა უცხოის გზნებაში,
და თითქო სიცოცხლის გადასანახველად
ხარბად იხჩობოდა ლამაზთან ვნებაში.
მაგრამ დედოფალი ვაჟს ძვირად ეგემა:
ტანზე შეხმა და თვალები აელამა.

ხმები. და სხვასთან არ შეცდა?!

ოთარ. ლამაზი იყო ყმაწვილის ძმის კვრივი.
ელალთვალეზიანი და წაბლისფერთიმიანი.
ათქვირებული და ტანით კვრივი
ჩაზღს ეტმანებოდა ის სხეულმზიანი.
მონადირეც გრძნობდა ატეხილ ცდენას
და ბეწვზე აკავებდა განზომილ თმენას.
მაგრამ როდემდის?! ერთხელაც საღამოს
როს ტანი მოელბო და ნება მოედუნა —
მიეცა ყმაწვილი ცდუნებას საამოს
და რძალს ახურებულს სურვილით მიენდო.
უთუოდ ტკბილი იყო ხვევნა და ზმანება:
ყმაწვილის გულში რომ არ იყო დანანება.

ხმები. და მერე და მერე?!

ოთარ. მონადირემ უკლო ტყვევლად სიარულს.
ძვირად ათქვამდა ჯიხვი ნათოფარი.
რძალთან ატარებდა დროს იგი მხიარულს.
მაგრამ ხსოვნას წვაედა ტყის დედოფლის
უცრად გაემართა იგი სანადიროთა
და წინ შემოეყარა მას შველი პირნოთა.

ხმები. შველი პირნოთა?!

ოთარ. შუბლზე აქვს ახატული ნამგალა მთოვარე
ჩლიქებს უკოცნიან ყვითელი ქვიშანი.
მას ელის მონადირე როცა მარტო არი:
იგია მისთვის საბედო ნიშანი.
უხარის ხატულასთვის კორდი და მდელიცა.
და გულში მისი აქვს დაცვა და შელოცვა.

ხმები. და მერე?! და მერე?!

ოთარ. და გაჰყვა მონადირე პირნოთას ტყისაკენ
რადაც უჩვეულო გუმანში გართული.
უცრად დაინახა ქათქათა რიყეზე
ტიტველი მუხლები თეთრად გაშხვართული.
ეს იყო დედოფალი. გაფითრდა ყმაწვილი.
ლამაზი აიღესა. დაგესლა გუნება.
უთხრა: მოკვდავ ქალში
თუ რისთვის გამცვალე.
ეხლა მე გიჩვენებ თუ რაა ცდუნება.
კლდეზე აიყვანა მალლა მონადირე.
უცხოდ უღიმოდა მაცდური ღიმილით.
გული მოიჯერა რომ ბევრი ატირა
და ტევრში გადაეშვა ავზორცი კივილით.

ხმები. ქვრივმა რაღა ჰქნა?!

ოთარ. დანალვლიანდა ქვრივი ჟღალთვალება.
აღარ უღიმოდა პირი მომცინარეს.

საყვარლის საძებრად შეჰკრიბა ქალები
და ტივით გაუდგა შაველა მდინარეს.
დაბურულ ქიმთან გაისმა ძახილი.
შუალამე იყო თეთრად გამთვარული.
და რა გაიგონეს იქ ქვრივის სახელი
ტივი შეაჩერეს და გამართეს არული.
ყმაწვილსაც მოედო შეხვედრის ალი და
თითქო მოთმინებას მახვილი დაესო:
მოსწყდა უბედური ციცაბო ნაპრალიდან
და ტივზე ქალის წინ უსულოდ დაეცა.
გულში ჩაეხვია რძალი ჟღალთვალემა.
შეჰკივლა მთოვარეს შუქთა მომფინარეს.
უკან გაისტუმრა დობილი ქალები.
თვითონ კი ტივით გაუდგა მდინარეს.
ამბობენ: რისხვა ქვრივს არ ეცილება.
დაეძებს დედოფალს რომ ჩასცეს მახვილი.
თუ შეხვდენ ერთმანეთს ტანალესილები —
ზღაპარი იქნება უთუოდ ახალი.
(პაუზა).

ხმები. ლამაზი ამბავია: ლამაზი.

1. — სიყვარულზე უტკბილესი
არა არის რა ქვეყანაზე.
2. მაგრამ იმავე დროს სიგიჟის თესლია იგი.
3. სიყვარული მრისხანეა ანთებული შურვილით.
4. სიყვარული ნიჭია საოცარი.
ყველას არ აქვს იგი მომადლებული.
5. რა აქნებოდა სოფელი
სიყვარული რომ არ ყოფილიყო?!
6. უდაბნო და ნაცარი.



7. სიყვარული ცდა არის საცნაური:
ვისთვის ამმადლებელი და
ვისთვის გამანადგურებელი.

ოთარ. სიყვარულში მართალია ყოველი სიტყვა
სიყვარულის თესლი გზნებაა სილამაზის.
ხოლო სილამაზეში ცდუნება იმალება.

შესაძლოა სიყვარულში
მაცდურობა უფრო გვათრობდეს.
სიყვარული შვებაა ახალი
საცა ღმერთი ცხადდება/
(პაუზა. შემოდის ლონდა. თმები შეკრული
აქვს უკან მორგვად. ფეხებზე: ქალამნები.
ტანზე: თეთრი ჭვირვალე მოლი. სჩანს კვარ-
თული ტანი ალესილი ხაზებით. ბაასი წყდე-
ბა. ზოგი ფეხზე დგება. ლონდა მოსხლეტით
შეჩერდება. გაოცება.)

ლონდა. ბატონიშვილი თამაზ
ჯერ კიდევ არ მოსულა?!

ხმები. არ მოსულა. ჯერ კიდევ არ მოსულა.

ლონდა. ჰო: ოთარ: შენც აქა ხარ?!

ოთარ. მეც მოველ საცნაურის შესატყობად.
თუმცა ქურუმი ძალზე აგვიანებს...

ლონდა. შენი შაირი ძალიან მომეწონა.

ოთარ კიდევ იქნება ათასი სხვა
ერთიმეორეზე უკეთესი.
ლოტოსის თეთრი გულის
წირვად და სალოცავად.

ლონდა. ხვალ სალამოს მდინარის პირას ვიქნები
ლოტოსების — საკრეფავად.
(პაუზა. ლონდა ოღნავ გაუღიმებს ოთარს.)

სხვებს არ უცქერის. გადის. ყველანი თეოს
აყოლებენ.)

1. ვინ არის ეს ქალი?!
2. ვინ არის ეს ქალი ლამაზი?!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ. იგი ლონდაა. ულამაზესი ყველა ქალთა შორის.

3. ვისი ასულია?! ან რომელი გვარის?!

ოთარ. არავინ იცის ვინ არიან მისი მშობელნი.
არცა ის იცის არავინ თუ რომელი გვარისაა.
თვითონაც არ იცის: როგორც გამიგია.

4. მაშ ციდან ხომ არ ჩამოვარდნილა?!
5. საოცარი ყოფილა.

ოთარ. ცოტა რამ მსმენია მისი წარმოშობის.
ზაფხულის ვნებაგამდნარ საღამოს
ზღვის პირას უნახავთ იგი ქვიშაზე მწოლარე.
ჯერ კიდევ ყმაწვილი სრულიად ლონთქოში.
ზღვამ თუ გამოისროლა ნაპირზე
უცხო სირენასავით.

ტანი ქვასავით მაგარი ჰქონია და კვრივი
და სურნელება ველური ყლორტების.
ერთს დიდს ოჯახს აუყვანია,
და იქ გაუზდიათ.

6. ეს ის ქალი ხომ არ არის
ხალხში რომ ჯადოსანს უწოდებენ?!
7. და რომლის ხილვით ვაუები ხელდებიან?!

ოთარ. იგია სწორეთ...

ჩაგესოთ გულში განა?!

1. მე უკვე გადავცილდი ვაუკაცობას.
2. კაი ხანია მეც ძვალი გაცივებული მაქვს.
3. ჩემს გულს დიდი ხანია ტრფიალი არ უგემნია.

ოთარ. სიყვარული სიბერეში მძაფრია უფრო.

4. ნეტავ თუ ვინმე უყვარს მას.

ოთარ. ვინ იცის?! თვითონ იგი კი მრავალს უყვარს.

5. არც გათხოვილია?!

ოთარ. ამბობენ: გაყოლას არც აპირებსო.

6. როგორ?!

ოთარ. ცოლობას ალბად ქალობა ურჩევნია.

7. შვილები ხომ არა ჰყავს?!

ოთარ. არც ერთი...

ამბობენ: არც ეყოლებათ.

უნაყოფოა.

3. უნაყოფო ქალი წყევულია.

5. უნაყოფო ქალი მაცდურია უფრო.

ოთარ. ავხორცობას შვილი არ უყვარს.

7. რა მოქნილი ტანი აქვს!

1. ყოველი ნაკვთი მისი ტანის

თითქო ქალია თვითონ.

ოთარ. მისი ათქვირებული მკერდი

მგოსნებს განგის მდინარესათვის უდარებიათ

რომლის ვალეშილ ტანზე

თეთრგულა ლოტოსები იშლებიან.

2. მაგ მგოსანთა შორის ალბად შენცა ხარ.

ოთარ. მე აგრერიგად ქალი არ მიყვარს. თუმცა...

4. იგი არ დადის. მას თითქო მიაქროლებენ.

6. თითქო კურჭელს უტკბილესი

სასმელით ავსილს.

ოთარ. მისი ტანის რხევა:

თითქო ჟინის ატეხილობა

ძვირად თუ რომელი ვაჟი უყვარს

მის ველურ სურნელებს.



2. თმები: თითქო სძილენძის ღელენი
მზის ტევრებით დაფერილნი.

თვალები: თითქო დიდრონნი საფარონნი
მუქი ლალებით ოდნავ აელვარებულნი

ოთარ.

ზეგანში ლონდა

ღმერთქალად მიუღიათ მწყესებს

და სურვილაშლილობით

უთაყვანებიათ იგი.

6.

ლონდას სიყვარულისათვის

სიკვდილიც ბევრს მოსწყურდებოდა.

ოთარ.

საცა გაივლის იგი —

იქ სიგიჟე ითესება ნამდვილი.

ერთი ყმაწვილი შეშლილა მისი სიყვარულით.

სოფელ სოფელ დადის და გაიძახის:

ღმერთქალი მყვარობსო.

მეორემ უიმედომ მდინარეს მისცა თავი.

მესამე სადღაც სხვა მხარეში გადაიკარგა.

7.

ქალებს არ უნდა უყვარდეთ იგი.

ოთარ.

ცოლებს ეზინიათ მისი და დედებს სძულთ იგი.

საოცარია მხოლოდ—

რომ ლონდა ბავშვებს უყვართ ძლიერ.

5.

ნეტავ ვინ არის ეხლა მისი რჩეული?!

ოთარ.

ალბად ყოველი ვისაც შეუძლია.

3.

როგორ? არ მესმის?!

ოთარ.

ვისაც ძალა აქვს და სილამაზე.

თუმცა ძღვევისათვის ორპირი ცდუნებაც უნდა.

ხმები.

სიყვარულის მესაიდუმლე ყოფილხარ.

5.

მაინც: ვის ასახელებენ ეხლა მის არჩეულად?!

ოთარ.

ალბად იმას ვინც ლონდამ აქ იკითხა.

ხმები. ბატონიშვილი თამაზ?! ბატონიშვილი თამაზ?!
(პაუზა. იწყება დენა ხალხის. მოდიან:
ქალები და კაცები. ყმაწვილები და
მოხუცები. მოდიან ჯგუფებად. უკელას
რაღაც შესაწირავი მოაქვს: ზოგს სანთელი.
ზოგს ხონჩა ხილებით. ზოგს დაკლული ცხო-
ველი. ზოგს თეთრი ძაფი. ზოგს ცხენის თა-
ვის ჩონჩხი. ძაფს სალოცავს გარს ახვევენ.
ჯგუფ-ჯგუფად მოუთხრობენ. თხრობაში ხა-
ხები მითოსის.)

1 ჯგუფი. შარშან ზაფხულს რომ
წითელი ხე გადაირია
ზანგელა ტანი ხურვალედ აელეწა
და სქელი ფოთლები
სისხლიან ნალებად გადაეშალა.
წითელი ხე შარშან თითქო რომ იწოდა.
რომელსაც დიდრონნი აღფრინველნი
გარს ეხვეოდენ:
ეს უკვე ნიშანი იყო საცნაური:
წელს დიდი გოლვა იქნებოდა უთუოდ.
რა გვეშველება?!

2 ჯგუფი. ამბობენ:
უთვალავი ლამურები გამოსულან.
გამოსულან საშინელ ბნელოვან გუნდებათ.
გადაშლილან ლამურები
კის თვალუწვდენელ სივრცეზე.
ერთი წამით მზე დაუბნელებიათ
ლამურებს ცხოველმყოფელი.
მზეც გახელებულა სისხლისმწოველი
და გვდაგავს ეხლა მრისხანე.
რა დააცხრობს ზვიადს?!

- 3 ჯგუფი. ბროწეულის ყოველი მარცვალი
მზის წვეთია უთუოდ წითელი.
ბროწეულის ფესვები უნდა საზღოობდნენ
შეწირული ცხოველის ცხელი სისხლით.
მზე უთუოდ დაცხრება მაშინ.
- 4 ჯგუფი. ერთი მთავარი გაგიჟებულა თურმე.
წლობით უგროვებია მას ცხენები:
სისხლის წვეთივით წითელი ცხენები.
უგროვებია ასობით ათასობით.
და გახელებული ცხენებით გავარდნილა
და უფსკრულზე გადაჩეხილა გაბრაზებული.
ამბობენ: მას აქეთ მზე საშინლად ცხარობსო.
რა შეანელებს გახელებულს?!
- 5 ჯგუფი. მზე გველი არის დიდი:
წითელი გველი რქანაყარი.
უნდა შეჰკრიბო წითელი გველების პერანგები:
უთვალავი გველების წითელი პერანგები—
და შემოახვიო პერანგები გარს სალოცავს.
მზე უთუოდ დაცხრება მაშინ.
(ამ დროს მასსაში უეცარი კივილი ავარდება)
- ხმები. ცხრამუხაში დიდმა გველმა გადაისრიალა!
ცხრამუხას წითელი გველი თავს გადაევლო!
(ერთი-მეორეს ეკვრიან. ისმის ბავშვების წი-
ვილი.)
- ხმები. მოჰკალით! მოჰკალით!
(ზოგი კიდევ გაემართება. მაგრამ უეცრად
შეირხვევა უძრავი შეწირული და ხალხს მი-
მართავს.)
- შეწირული. ხელი არ ახლოთ!
უბედურება დატრიალდება!
იგი წმიდა გველია!



ხმები. უუ... გველი უხამსი! მოჰკალით!

შეწირული. გეუბნებით: ნუ დაედევნებით!

უბედურება დატრიალდება!

როცა წითელი გველი

ცხრამუხის ტოტებში გადაირბენს —

მაშინ წმიდა ხის ფოთლები

იდუმალი შრიალით აშივილდებიან.

რჩეულს შეუძლია იმა შივილში

უცხო რამ ამოიციოს.

ხმები. უხამსი! ბილწი!

შეწირული. მხოლოდ ეს ხდება იშვიათად.

დიდი შუადღის ქამს:

როცა დედამიწას სუნთქვა შეეკვრის

სისხლიანი აღმურით

და ეს არის უნდა დასკდენ მისი მკერდები.

წითელი გველი მუხას მოევლება მაშინ თავს

და ტოტები მისი უცნაურად ახმაურდებიან.

ხოლო ეს ხდება ძალიან ძვირად.

ეხლა მზე დახრილია ძალიან.

ეს რალაც ნიშანი უნდა იყოს.

მე ეს არ მესმის...

ხმები. ნიშანი უბედურების! ნიშანი უბედურების!

ოთარ. რატომ უბედურების მაინცა და მაინც?!

ყოველი გველი არ არის უხამსი.

წითელი გველი მზის შვილია.

ამბობენ: თუ გველი შეიყვარე —


ცოდნას გაჩუქებსო.

ერთს მისანს თურმე მძიმე ძილში

ეპარებოდა ასეთი გველი:

ყურებს უკოცნიდა მას სივილა ენით

და სმენას იღუპალი ცოდნით უთრობდა.
როცა გაიღვიძებდა ქვეყანა მისთვის სხვა იყო:
უფრო ლამაზი და უფრო ყვავილნიანი.



ხმები. მოგონილია! ზღაპარია!

ოთარ. ყველაფერი მოგონილია!

ყველაფერი ზღაპარია!

(უეცრად მასსაში შეირხევა ქადაგი.

შუახნის. შემხმარი. თვალები ჟღალი.

მარცხენა თვალი ოდნავ შეწითლული:

წამოკუსული. იგრიხება. იკრუნჩხება.

გასცქერის სივრცეს გალენჩებით. მზერა:

აღმაცერა: ცალგვერდა. ხმა — ხმელი და მკვახე.

ხელში დიდი კომბალი.)

ქადაგი. ახლოვდება ჟამი იგი საშინელი.

შეირყევა მიწა და სიკვდილი მოიცავს ყოველს.

ხმები. ჰაა! ახლა ესეც თავს დაგვჩხავის

როგორც ყორანი.

ქადაგი. სიბილწე მოიცავს სულსა

და სიმრუშე დაიუფლებს სურვილს.

აღარ იქნება სუნთქვა კეთილი.

ვინაიდან სიავემ შეიპყრა ქვეყანა.

ხმა. ამ სიტყვში ყველაფერი ირევა ბრუდახვეული.

ქადაგი. ქალები ატყდებიან ჟინით დაუცხრომელით

და ვაჟები აედევნებიან მათ ნდომით ნადირისა.

იქნება იქნება წარყვნა აურაცხელი.

ხმა. ჭკუასთან ახლოა ქადაგის სიტყვა.

ოთარ. ხოლო ძველია იგი როგორც ქვეყანა.

ქადაგი. ქვეყანა შეიქმის ვით ორსული ქალი ბნედიანი

და ლორწომორეული გამოანთხევს იგი

ნაყოფსა საშოსა შიგან.

- ხმები.** საშინელია საზარელია სიტყვა მისი.
- ქადაგი.** სიკვდილის წყურვილი მოედება ყველას როგორც ბრაზიანი ნადირი.
ხალხი ადგება ხალხზე. ძმა — ძმაზე.
და დაიღვრის სისხლი ამდინარებული.
- ხმა.** ქეშმარიტად ირევა ქვეყანა.
- ქადაგი.** იტირე მიწავ:
რამეთუ აღსასრული შენი მოახლოვებულია.
- ოთარ.** ქვეყანას არ აქვს არც სათაური
და არც დასასრული.
აღსასრულს უხმობს იგი ვინც თვითონ იღუპება.
- ხმა.** ნამდვილად შეირყა ქვეყანა.
- ქადაგი.** ახლოვდება ჟამი იგი საშინელი.
შეირყევა მიწა და სიკვდილი მოიცავს ყოველს.
(ამ დროს მასსის რკალი გაირღვევა. შემოდინან: მთავარი. დედოფალი. ბატონიშვილი თამაზ. დარბაისელნი. მხედრები. სასახლის ახლონი: ქალნი და ვაჟნი. ერთს ჯგუფში ლონდაც მოსჩანს განზე. ქადაგის სიტყვა სწყდება. ხალხის ხმაური ნელდება. ყველანი ფეხზე დგებიან. მთავარი თავის ამალით დაიკავებს ცენტრალურ ალაგს. დუმილი. მთავარი დგება. მალალი. დაახლოვებით 50 წლის. მოკუმული ბაგე. რუხი თვალები. ცხვირი არწივული. სახე საერთოდ დიდი ნებისყოფის. მიმართავს ხალხს.)
- მთავარი.** დიდია სამთავრო ჩემი
და კეთილია ნაყოფი მისი.
ველები. ქალები. მთები. მდინარენი. ტყენი.
მიწა ნოყიერი და უხვი.



მაღალმუხლიანი სიმინდის ყანები
 ააქვირებული და დაკვირვებული ტაროებით
 სერების დაქანებებზე გადაშლილი
 ვაზის ზვარები
 დატვირთულები მაგარმაცვლიანი
 მსხვილი მტევნებით.
 ხულები სავსენი და მარნები მსუნთქავნი.
 ვეშაპებივით გაწოლილნი
 და პირდაღებულნი საწნეხელნი
 ხარბად ელოდებიან მუდამ ყურძენით ავსებას
 და ძის დაწურვას.
 კურთხეულია მიწა ჩვენი.

ხმები. კურთხეულია მიწა ჩვენი. კურთხეულია.

ხორც. მიწაო დედავ
 მშობელო მრავალსაშოიანო
 პოხიერო უხვო ნედლო სავსეო
 დათესლილო ღვთიური მადლით
 იყავნ კურთხეულ მარადის
 და ნურც გაშრებიან ჩვენთვის
 ერთგული მკერდები შენი
 მიწაო დედავ
 ტკბილო ქალწულო.

ხმები. კურთხეულია მიწა ჩვენი. კურთხეულია.

მთავარი. და იქნება იგი კურთხეულ მარადის.
 ცხინვარე მზიანია მხარე ჩვენი
 და მზის თესლებით იპოხებიან
 საშონი მიწისანი.
 ხოლო წელს უცნაურად გაგვიხელდა
 მზე ცხოველმყოფელი:
 სწავეს მიწის მკერდებს.
 სდაგავს მიწის ქუძუებს.
 მატულობს გოლვა და ნაყოფს ანადგურებს.
 სიცხით ირევა სულიერი და უსულო.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

გუნდი მზეო მზეო

ცხოველმყოფელო
ძლიერო სისხლიანო მაგარო
უცნაურო საშინელო
შენელდი დასცხრი
და მიეც შეგებად
სისველე სინედლე მიწას.

ხმები. შენელდი დასცხრი მზეო ცხოველმყოფელო!

მთავარი. მზე ხელდება

და გოლვა ნაყოფს ანადგურებს.
სიცხით ირევა სულიერი და უსულო.
უბედურება მოსდევს უბედურებას.
წინ: სიმშლილი და გაჭირვება.

ხმები. სიმშლილი. გაჭირვება.

მთავარი. მოგვევლინა ღვთის რისხვა.

ხმები. ღვთის რისხვა. ღვთის რისხვა.

მთავარი. შესაძლოა შევცოდეთ უზენაესს.

ხმები. შევცოდეთ. შევცოდეთ.

მთავარი. და გიხმეთ მე თქვენ სალოცავში—

რათა გავიგოთ ზრახვა უზენაესის.
დიდი ქურუმი მესამე დღეა—
ლოცვად არის შემდგარი.
დღეს უნდა გვამცნოს მან სიტყვა ღვთისა.
ჩვენ ველით საიდუმლო განაჩენს.

ხმები. ველით განაჩენს. ველით.

(შემოიჭრება მოამბე. მასსის რკალი
გაბრღვევა. მთავართან მიუშვებენ მას.
მოამბე დგება მის წინ დაშორებით.
თაყვანს აძლევს.)

მთავარი. რას იტყვი ახალს?!



ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოამბე. კარგს ვერაფერს დიღო ბატონო.
მთავარი. მაინც?!

მოამბე. შენს დიდს ტყეს დიღო ბატონო
ზღვის პირას რომ არის
მედიდურად გადაშლილი —
ცეცხლი მოსდებია დიდი
და რამოდენიმე დღეა იწვის იგი.

ხმები. ვაი ჩვენს უბედურებას!

მთავარი. მე სხვაგანაც ბევრი მაქვს ტყე.
სხვას რას იტყვი?!

მოამბე. შენს ბელლებში დიღო ბატონო
ქვედა ქალებში რომ არიან გამართულნი —
ხორბალს ჭია გაჩენია საზარი
და ჭირნახული ნადგურდება სრულიად.

ხმები. ჰოი: საშინელებაჲ!

მთავარი. მე სხვაგანაც ბევრი მაქვს ბელლები.
სხვას რას იტყვი კიდევ?!


მოამბე. ზეგანში ერთ ქალს
კუდიანი ბავში დაბადებია.
სოფლელებს ცეცხლისათვის მიუციათ
ბავშიც და დედაც.
შემდეგ: ერთიმეორეს დარევიან.

ხმები. ჰოი: უბედურებაჲ!

მთავარი. ჩემს სამთავროში ბევრია
გონიერი სოფლებიც.
სხვა რა იცი?

მოამბე. მთავარი თენგიზ დიღო ბატონო
რომელსაც მრისხანეს უწოდებენ,
საომრად მოდის შენს წინააღმდეგ
გამხეცებული.

ხმები. საომრად თენგიზ! ჩვენს წინააღმდეგ!



მთავარი. ჩემმა გმირებმა დახვედრაც კარგი იციან.
სხვა. რა იცი კიდევ?!

მომამბე. შენი უმცროსი ვაჟი დიდო ბატონო
ვეფხვზე რო წავიდა სანადიროთ...

ხმები. რა მოუვიდა?! რა დაემართა?!

მომამბე. დაქრილა სასტიკად დიდო ბატონო.

ხმები. ვაი. ვაი.

(მთავარი შეივსება მძაფრი ტკივილით.
ცრემლს იკავებს. თამაზ თავდახრით
ქვითინებს. დედოფალი დაიკვივლებს:
გული წაუფა და გაიყვანებენ. შემდეგ:
მთავარი ნელის განადგურებულის ხმით.)

მთავარი. ღვთის ნებაა... კიდევ იცი რამ?!

(უეცრად ავარდება ქადაგი და იწყებს
აბნეული ხმით)

ქადაგი. ახლოვდება ჟამი იგი საშინელი...

ხმები. დააჩუმეთ! დააჩუმეთ! ქადაგი შეიშალა..

(ამ ხმაურში სალოცავის კარი გაიღება
ნელა. გამოდის დიდი ქურუმი.

შედგება საფეხურზე. მოხუცი ძალზე.
მხრებში მოხრილი. შავ თვალებში ჯერ
კიდევ შერჩენილი აქვს ყმაწვილური
ელვარება. სივრცეს გასცქერს. სმენა.)

ქურუმი. რად აჩუმებთ ქადაგს?!

ქადაგი მართალია!!

(ჩამოწვება გაცემა და ღუმილი)

ჩურჩული. ნეტა რა იხილა?!

ნეტა რა აცნობა ღმერთმა?!

რა მოხდა?! რა გველის?!



ქადაგი. ახლოვდება ჟამი იგი საშინელი.

შეირყევა მიწა და სიკვდილი
მოიცავს ყოველს.

რამეთუ სიავემ შეიპყრა ქვეყანა.

ქურუმი. ეხლა კი შეჩერდი კეთილთა კაცო!

(ქადაგი შესწყვეტს სიტყვას)

სამი დღე და სამი ღამე მხურვალე ლოცვით
ვუხმობდი მე დიდს სადღასაის.

შევედროდი მე უზენაესს ჩვენს უბედურებას:
და მესმა ხმა მისი იღუმალი.

ხმები. რა გაიგე?! რა შეიტყე?! გვითხარ! გვამცნე!

ქურუმი. დიდ არს სადღასაი!

ჰიმნი. დიდ არს სადღასაი ღმერთი ჩვენი.

ნათელ არს სადღასაი მფარველი ჩვენი.

მძლე არს სადღასაი მაცხოვრებელი ჩვენი.

ქურუმი. დიდ არს სადღასაი!

კეთილია ნება მისი!

კურთხეულ არს სახელი მისი!

ხმები. კურთხეულ არს კურთხეულ არს სახელი მისი.

ქურუმი. გვიმხელს უზენაესი ცოდვასა ჩვენსა.

ცოდვა დიდია ჩვენსა.

ხმები. ცოდვა. ჩვენი ცოდვა.

ქურუმი. საჭიროა ცოდვის გამოხსნა.

საჭიროა ხსნა.

ხმები. ხსნა. ხსნა.

ქურუმი. სადღასაი მოითხოვს სხვერპლის გაღებას.

ხმები. სხვერპლი. სხვერპლი.

ქურუმი. საცნაურ არს სადღასაი:

სხვერპლი ადამიანის შეწირვით.

(ჩამოვარდება საშიშროება დუმილში.



შემდეგ: უგონო ხრიალი და ხედვა
(ცხოველური. წამოიჭრება ოთარ.)

ოთარ. ადამიანის შეწირვა გადავარდა.

ქურუმი. ვინ არის უგუნური ესე?!

ოთარ. ღმერთს არ სჭირდება სისხლი ადამიანის?!

ქურუმი. ვინ არის ეს უგუნურ მეტყველი?!

ოთარ. ადამიანი თვითონ არის ღმერთი.

ქურუმი. ვინ გმობს ღვთის საიდუმლოს?!

ოთარ. ადამიანის შეწირვა გაუგებარია.

ქურუმი. კრულ იყოს სიტყვა შენი უგუნურო!!

ოთარ. ღმერთი ყოველია და ყოველი ღმერთია.
ადამიანი ღმერთია ნამდვილი.

ქურუმი. გახმეს სასა შენი ურწმუნო!

ვინ გამოიცნო საიდუმლო გამოუცნობის?!

ოთარ. არსი ყოველი აცნაურებს ამ საიდუმლოს.

ქურუმი. დაჩუმდი უგუნურო!

მხოლოდ თავის შეწირვით ძალუძს ადამიანს
ზიარ იქმნეს უზენაესის.

მხოლოდ სხვერპლის გაღებით
შეერთვის იგი საშოსა ღვთისას.

ოთარ. სხვერპლი სხვაგვარიცაა.

წირვა მრავალნაირია.

(ხალხში ხმაური და ნატეხი სიტყვები. ზოგი:
„მართალია—მართალია“. ზოგი: „შემცდარია
შემცდარია“ ერთნი: „ქურუმი მართალს ამ-
ბობს“, სხვანი: „მოშაირესაც უსმინეთ“. ხმაური
თანდათან ძლიერდება. წამოდგება მთავარი.
მტკიცე შეჭრილი მზერით გადახედავს ხალხის
მასსას. ხმაური ნელდება.)

მთავარი. ისმინეთ ხალხნო!

ღვთის საქმეს ჩვენ ვერ გადავჭრიით.
გოლვა მატულობს, მხარე ილუპება,
მტერი მოდის.

ხმები. ვაი ჩვენს უბედურებას.

მთავარი. შეხედეთ მოხუცს!

იგი ღვთისადმია შეწირული.
იგი მოცილებულია სოფელს
და სოფლის ამაოებას.
იგი მუდამ ლოცულობს,
იგი მარხულობს.
იგი სუნთქავს სუნთქვას გამოუთქმელისას.
იგი უსმენს უზენაესს,
იგი ნათელია. იგი წმიდაა.

ხმები. ნათელი. წმიდა.

კურთხეულ იყოს სახელი მისი.

მთავარი. ღვთის საიდუმლოს იგი უფრო მიხვდება.

ღვთის ნებას იგი უფრო გამოიცნობს.
ღვთის სიტყვას იგი უფრო გაიგებს.

ხმები. მიხვდება. გამოიცნობს. გაიგებს.

მთავარი. მხარე ილუპება და გვინდა ხსნა.

ხმები. ხსნა გვინდა. ხსნა.

მთავარი. ხსნა სხვერპლით.

ხმები. სხვერპლით. სხვერპლით.

მთავარი. სხვერპლი—ადამიანის შეწირვით.

(ღუმილი და კძალვა, თმენა და მზადყოფა
წირვადისათვის. ღუმილი გამძაფრებული.
შემდეგ უნცარი ამოძახილი.)

1 ჯგუფი. მზადა ვართ!

2 ჯგუფი. მზადა ვართ!



ეროვნული
წიგლმწიქვეს

3 ჯგუფი. მზადა ვართ!

4 ჯგუფი. მზადა ვართ!

5 ჯგუფი. მზადა ვართ!

ყველანი. მზადა ვართ!

მთავარი. დიღო მოხუცო!

ხალხი მზად არის.

საჭიროა არჩევა შესაწირავის.

შენ შეიტყობ ღვთის არჩევანს.

დიღო მოხუცო! არჩევანის ცნობა შენზეა.

ქურუმი. არჩევანი მომხდარია კიდეც.

(შიში და გაოცება)

ხმები. ვინ არის?! ვინ არის?!

ქურუმი. ვისმინე სიტყვა უზენაესის.

მესმა ნება მაღალის.

დიდ არს სადღასაი!

ხმები. დიდ არს სადღასაი! დიდ არს სადღასაი!

ქურუმი. სხვერპლად ქალია დასახელებული.

ხმები. ქალი, ქალი.

ქურუმი. ულამაზესი ყველა ქალთა შორის.

(თამაზ შეირხევა საშინლად)

ხმები. ვინ არის?! ვინ არის?!

ქურუმი. არავინ იცის წარმოშობა არჩეულის.

(თამაზი შეირხევა თითქო ჭრილობით.

ლონდა უცნაურად გასცქერის სივრცეს.)

ხმები. ის ხომ არ არის:

ჯადოსანი!? თვალთმაქცი?!

ქურუმი. იტყვიან: სირენააო

ზღვის მკერდით ცხელ ქვიშაზე გამოსროლილი.

(თამაზ შეირხევა დაჭრილივით)

ხმები. ის ხომ არ არის ვაჟებს რომ აგიჟებს?!

ქურუმი. ტანი: თეთრი ქვის ქურქელი.

თვალეები: დიდრონნი საფირონკი ნათელნი.

თმეები: ლალების ტევრები

მზის ხაოთი დაფერილნი.

ყელს ქვეით მარცხნით დიდი ხალი.

ხმა. ლონდა.

ქურუმი. ლონდა. ლონდა.

(ლონდა არ იძვრის. თამაზ ავარდება
დაკოდლი ნადირივით და შეჰკივლებს.)

თამაზ. შეუძლებელია! შეუძლებელი!

ქურუმი. ღვთის განგებაში შეუძლო არა არის რა.

თამაზ. შეუძლებელია! შეუძლებელი!

ლონდას ღმერთი არ გაიმეტებდა.

ქურუმი. სადდასაი იღებს მხოლოდ რჩეულებს.

თამაზ. არ მჯერა! არ მჯერა!

ისმინეთ ხალხნო: მე მიყვარს ლონდა

და მას სიკვდილსაც არ დავანებებ.

და მიიღებს ხმალის პასუხს ის:

ვინც აქ ლონდას სახელი გადმოისროლა.

(ღუმილი და გაოცება. მთავარი წამოდგება

და მაგარი ხმით მიმართავს შვილს.)

მთავარი. გახსოვს ზეიმი და რაინდების ყაბახი?

ვინ იყო ის—ვინცა ხმალდახმალ შეეჯიბრებაში

ათი გმირი ზედიზედ სასტიკად დაამარცხა?

თამაზ. მე ვიყავ—მამავ.


მთავარი. გახსოვს ტყის პირი და ზვეული ბილიკი?!

გახსოვს შემზარავი კივილი მიმავალთა?!

ვინ იყო ის—ვინცა მახვილის ერთი დაკვრით

დედალი ვეფხი განკვეთა

როცა იგი თავს ეცემოდა მიმავალთა?!





თამაზ. მე ვიყავ—მამავ.

მთავარი. გახსოვს სამთავროს შავი დღე
ოდეს მტერმა ვერაგულად შემოიჭრა
გახსოვს ვაება და ძვინვარება
გმინვა და სისხლის წყურვილი.
ძარღვის შეშინება და უკან დახვევა?!
ვინ იყო ის—ვინცა თავგამეტებული რაინდებით
მტერის მოხეტქილ ზვაეში გადავარდა
და ხმალთა ცეცხლის ავიზგიზებით
თავსდამცემი სასტიკად გაანადგურა?!

ე ვიყავ—მამავ.

შენ იყავ თამაზ:

ვაჟკაცი. რაინდი. ეხლა?!

თამაზ. ნუ ეჭვობ—მამავ:

ვიყავი ასეთი და ვიქნები ყოველთვის.

ხმები. თამაზ რაინდია! თამაზ თავდადებულია!

მთავარი. და მერე—თამაზ?!

თამაზ. მე მიყვარს ლონდა

სიყვარულის საშინელებით

და მის გარეშე გატეხილია ჩემი ვაჟკაცობა.

მთავარი. შენ მამული გავიწყდება—თამაზ!

თამაზ. არაოდეს მამავ.

აი ჩემი მარჯვენა და აი ჩემი ხმალი.

ჩემმა მკლავმა არ იცის მოდუნება

და ჯერ არც ჩემს ხმალს მოდებია ჟანგი.


რჩეული ვაჟებიც ჩემთან არიან.

(ჯგუფი მხედრების წინ გამოიჭრება.

მხედრები ხმალებს აშიშვლებენ და

შესძახებენ.)

მხედრები. სიკვდილამდის თამაზთან ერთად!



ქადაგი. იტირე მიწავ

რამეთუ აღსასრული შენი ახლო არის.

ქურუმი. სადდასაი ითხოვს არჩეულ სხვერპლს
ოთარ. სხვერპლი სხვაგვარიცაა. წირვა მრავალნაირია.
ხორო. მზეო. მზეო.

მთავარი. მამულის სიყვარული სხვა არის კიდევ.

თამაზ. სამთავროს ვიხსნი მე—მამავ

მე გავწირავ თავს თუ იქნება აუცილებელი.

ოლონდ: ნუ იქნება ლონდა

სხვერპლად შეწირული.

მე მოვიხმობ უცხო მხარიდან სწავლას არის რა.

და გავიყვან დიდრონ არხებს

წყალთა დენისათვის.

გოლვა ველარას დაგვაკლებს შემდეგ

და მდელი ჩვენი მიწის აყვავილდება

ყანებითა და ყვავილებითა და ბალახებითა.

ოლონდ: ნუ იქნება ლონდა

სხვერპლად შეწირული.

მე მოუწოდებ ჩვენს ნაცად მეომრებს

და დავანახვებ საკვეთად მომდგარ მტერს

თუ რა არის ჩვენზე გალაშქრება.

ოლონდ: ნუ იქნება ლონდა

სხვერპლად შეწირული.

მხედრები. სიკვდილამდის თამაზთან ერთად!

ქადაგი. იტირე მიწავ

რამეთუ აღსასრული შენი ახლო არის.

ქურუმი. სადდასაა ითხოვს არჩეულ სხვერპლს.

ოთარ. სხვერპლი სხვაგვარიცაა.

წირვა მრავალნაირია.

ხორო. მზეო. მზეო.



მთავარი. მამულის სიყვარული სხვაა კიდევ.
მე ვარ მამა შენი თამაზ.
მამა ჩემიც იყო მამა.
მამის მამა იყო მამა.
და ასე: ზევით და ზევით.
შენა ხარ შვილი თამაზ.
შენი შვილი იქნება შვილი.
შვილის შვილი იქნება შვილი.
და ასე: ქვეით და ქვეით.
ერთი დიდი ხე
დიდტანიანი და მრავალტოტებიანი.
მაგარია ჯერ კიდევ
წმინდა მუხა ჩვენი გვარის.

ხორც. ძველი მუხა დიდი
სუროთი შემოსილი.
დაგრაგნილი ტოტები
მწვანედ იფოთლებიან.
მსხვილი და მაგარია
რკოების ძუძუები.

მთავარი. ჩვენ გადავალთ და სხვები მოვლენ.
მაგრამ გადასულნიც და მოსულნიც
არიან ერთნი.
მამა შვილში არის. შვილი მამას აგძელებს.
მამად ვერვინ გახდება ქვევით
თუ არ ეშვილა უკანასკელად
მამას და მამებს ზევით.
მამული წიაღია შვილის ერთგულების.
ეს არის სჯული მიწის.
სჯულის გადალახვა დამღუპველია.

თამაზ. მახსოვს მამავ მეც მიწის სჯული.
ვიცი სიყვარულიც მამულის.

მთავარი. შენ გავიწყდება სიტყვა ღვთის.
თამაზ. სიყვარულიც ღვთის სიტყვაა — მამავ.

მთავარი. შენი სიყვარული პირადია უფრო.

ქადაგი. იტირე მიწავ

რამეთუ აღსასრული შენი ახლო არის.

ქურუმი. ღმერთი ითხოვს არჩეულ სხვერპლს.

ოთარ. სხვერპლი სხვაგვარიცაა.

წირვა მრავალნაირია.

ხორო. მზეო. მზეო.

თამაზ. ძნელია სიყვარული — მამავ.

მთავარი საჭიროა უფრო დიდი სიყვარული.

საჭიროა სხვერპლი მხარის სახსნელად.

ღმერთი ითხოვს ადამიანის სხვერპლს.

თამაზ. ღმერთი დიდია — მამავ.

ღმერთი მოწყალეა და გვაპატიებს.

ხმები. გვაპატიებს! გვაპატიებს!

ქადაგი. იტირე მიწავ.

რამეთუ აღსასრული შენი ახლო არის.

ქურუმი. სიტყვა ღმერთის ურყევია.

სადღასაჲ ითხოვს რჩეულ სხვერპლს.

ოთარ. სხვერპლი სხვაგვარიცაა.

წირვა მრავალნაირია.

ხორო. მზეო. მზეო.

ქურუმი. ქვეყანა იღუპება. ხსნაა საჭირო.

სხვერპლი უნდა შეიწიროს.

სხვერპლი არჩეულია.

ხორო. მზეო. მზეო.

მთავარი. შეილო?!

თამაზ. ვერა!

მთავარი. შეილო?!





თამაზ. ვერა!

მთავარი. შეილო!

თამაზ. ვერა!

(ლონდა — რომელიც ამდენხანს უცნაური გა-
შტერებით სივრცეს გასცქეროდა, გამოიჭრე-
ბა თამაზისაკენ. მოდის როგორც ატაცებული
სონამბულა. მასსა შეტორტმანდება. გამძაფრე-
ბული მოლოდინი.)

ლონდა. იყოს ბედი სასტიკი და ლამაზი!

მე არ ვიცი ვინ არის სადღასაჲ.
არც ის ვიცი თუ რა არის მისი განგება.
ვიცი მხოლოდ ყვავილები და სიყვარული.
მახარებენ მზის თესლები —
ლონთქოშა ყლორტებში
და მახალისებს ატეხილი აშავერი
მიწის ავხორცი ტანის.
მიყვარს ყოველი. ვეტრფი სიცოცხლეს.
მაგრამ მზადა ვარ მაინც
აეასრულო სიტყვა დიდი ქურუმის.
(მასსა კიდევ უფრო ატორტმანდება გაოცებით)

თამაზ. რას ამბობ! ლონდა?!

მზადა ხარ იქნე შეწირული?!

ლონდა. დიალ: მე ლონდა მზადა ვარ
ვიქნე შეწირული.

ქადაგი. ასლოვდება ჟამი იგი საშინელი.

ოთარ. ბედი სასტიკია და ლამაზი.

ქურუმი. სადღახაჲ ითხოვს არჩეულ სხვერპლს.

მთავარი. მიწის სჯული ურყვეველია.

ხორო. მზეო. მზეო.

თამაზ. დღეს შენ უცნაური ხარ...

შენ ყოველთვის უცნაური იყავი...

შენ სავსებით არ იყავ ჩემი არაოდეს.

შენი გული არ იყო ჩემით ყოველთვის სავსე.

ლონდა. მაგრამ როცა შენით სავსე იყო იგი

ქვეყანაზე არც ერთს გულს

არ უძგერია მისავით.

შენ ბავში ხარ სიყვარულში თამაზ

ჩემი სიყვარული სხვაა. მართლაც უცნაურია.

შენთვისაც...

ქადაგი. ახლოვდება ჟამი იგი საშინელი.

ოთარ. ბედი სასტიკია და ლამაზი.

ქურთუმი. სადღასაჲ ითხოვს არჩეულ სხვერპლს.

მთავარი. მიწის სჯული ურყეველია.

ხორო. მზეო. მზეო.

თამაზ. არა: შეუძლოა შეუძლო შენი სიკვდილი.

მე შენ მიყვარხარ ლონდა. მიყვარხარ.

ლონდა. მეც მიყვარხარ თამაზ.

ქადაგი. ახლოვდება ჟამი იგი საშინელი.

ოთარ. ბედი სასტიკია და ლამაზი.

ქურთუმი. სადღასაჲ ითხოვს არჩეულ სხვერპლს.

მთავარი. მიწის სჯული ურყეველია.

ხორო. მზეო. მზეო.

თამაზ. არა არა. უცნაურია შენი სიყვარული.

უცნაური.

ლონდა. მიყვარხარ თამაზ.

იყოს ჩემი სხეული შენთვის თასი

უცხო სასმელით სავსე.

დაეწაფე მოწყურებული მას.

დასცალე თასი.

და ხალისიანი ხელით დაამსხვრიე იგი



მე შენში ვიქნები — თამაზ.

მე შენ მეყვარები — თამაზ.

ქადაგი. ახლოვდება უამი იგი საშინელი.

ოთარ. ბედი სასტიკია და ლამაზი.

ქურუმი. სადდასაჲ ითხოვს არჩეულ სხვერპლს.

მთავარი. მიწის სჯული ურყეველია.

ხორო. მზეო. მზეო.

თამაზ. არა არა. შენი დაცილება შეუძლებელია.

შენი შეწირვა უგუნურებაა.

შენი სიკვდილი სიგიჟეა.

ლონდა. დამშვიდდი თამაზ.

მე უნდა ვიქნე შეწირული.

მე შენ მეყვარები თამაზ.

ქადაგი. ახლოვდება უამი იგი საშინელი.

ოთარ. ბედი სასტიკია და ლამაზი.

ქურუმი. სადდასაჲ ითხოვს არჩეულ სხვერპლს.

მთავარი. მიწის სჯული ურყეველია.

ხორო. მზეო მზეო.

თამაზ. როგორ?! სიკვდილით?! არა. არა.

შენ ხარ სიკოცხლის ნება ლონდა.

სიკვდილის სურვილი უცხოა შენთვის.

შენ უცნაური ხარ დღეს.

შენ უცხო ხარ ჩემთვის.

შენი სიტყვა საშინელია.

არა არა: შენ უნდა იცოცხლო.

შენ უნდა იცოცხლო ჩემი სიყვარულით.

ლონდა. შენი ვიქნები თამაზ სიკვდილშიაც.

სიკვდილში გადასულს სიყვარულს

ღმერთებიც ვერ შესცვლიან.

ჩემი გული სავსე იქნება მხოლოდ შენით.

უშენოდ არ შეირბევა იგი აროდეს.

მე შენი ვარ შენი.

თუმცა სიკვდილი ახლოა.



ქადაგი ახლოვდება ჟამი იგი საშინელი.

ოთარ. ბედი სასტიკია და ლამაზი.

ქურუმი. სადღასაჲ ითხოვს არჩეულ სხვერპლს.

მთავარი. მიწის სჯული ურყეველია.

ხორო. მზეო. მზეო.

თამაზ. სიკვდილი.. შენ.. არა.. არა..

საშინელია საშინელი შენი სიკვდილი.

ცალიერდება ყოველი.

ლონდა. ღმერთისა და ხალხისათვის

ვიქნე მე სხვერპლად შეწირული.

შენთვის და ჩემთვის

იყოს ჩემი შეწირვა უკანასკნელი ქორწილი.

ქადაგი. ახლოვდება ჟამი იგი საშინელი.

ოთარ. ბედი სასტიკია და ლამაზი.

ქურუმი. სადღასაჲ ითხოვს არჩეულ სხვერპლს.

მთავარი მიწის სჯული ურყეველია.

ხორო. მზეო. მზეო.

თამაზ. უკანასკნელი ქორწილი...

უკანასკნელი ქორწილი...

(თამაზ არეულია. ლონდა ეხვევა ალერსით.

ჰკოცნის. დელავს. ამღვრეულია.)

ლონდა. შესვი თასი. ეზიარე უკანასკნელად.

დაამსხვრიე თასი. გასტეხე იგი.

მე შენი ვარ თამაზ.

მე შენი ვიქნები თამაზ.

(თამაზ ქვითინს იკავებს. დუმილი მძაფრი.



ლონდა ატაცებულია და იცქირება სონამბუ-
ლასავით.)

მთავარი. ასრულდეს სურვილი შესაწირავის!

ლონდა. მე მზადა ვარ. დიდო მთავარო!

ქურუმი. სალოცავის მსახურნო!

თქვენ იცით ადგილი აქედან მარცხნით
საცა კლდის პირია

უფსკრულის თავზე ამართული.

იქიდან მოსჩანს მდინარე წმინდა: შავი. ნელი.

ერთი კლდიდან გამოდის და მეორეში შედის.

არავინ იცის მისი სათავე

და არცა მისი შესართავი.

მდინარემ იცის სხვერპლი მრავალი.

იქ არის განსვენება უკანასკნელი.

მის წიაღში იზდება საზღო სადღასაჲს.

მდინარის დენაში ვლინდება

ნაწილი უზენაესის

ვითარცა კავშირი

წყალთა შორის გალხობილი.

იქ მატულობს საღვთო ძალა

ადამიანთა შეწირვით დაგროვილი.

დიდ არს სადღასაჲ!

მიმნე. დიდ არს სადღასაჲ ღმერთი ჩვენი.

ნათელ არს სადღასაჲ მფარველი ჩვენი.

მძლე არს სადღასაჲ მაცხოვრებელი ჩვენი.

ქურუმი. სალოცავის მსახურნო!

არჩეული სხვერპლი მიიყვანეთ კლდის პირას.

გახადეთ ტანსაცმელი და

პირდაპირ მდინარეში გადაისროლეთ.



ხმები. ჰოი—საშინელებავ.

ქურუმი. დაყოვნება მეტი შეუძლებელია **ქართველი პენსიონარები**
ასრულდეს ნება უზენაესის!

ლონდა. მე მზად ვარ დიდო მოხუცო!

დღეს უნდა გაიმართოს

ქორწილი უკანასკნელი

იყოს ზეიმი და ლხინი!

მოჰფინეთ გზა ბალახებით და ყვავილებით.

იხმეთ მუსიკოსნი და მღერალნი.

მოუწოდეთ ყმაწვილებს: ქალებს და ვაყებს.

დღეს უნდა აყვავილდეს

ქორწილი უკანასკნელი.

(თამაზ ქვითინს იკავებს. ქურუმი შორეთს

გასცქერს. მთავარი ზის გაქვავებული.)

მთავარი. შეასრულეთ სურვილი შესაწირავის.

(შემოდიან ყმაწვილები: ქალები და ვაყები.

მოაქვთ ყვავილები და ბალახები. შემოდიან

მუსიკოსნი და მომღერალნი.)

ქურუმი. ასრულდეს ნება უზენაესის!

ლონდა. ასრულდეს ნება სიყვარულის! /

(მიმართავს თამაზს)

მე მივალ იქ—საცა ერთად ვიქნებით მარადის!

(ეხვევიან ერთმანეთს)

თამაზ. (თითქო შეკითხვით—თითქო დასტურით)

ჩვენ კიდევ ვიხილავთ ერთმანეთს...

ლონდა. (არჩული ამღვრელი სახით)

ვიხილავთ... ვიხილავთ... ერთმანეთს...

(გაიმართება პროცესია. ქალვანი ჰვენენ

გზას ყვავილებით და ბალახებით. მიჰყავთ

ლონდა. უმზერს უკანასკნელად თამაზს.

თამაზ არეულია და თანვე გაქვავებული
მღერიან „ლილეს“.)

„ლილე“ . ისკვამი დიდები ბინგოა შინე და ლილელი
დიდები თარგლეა ზერსი და ლილელი...
ვერსული
შეწირულია

ქურუმი. (ლოცულობს)

უზენაესო ცხოველმყოფელო სადდასაჲ!
მიიღე სხვერპლი ესე
ვითარცა საზღო შენი იღუმალი.
შეიწირე იგი და მით გვითვისე ჩვენ.
შეიერთე იგი და მით გვიხსენ ჩვენ.
ჩამოეშვი ჩვენში ვითარცა კავშირი უხილავი.
ჩვენ ვართ შენნი. იყავ შენცა ჩვენი.
ამიერიდან უკუნისამდე.
(„ლილე“ ნელდება. ყველანი მზერენ უფს-
კრულთან მისულებს. თვალს ადევნებენ.)

შეწირული. ტანსაცმელი გახადეს.

მსახური ხელს ჰკიდებს.
ხოლო ეს რაა?! ხელი არ მორჩილობს.
მიწაზე ვარდება...
უახლოვდება მეორე... რა ემართება...
ვერ ეკარება. ისიც მიწაზე ვარდება.
(ღუმელი. გაოცება. მოვარდება მონაწილე.)

ხმები. რა ხდება?! რა მოხდა?!

მონაწილე. მსახურნი ვერ ასრულებენ დაეალებას.

ქურუმი. როგორ?! რა ემართებათ?!

მონაწილე. უახლოვდებიან თუ არა—იქვე იკეცებიან.

ხმები. საოცარია! საოცარი!

ქურუმი. ჰოი სუსტნო და უძლურნო!

ოთარ. ჰოი მორჩილნო სილამაზის!



ეროვნული
ბიბლიოთეკა

მონაწილე. ერთმა მსახურმა ჩაკეცვის დროს
მუხლზე აკოცა.

ქურუმი. დიდია ცდუნება სილამაზის.
ჰოი სუსტნო!

ოთარ. ჰოი მორჩილნო ბედის ერთგულის!

მონაწილე. მეორე ფეხებზე დაუფარდა კოცნით.

ქურუმი. საშინელია ავხორცობა ლამაზის.
ჰოი უძღურნო!

ოთარ. ჰოი მორჩილნო თავდადებულის!

მონაწილე. მესამე...

ქურუმი. დაჩუდი!

ჰოი სუსტნო და უძღურნო!

ოთარ. ჰოი მორჩილნო უცხო ყვაველის!

(უეცრად წამოიჭრება თამაზ. გაფითრებულია
მეტად. სახეზე უელვარებს რაღაც გადაწყვეტა.
მიმართავს ქურუმს.)

თამაზ. დიდო მოხუცო!

მომეც ნება მე თვითონ

შევასრულო ღვთის განაჩენი!

(გაოცება უმწვერვალესი. მთავარი შეივხვევა.

შეაშტერდება შვილს მზერით.)

მთავარი. შვილო?! რა გემართება?!

ქურუმი. იყოს ნება შენი!

(თამაზ მივა მამასთან. შეჩერდება. მოეხვევა.

მთავარს რაღაც წინაგრძნობა გაჰკრავს.)

მთავარი. შვილო?!

თამაზ. არაფერი...

მთავარი. შვილო?!

თამაზ. სიყვარული...

მთავარი. შვილო?!



თამაზ. ქორწილი უკანასკნელი...

მთავარი. შვილო?!

თამაზ. მამავ...

(უეცრად აკოცებს მამას. მამა გრძნობს გამოუცნობ ტკივილს. თამაზ მოსხლტება და უფსკრულისაკენ გაექანება. ყველანი თვალს აყოლებენ. განსაკუთრებით მთავარი.)

შეწირული. ეხვევა... ჰკოცნის...

ხელში აიყვანა.. უნდა გედაისროლოს.. მაგრამ ეს რაა?! ჰაა! თვითონაც! თან...

მთავარი. (იკივლებს)

შვილო?! მამულო?!

(მთავარი ჩაიკეცება. მასსაში გმინვა ძლიერი. შორით წყდება „ლილე“.)

ჰიმნი. ისკვამი დიდები ბინგოა შინე და ლილეო. დიდები თარგლეა ზერსი და ლილეო.

ბუაი ბუაი
გ.ე-ს.

ყაზახი (აზერბაიჯანი)
ივლისის 25-26-27.
ხილვა: ჰამადანი—
ზაფხული
1917.

— იქნა 'ლილე' ეს ჩაბეჭდა ზაფხული

და ჰამადანი

ა. ბენე

1939წ
ქვ.



ქართული
ბიბლიოთეკა

მ ა ლ უ ტ რ ე მ

ფანტასმაგორია

მეფის სურათი:

ფენომენოლოგია

ამორ ფატი

კენტავრები

კეთროვანთა დედოფალი

დადაისტების მოედანი

ანთებული საკირე -

რეეისსორ
კობე მარჯანიშვილს.




სურათი პირველი

ფანოქანოლოგია

მოქმედნი:

- რაულ როკველდერ—მილიარდერი.
- არონ ფინკელშტეინ -ბანკირი.
- ფრანსუა პენუტიე—ფინანსისტი.
- გელფერიხ—ფაბრიკანტი.
- უცნობი.
- მორელდა—მარჩიელი.
- ვენო აზეფულ—პროვოკატორი.
- ალბერტ აინშტაინ—მოჩვენება.
- იმპანუილ კანტ—მოჩვენება.
- მეპაპიროსენი.
- მეგაზეთენი.
- მოთამაშენი—ავანტიურისტები.
- მონდენი და დემიმონდენი.



ევროპის კუთხე. საზაფხულო კურორტი. დიდი როტონდა. პავილიონები. მარჯვნივ—კაზინო. სიღრმეში ესტრადა. წინ: მარმარის მაგიდები. მარცხნივ: ცნობათა ბიურო. იქვე: ტელეფონი. ტელეფონთან: შვეიცარი სპლინმოკრუული. მაგიდებს უსხედან: ქალები-კაცები-სხვადასხვა რასის—სხვადასხვა ქვეყნის. კაზინოდან ისმის ხმაური: აზარტით თამაშია. მარჯვნივ—ამაღლებით ჩნდება ხოლმე კანტის თავი

დიდს ობობას ქსელში. მარცხნით — ამაღლებით ჩანდებოდა ხოლმე აინშტაინის თავი ასტრონომიულ ნახევარტელებში. შუაში ზის არონ ფინკელშტეინი. მასთან იქით-აქეთ: ორი კოკოტი.
მსახურნი: პატარა ხანგები, რეჟს ტელეფონი, შვეიცარი უსვენს.

შვეიცარი. ალლო! გისმენთ. ვინ გნებავთ? კარგი.
(მორთილდება)

ჰერრ არონ ფინკელშტეინ! თქვენ გიხმობენ.
(ფინკელშტეინი წამოხტება. დაბალი, მელოტი. დიდი მუცელი. მოკლე ფეხები: რამოდენიმეთ გაღუნული. ცხვირი დიდი და ჩამოშვებული. ყურები სახისაკენ მოცქვეტილი. თვალები ქროლა და ცოცხალი. ცხარი და ფუსფუსა. მიდის ტელეფონთან.)

ფინკელშტეინ. ჰა... როზა! შენ ხარ?!

კარგად... ხუთი გირვანქა მომაკლდა...
ფეხები?! მარცხენა მუხლში კიდევ გარჩა ქარი...
ნაწლევეები?! დამშვიდებულია...
მადა მშვენიერი...
აპენდიციტი?! ხანდახან...
ჰო! მაგისტვის რბილი კლიზმები...
სარა როგორაა?! კარგი... კარგი...
აბელ?! კარგი...
ჰო! კვირას! კვირას...
ნახვამდის...

(მობრუნდება მაგიდასთან)

ლოლოტა. მოათავე ლაპარაკი?!

ბლანშეტა. ასე მალე მოცილდი შენს როზას?!

ფინკელშტეინ. დამშვიდდით ჩიტებო!

რა მოუსვენარი ხართ!

ლოლოტა. რამდენი სნეულემა გქონია: ონკელ ფინკელ!

ბლანშეტა. ხა-ხა-ხა.. მთელი კატალოგი გადაიკითხა..

ფინკელშტეინ. მაცალეთ გერიტებო.. ერთი თვე მაცალეთ..

მერე ვნახოთ: თუ როგორ ავათამაშო ვუსთებო!

ლოლოტა: მწიფე ხენდრო ხარ..

ლოლოტა. (ხითხითებს)

ფინკელშტეინ. ბლანშეტა! ატამი ხარ ავსილი..

ბლანშეტა. (ხითხითებს)

ფინკელშტეინ. პიკოლო! პიკოლო!

ახალი კარაქი. ქარვისფერი თაფლი.

ხახახა ქვირითი...

ყავა მაგარი.. კონიაკი.. შერი ბრენდი.. ჩქარა...

შემწვარი ინდოური.. თეთრი ხორცი..

პიკოლო პიკულიც!..

(პიკოლო მიიღებს დაკვეთას და გარბის)

ლოლოტა. ლამაზია შენი როზა?!

ბლანშეტა. ალბად ჩასუქებულია..

ფინკელშტეინ. ნუ აცივდებით ჩემს როზას..

ქალი ნაღია.. სწორუპოვარი.. ლაქდაფი..

(კაზინოდან — ხმაური. არეგდარევა. წამოვარდება გელფერიხ, მისი მაგიდა ფინკელშტეინის გვერდითაა. მასთან ზის ფრანსუა პენუტიე, გელფერიხ: შუახნის-ხმელი-შავგვრემანი-გამჭრიახი.)

გელფერიხ. ყოველდღე სკანდალია..

პენუტიე. არ არის მოსვენება..

ფინკელშტეინ. ეს სულ პან პრეზიბიშკია.

გელფერიხ. რატომ ზომებს არ მიიღებენ?!

ფინკელშტეინ. აუტანელია ღმერთმანი..

პენუტიე. ყველაფერს საზღვარი აქვს..

(კაზინო მშვიდდება, ისმის „განაგრძეთ“. თარგ-სტრის ნელი ხმა, ესტრადაზე გამოდიან წყვილები, იწყებენ ცეკვას „უანსტებ“. მჯდომართი მუხლები აუთამაშდებათ, უეცრად მოვარდებიან მეპაპიროსენი, მღერიან კუბლეტებს, თითონაც ხტომით მიკუყებიან ცეკვას.)

1 მეპაპიროსე. პაპიროსი „ელიტა“.

უან-სტებ. სტებ. სტებ.

ლამაზი სურნელითა.

ტუ-სტებ. სტებ. სტებ.

უან-სტებ. ტუ-სტებ.

ქალებს ნუ სდევ.

მისსისსიპი. მისსისსიპი..

კოკტაილ!

(ყიდულონენ მისგან პაპიროსებს, ხმაური და სიცილი.)

2 მეპაპიროსე. პაპიროსი „არგო“.

უან-სტებ. სტებ. სტებ.

აკანჭული მარგო.

ტუ-სტებ. სტებ. სტებ.

უან-სტებ. ტუ-სტებ.

ქალებს ნუ სდევ.

მისსისსიპი. მისსისსიპი.

კოკტაილ!

(ყიდულობენ, ხმაური და სიცილი გაძლიერებული.)

3 მეპაპიროსე. პაპიროსი „გელიოს“.

უან-სტებ. სტებ. სტებ.

ტკბილი დღე დაგელიოს.

ტუ-სტებ. სტებ. სტებ.

უან-სტებ. ტუ-სტებ.



ქალებს ნუ სდევ.
მისისსისიპი. მისისსისიპი.

კოკტაილ!

(ყიდულობენ. ხმაური და სიცილი კიდევ უფრო ცხარი)

4 მეპაპიროხე. პაპიროსი „ექსტრა“.

უან-სტეპ. სტეპ სტეპ.

შეხურდი მაესტრო.

ტუ-სტეპ. ხტეპ. სტეპ.

უან-სტეპ. ტუ-სტეპ.

ქალებს ნუ სდევ.

მისისსისიპი. მისისსისიპი.

კოკტაილ!

(ყველას ფეხები აუთამაშდებათ და ავარდებიან ცეკვით. პირველი ფინკელშტეინი: რომელიც მარცხენა ფეხს ძლიერ აყოლებს. გაისმის ტელეფონის ცხარი რეკა. შეჩერდებიან. ფინკელშტეინი იღიმება და ხვნებით ეშვება სკამზე. კოკოტები ხითხითებენ. შვეიცარი უსმენს.)

შვეიცარი. ალლო! ვინ გნებავთ?!

(მოტრიალდება)

ჰერრ გელფერიხ! ქარხნიდან.

(გელფერიხ მიდის ტელეფონთან მძიმედ).

გელფერიხ. გისმენთ... რააო?. გაფიცვა?! ამბოხება?!

რას ითხოვენ? მომატებას?! არასგზით... არ შეიძლება.


რაო?! მაგრად არიან?!

ასეული მოიხმეთ! ამ წამსვე..

როგორ?! შეუძლებელია?! უმჯობესია?!

მაშ მიუმატეთ.. ცოტა.. ჰო.. ასე..

(ამოიოხრებს, დაფიქრდება. შემდეგ



ისევ ტელეფონთან.)

ცენტრალური! შემაერთეთ: 30 A. O. კანტორა.

ვინ არის?. ჰო.. შაქარი რას ფასობს?!
ცოტაა.. მიუმატეთ.. დღესვე..

ლაპარაკი ზედმეტია.. გადაწყვეტილია..

(გამობრუნდება. ჩნდებათ თავეები კანტის და აინ-შტაინის.)

კანტი. საგანი თავისთავად გამოუცნობია.

ფენომენია მხოლოდ — ყოველი.

აინშტაინ. აბსოლუტური მოხსნილია იმთავითვე.

რელატივიურია მხოლოდ — ყოველი.

(ფინკელშტეინ წამოხტება. მიიხედმოიხედავს. ვერა-ფერს ხედავს: თავეები მიიმაღენ. შემდეგ: გაოცებით და ირონიით. ხელს აქნევს.)

ფინკელშტეინ. მართლაც ფენომენია.

მოჩვენება თუ იყო.

ჰერრ გელფერის! უთუოდ რელატივია ყოველი.

გაფიცვით წააგო — შაქარზე მოიგო. ხა-ხა ხა.

თუმცა პროპორცია არ უნდა იყოს დაცული.. ხა-ხა-ხა.

გელფერის. (ახედახედავს ფინკელშტეინის ფიგურას ირონიით და უკმეხად გადაუჭრის სიტყვას.)

მოქალაქე ფინკელშტეინ!

თქვენთვის პროპორციაზე ლაპარაკი

მანცადამანც სასიამოვნო არ უნდა იყოს.

ლოლოტა. (ხითხითებს)

ბლანშეტა. (ხითხითებს)

ფინკელშტეინ. ჰერრ გელფერის! განა საწყენია!

ეს კარგი გუნების ამბავია მხოლოდ!

გუნება! გუნება პირველ ყოვლისა!

(მოუბრუნდება კოკოტებს)



შესვი ლოლოტა! შესვი ბლანშეტა!
უან-სტეპ. ტუ-სტეპ. მისსისსიპი!
მხიარულება. ცეკვა. რიტმი!
(შემოვარდებიან მეგაზეთენი)

1 მეგაზეთე. „ლოტან“. „ფიგარო“. „ლაპრესსი“.
მიწისძვრა ავღანისტანში.
„ჰემოროიდონ“: ახალი აღმოჩენა.
(ყიდულობენ).

2 მეგაზეთე. „ბერლინერ ტაგებლატ“.
„ფორვერტს“. „ტაიმს“.
მარკის დაცემა. ამბოხება საქსონიაში.
ღმერთის გამოჩენა ინდოეთში.
(ყიდულობენ)

3 მეგაზეთე. „მანჩესტერ გარდიენ“. „პოპული“. „ავანტი“.
ექსტრა-რადიო. ექსტრა-რადიო.
ჭინკა ეიფელის. მაიმუნების აჯანყება.
(ყიდულობენ)

ფინკელშტინ. ერთი-ხმამალლა წაიკითხეთ.
პენუტიე. ამწამსვე!
(კითხულობს)

„ლონდონის ბირჟა—მაგრად. პარიზის ირყევა.
ნიუიორკი უცვლელია. ბერლინისაზე:
კატასტროფიული დაცემა“.

ხმა მასხიდან. სტერლინგი მაგარია. დოლლარი ურყევია.
პენუტიე. „ავღანისტანში დიდი მიწისძვრა.
მიწისძვრა ხშირდება.
მსხვერპლი უთვალავი. შენობები დაინგრა მრავალი.
სიმშლილი მოსალოდნელია“..

ხმა მასხიდან. ავღანისტანი შორსაა.

პენუტიე. „საქსონიაში ამბოხება. აღელვება მატულობს“.



ხმა მასხიდან. არა უშავს. ფაშისტები მზად არიან.

პენუტიე. „ჰემოროიდონ: ახალი აღმოჩენა
დოქტორ პერკის“...

ფინკელშტეინ. დოქტორ პერკის?! ნამდვილია?!

პენუტიე. „სპეციალისტები გადმოგვეცემენ: მისწრებაა“...

ფინკელშტეინ. ადრესი?! პერკის ადრესი!

ლოლოტა. ხა-ხა-ხა. ონკელ ფინკელ..

ბლანშეტა. შენს კატალოგს არც მაგ კლებია... ხა-ხა-ხა.

ფინკელშტეინ. მე სხვისთვის მინდა... მეგობარი მყავს.

ხმა მასხიდან. განაგრძეთ.

პენუტიე. „ინდოეთში გაჩენილა ახალი ღმერთი“...

ფინკელშტეინ. თავი მოგვაძულეს ამ ღმერთებმა.

რომ არ ისვენებენ და არც ჩვენ გვასვენებენ?!

მოსე. ზოროასტრ. ბუდდა. ქრისტე. მუჰამედ.

ახლა კიდევ ვიღაც ახალი...

კმარა! თავი დაგვანებონ...

განაგრძეთ!

პენუტიე. „შტეინახის ცდა დღითიდღე მართლდება“.

ფინკელშტეინ. ღმერთი: ეს მესმის. ვაშა შტეინახს!

პენუტიე. „მხოლოდ მაიმუნები მეტს
ველარ ითმენენ“:

ფინკელშტეინ. რააო? მაიმუნები?!

პენუტიე. „აღარ სურთ თავიანთ ხარჯზე
აღამიანთა ჯიშის გაახალგაზრდება“.

ფინკელშტეინ. ჰა-ჰა-ჰა-ჰა. ჩინებულთა! .

პენუტიე. „ამერიკაში—აფრიკაში

—ზოოლოგიურ ბაღებში—

ყველგან მიტინგებს მართავენ

და პროტესტს აცხადებენ“.

ხმა მასხიდან. ვაი მაშინ ფინკელშტეინს!



ეროვნული
ბიზლიროთა

ფინკელშტეინ. თუ ოპერაცია ამბობებამდე მოხდა—
საშიში არაფერია.

ეს მე არ მეხება.

ლოლოტა. (ხითხითებს)

ბლანშეტა. (ხითხითებს)

პენუტიე. „აჯანყებულებს შეთაურობს
ცნობილი დადაისტი“...

ხმა მასხიდან. რომელი?

პენუტიე. „ცნობილი დადაისტი პაბლო პიკაბია“..

ფინკელშტეინ. პიკაბია! პაბლო! მეგობარია ჩემი...

ხმა მასხიდან. მაშ—საშიში არ ყოფილა.

ფინკელშტეინ დაგვიცავს..

მასხა. (ხითხითებს)

პენუტიე. „ეიფელის კოშკზე ღამღამობით
ყვითელ ჭინკას ნახულობენ“...

ფინკელშტეინ. ეს ჩადიო ალბად მისი მოჭორილია..

ხა-ხა ხა. მე მართლაც სერიოზული მეგონა.

კინალამ დავიჯერე. ხა-ხა-ხა.

ლოლოტა. (ხითხითებს)

ბლანშეტა. (ხითხითებს)

ფინკელშტეინ. უან-სტეპ. ტუ-სტეპ. მხიარულება.
ლოლოტა! ბლანშეტა!

(კანტი და აინშტაინ თაფებს გამოყოფენ)

კანტი. ფენომენია მხოლოდ—ყოველი.

აინშტაინ. რელატივიზურია მხოლოდ—ყოველი.

(მიიმალებიან)

ფინკელშტეინ. ფენომენი და რელატივობა.

ლოლოტა და ბლანშეტა.

უან-სტეპ და ტუ-სტეპ.

ცეკვა. ცეკვა.

(შემოდის ყრუდ ევნო აზეფულ. მიუჯდება განმარტოვებულ მაგიდას. აყლაყუდა. მხრებში ოდნავ მოხრილი. სქელი. ქონიანი კისერი. მხრებში ჩაზდილი. სხეულზე: ცილირონი ფერის-მკამელები. თმა მოკლე. მოღუწულად. ცილირონი იცქირება. უნდო. მოითხოვს ლუდს. ერთი წამით ყველა მას ხედავს. თითქო ვერ იტანს სხვის ცქერას. დგება. მიდის ტელეფონთან. გარეთ ხმაურია.)

აზეფულ. ცენტრალური?! მომეცით 17: A. O.

ვინ არის?! ჰო! იქნება საათის შვიდზე .. სალამოს... მაშ „ის“: როგორც გითხარით..

(ჩამოკიდებს ტელეფონის ტარს. შემდეგ ისევ.)

ცენტრალური?! მომეცით 101: S. E.

ვინ არის?! ჰო!.. „პიკის“ ბინაზე..

ჰო! დღეს... ღამის თერთმეტზე..

(მობრუნდება მაგიდასთან)

ფინკელშტეინ. რიტმი და ცეკვა..

ვიმეორებ: რიტმი და ცეკვა...

(ხმაურობა გარეთ ნელდება. გაისმის: „ბოშა“ — „მარჩიელი“. შემოვარდება მორელლა მოსხლეტილი ჯერიანივით. 17 წლის. მაღალი. თეძოები ფართო და კვრივი. უჩანს წვივები დასისხული. მკერდი ამოზილული და ქარბად მსუნთქავი. შავგვრემანი. ფერი მოლურჯო გადაჰკრავს: როგორც თოვლის: ჩრდილებში იისფერი. თმა ხშირი და შავი. თვლები-ხელიკისფერი. ყოველი ნაკვთი მოკუმული: თითქო ამოსავარდნათ განმზადილი. რხევაში ველურობა. ძრაობაში სიმკვეთრე. ტანს აცვია კაბა ოდნავ შეხეული. კაბა წითელი. კაბაზე გულის ნაჭრები: ზოგი დაისრული — ზოგი სისხლიანი — ზოგი დასერილი — ზოგი დაღვარული.)



მორელლა. მარჩიელი! კარგი მარჩიელი!

ყველას ვუმხილო წარსული და მომავალი!

გადმოშალეთ ხელის გულები!

(წამოხტებიან და გარს ეხვევიან. ძანილი: „მე მირჩიე—მე მირჩიე“. ზოგი კაზინოდანაც მორბის. პირველი მივარდება ფინკელშტეინს.)

ფინკელშტეინ. აბა: კარგი რამ მითხარ.

შენ ლამაზი გოგონა ხარ.

მორელლა. გიყვარს ლამაზი გოგოები.

ლოლოტა. (ხითხითებს)

ბლანშეტა. (ხითხითებს)

ფინკელშტეინ. ლამაზი გოგო ვის არ უყვარს?!

მორელლა. სნეულება გაქვს ბევრი...

ფინკელშტეინ. ეს მეც ვიცი... შენ მითხარ:

მოვრჩები თუ არა.

მორელლა. უთუოდ მორჩები... გექნება მხიარულება...

კარგი გუნება...

ფინკელშტეინ. კარგი გუნება... ეს პირველია...

ხომ გეუბნებოდით!!

ლოლოტა. (ხითხითებს)

ბლანშეტა. (ხითხითებს)

1 მოთამაშე. ახლა—მე, როგორ ვითამაშო?!

მორელლა. დღეს ნუ ითამაშებ... წაგების ხაზია...

2 მოთამაშე. ჩემი ხაზი როგორია?!

მორელლა. ცუდი არაა. მაგრამ არც მოგებისაა...

3 მოთამაშე მე დღეს უნდა მოვიგო.

მორელლა უთუოდ მოიგებ.. მხოლოდ—დროზე ადექ.

4 მოთამაშე. მე ბევრი წავაგე...

მორელლა. კიდევ ბევრს წააგებ...

5 მოთამაშე. ვალი უნდა გავისტუმრო...



მორელა. აილე გეშვიდე რიგი...

ლოლოტა. ეხლა მეც მიჩიე...

მორელა. მხიარულება... რაღაც მოგელის... ციკლი...

ბლანშეტა. მეც მსურს მიჩიო.

მორელა. შენ გსურს ცოლად გაჰყვე მდიდარ ურიას..

(კანტი და აინშტაინ გამოჩნდებიან)

კანტი. ფენომენია მხოლოდ—ყოველი.

საგანი თავისთავად გამოუცნობია.

მორელა. გამოუცნობიაო!? ვინ როშავს ამას?!

აინშტაინ. რელატივიურია მხოლოდ—ყოველი.

აბსოლუტური მოხსნილია იმთავით.

მორელა. მოხსნილიაო!? ვინ ამბობს ამას?!

(კანტი და აინშტაინ იმალეებიან)

ფინკელშტეინ. ფილოსოფოსებია. ყველაფერი იციან:

თუმცა—თუ მარტო დარჩენ—საკითხაოდ შოვლენ—

შენთან უთუოდ... ხა-ხა-ხა...

(საერთო ხმაური და სიცილი. შვეიცარი წამოიძახებს.)

შვეიცარი. სურ რაულ როკფელლერ!

(მასსა გაშეშდება უეცრად. შემდეგ: ესალმებიან. ფინკელშტეინ პირველი მიდის როკფელლერთან. კაზინოში თამაში რამოდენიმე წამით წყდება. თვითონ რაულ: ახალგაზდა ყმაწვილი როკფელლერების დინასტიიდან. მალალი. მფლობელის ტენდუ. მედიდური. მაგრამ არა ხაზგასმით. პირმოპარსული. ბლონდინი. თაფლისფერი თვალები. ქვედა წყება კბილების ცალგვერდით ოქროსია. ახლავს მცველი ატლეტი. თან: დიდი დოგი. დაჯდება.)

როკფელლერ, ეს ქალი ვინაა?

გელფერიხ. ბოშა გოგონაა..



პენუტიე. მარჩიელია...

როკფელდერ. ლამაზია... ველური...

ფინკელშტეინ. მოდი აქ გოგონა...

როკფელდერ. მოდი ახლო... ნუ მორცხვობ...

(მორელლა უახლოვდება რაღაც დარცხვენით. მეორეს მხრით შემოდის „უცნობი“. ვერავინ ამჩნევს. დაახლოვებით 30 წლის. სახე: ამერიკული მუფის-ტოფელის. ტურისტის ტანსაცმელში. კვრივი როგორც მოზვერი და მოქნილი როგორც მწვეარი. თვალები რუხი. მარცხენა თვალს ლურჯი ტალღა გადაჰკრავს. ძრაობაში თავდაჯერება უკანასკნელი. რხევაში: სიმკვეთრე—მაგრამ წამსვე პლასტიურ გახსნილი. ხმაში: ბძანება. ნება: რვალის. მთელი ფიგურა: ბედისწერა. თითქო ვერმხედავი: განზე იტყირება. არდაეჭვება და არც გაორება ბეწვის ოდენი. მონოლიტური. რწმენა და საქმე ერთიდაიგივე. ნდობა და ასრულება ერთადიმავე დროს. სდგას შორიახლო. თვალს ადევნებს მორელას).

ფინკელშტეინ. რას მორცხვობ?!

როკფელდერ. შენი სახელი?!

მორელლა. მორელლა.

როკფელდერ. ლამაზი სახელი გქონია.. იცი კითხაობა?!

მორელლა. ბავშობიდან.

როკფელდერ. მაშ ამოიკითხე ჩემი ბედი.

(უშლის ხელს)

მორელლა. ოქრო... ოქრო... ოქრო...

როკფელდერ. სხვა არაფერი?!

(უცნობი უეცარი მოსხლეტით)

უცნობი. სხვა რა უნდა იყოს?!

(შეტრიალდებიან. უცქერიან გაშტერებით უცნობს.
როკფელლერს თითქო არ სმენია. განაგრძობს შეკითხვას.)

როკფელლერ. გეკითხები: სხვა არაფერი?!

მორელა. ოქრო... ოქრო... ოქრო...

როკფელლერ. მე გეკითხები: სხვა კიდევ არაფერი?!

(უცნობი უეცარი მოსხლეტით)

უცნობი. სხვა რაღა უნდა სურდეს

„დიდებულს“ როკფელლერს?!

(გაოცება. როკფელლერ ოდნავ გახედავს უცნობს.
განაგრძობს შეკითხვას.)

როკფელლერ. მე გიბრძანებ შენ: სთქვა სხვა რამ...

მორელა. ოქრო... ოქრო... ოქრო...

როკფელლერ. გეტყობა: ოქრო ძლიერ გყვარებია.

ხვალ ჩემთან იქნები ოქროს ხეაღაში.

უცნობი. არაოდეს!

როკფელლერ. რააოო?!

უცნობი. სმენა კარგი უნდა გქონდეთ: სირ როკფელლერ.

ეს გოგონა ხვალ შენთან არ იქნება.

როკფელლერ. თქვენ ვინა ხართ?!

უცნობი. მე მეტრიკა არა მაქვს.

შესაძლოა ჩემი სახელი თქვენი გვარის ნათესავი იყოს.

თქვენი გვარი იწყება სიტყვით — „როკ“.

რუსული რომ იცოდეთ — იქ „ბედს“ ამოიკითხავდით.

მაგრამ „ფელლერ“ უნდა გამოაკლოთ:

ბედს ვერ ეგუება.

მოუმატეთ მას „ამორ“ —

მიიღებთ სახელს „როკამორ“..

როკფელლერ. მე ხუმრობის გუნებაზე არა ვარ.

უცნობი. მე ჯერ არ ვიცი რა არის ხუმრობა.



როკფელდერ. თქვენ ქარავმით ლაპარაკობთ.

უცნობი. ქარავმა თქვენთვის მგონი ადვილია.

როკფელდერ. მე გეკითხებით უკანასკნელ: ვინა ბართქალი

უცნობი. არავენ და ყოველი.

მე ვარ ქვაში და მე ვარ მცენარეში.

მე ვარ ცხოველში და მე ვარ კაცში.

ყოველი წვეთი ცოცხლობს ჩემით.

ყოველი ნდობა სუნთქავს ჩემით.

არ ვიცი მიჯნა. არ ვიცი ზღუდე.

არ ვიცი ჯებირი. არ ვიცი კედელი.

არ ვიცი ნაპირი. არ ვიცი უფსკრული.

მე ვარ წადილი. მე ვარ გადალახვა.

მე ვარ შემტევი. მე ვარ უტეხი.

მე ვარ ძლევა. მე ვარ გამარჯვება.

როკფელდერ. ჯერ მხოლოდ სიტყვები.

ფინკელშტეინ. სიტყვები რიტმიული.

გელფერიხ. სიტყვები მედიდური.

პენუტიე. სიტყვები—არაფერი.

უცნობი. არა! სიტყვები—ცხელი შანთები.

სიტყვა ჩემი ნალია ხურვალი.

სიტყვა ჩემი სალტეა დარტყმეული.

სიტყვა ჩემი მქნელია ნივთის.

მოხვდება „არას“—გააჩენს რამედ.

მოხვდება რამეს—გახდის სხვარამედ.

მოხვდება ქვეყანას—გაუხრის ხერხემალს.

სიტყვა ჩემი ნებაა თვითონ.

ნება ჩემია არსია ყოველის.

როკფელდერ. ბუნდოვანია.

გელფერიხ. რახარუხია.

უცნობი. ჩემი ნება ბედია თვითონ.

ჩემი მზერა სალტეა ბედისწერის.
ჩემი ატეხა თესლია ამწვარი მაგარი კენტაურის.
ჩემი კუნთები სიცხეა ჰანნიბალის.
ჩემი გავარდნა ცხენია თიმურ-ლენგის.

პენუტიე. დიფირამბია ლირიული.

ფინკელშტეინ. რიტმი მარტო ცეკვაში
არ ყოფილა აუცილებელი.

როკფელდერ. მე ვარ ქვეყნის განძი: ოქრო.
მე ვარ ქვეყნის მლეობა: რკინა.

უცნობი. მე ვარ ლხინი ბედისწერის.

ხმა მასხიდან. გიჟი ხომ არაა?!

უცნობი. დიახ გიჟი. თქვენ მხოლოდ შეშლილები იცით.
(მორელლა სმენაა ცარიელი. თითქო თავის არსებობას ხედავს—უცხოურ მდინარეს.)

ფინკელშტეინ. გარჩევა მგონი არ არის დიდი.
(უცნობი მორელლას დაუძახებს. უთითებს აზეფულზე.)

უცნობი. მორელლა! ურჩიე იმ კაცს!
(მორელლა უახლოვდება)

მორელლა. ეს ხაზი.. ის ხაზი.. არ არის ბედი..
არ არის კვალი.

უცნობი. კარგად დააკვირდი!.

მორელლა. ერთი ხაზი.. მეორე ხაზი.. არსად შეერთება.
თითქო ბედი გატეხილია.. არა: შედის გარეა.
შეუძლებელია ამოკითხვა..

ხმა მასხიდან. მაგას ბედი მსუქან გოგოებში აქვს..

ლოლოტა. (ხითხითებს)

ბლანშეტა. (ხითხითებს)

ფინკელშტეინ. პირველად მესმის:
რომ კაცს ბედი არ ჰქონდეს..

(აზეფულ წამოდგება. გაზომავს თვალთ უცნობს.
შეირბევა დიდი გველივით. მიმართავს უცნაური
თვალგაყრით.)

აზეფულ. ჩვენ შევხვდებით კიდევ ერთმანეთს..

უცნობი. ჩვენ ვხვდებით ერთმანეთს
ყოველ გზაჯვარედინზე.

(აზეფულ გადის. ჩნდება იან კანტი და აინშტაინ.)

კანტი. საგანი თავისთავად გამოუცნობია.

ფენომენია მხოლოდ—ყოველი..

აინშტაინ. აბსოლუტური მოხსნილია იმთავით.

რელატივურია მხოლოდ—ყოველი..

(კანტი და აინშტაინ იმალებიან)

უცნობი. ესენი ვინ არიან?

ფინკელშტეინ. მოჩვენებანი ასტრალის ტვინანთების...

თუმცა ხანდახან მართალს ამბობენ..

როკფელდერ. გაათავეთ „სპექტაკლი?!“

უცნობი. ჯერ მხოლოდ დაწყებაა.

(მიმართავს მორელლას. მორელლა უახლოვდება
თითქო ძალა-უნებურად. უცნობი უშლის ხელის
გულს.)

ფინკელშტეინ. აკი გითხარით: უმარჩიელოდ

არავის შეუძლია სიცოცხლე..

ხედავთ თითონ ბედისწერას

დასჭირდა მარჩიელი გოგონა..

უცნობი. შენ მიხვედრა გაქვს.. მითხარი ჩემი ბედი..

მორელლა. მარჯვენა ხაზი.. მარცხენა ხაზი.. ხვეული..

არ შემიძლია.. დამეხსენ..

უცნობი. სთქვი.. გული რად გიძგერს?!

მორელლა. დამეხსენ.. არ შემიძლია..

უცნობი. მაშ. მე დაგეხმარები..



მორელლა. არა... არა: ბრუ მეხვევა..

უცნობი. შენ ჩუმიად კითხულობ:

„მე შეგიყვარებ შენ და ვიქნები შენა უნივერსალი“
სთქვი ხმაშაღლა..

მორელლა. მე შეგიყვარებ შენ და ვიქნები შენი..

(როკფელდერ რისხვით შეუტევეს უცნობს)

როკფელდერ. ჰა შენ მხოლოდ ეს გინდოდა—

სხვაგვარ სიტყვებით გოგონას მოტყუება..

უცნობი. შეჩერდით!

როკფელდერ. დაიკარგეთ! მე ოქრო ვარ და რკინა!

უცნობი. გაიმეორეთ კიდევ.

როკფელდერ. მე რკინა ვარ და ოქრო.

უცნობი. მაშ კარგი: ვსცადოთ თქვენი რკინა—

ვსცადოთ თქვენი ოქრო.

საცდელი კარგი გაქვთ შექმნილი—

კაზინო: ბედის საპატიმრო..

როკფელდერ. გაგაჩნიათ რამე?!

თამაშისთვის საჭიროა ფული..

უცნობი. აი სამაჯური ზურმუხტისა—

ცხენის ნალის ოდენი.

ზედ ამოჭრილია კლეოპატრას პროფილი.

ფასი: მეტი ვიდრე ათასი სტერლინგი.

როკფელდერ. თანახმა ვარ.

უცნობი. ბანკს მე დავიჭერ.

როკფელდერ. თანახმა ვარ.

(გაიმართება ბაქარა. ჯერ ეთამაშებიან უცნობს

მხოლოდ პროფესიონალები. სმენა გაგუდული მასსა-

ში. ფინკელშტეინ დაფუსფუსებს.)

უცნობი. ვიწყებ. ათასი სტერლინგი.

1 მოთამაშე. მოდის.. შვიდი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

უცნობი. რვა.

კრუპიე. მოგება უცხოელს.

უცნობი. ორი ათასი სტერლინგი.

2 მოთამაშე. მოდის.. ექვსი..

უცნობი. შვიდი.

კრუპიე. მოგება უცხოელს..

უცნობი. ოთხი ათასი სტერლინგი.

3 მოთამაშე. მოდის.. რვა.

უცნობი. ცხრა.

კრუპიე. მოგება უცხოელს.

უცნობი. ათიათასი სტერლინგი.

4 მოთამაშე. მოდის. სამი.

უცნობი. ხუთი.

კრუპიე. მოგება უცხოელს.

5 მოთამაშე. მოდის შვიდი.

უცნობი. რვა.

კრუპიე. მოგება უცხოელს.

უცნობი. ოთხმოცი ათასი სტერლინგი.

6 მოთამაშე. მოდის.. რვა.

უცნობი. ცხრა.

კრუპიე. მოგება უცხოელს.

უცნობი. ოთხმოცი ათასი სტერლინგი.

7 მოთამაშე. მოდის.. ექვსი.

უცნობი. რვა.

კრუპიე. მოგება უცხოელს.

უცნობი. ასოთხმოცდა ათი ათასი სტერლინგი.

(არავინ არის მსურველი. გამოდის მედიდურად როკ-ფელლერ. სმენა გაგუდული.)

როკფელდერ. კარტი!

უცნობი. ინებეთ!

Handwritten notes in Georgian script, including the word 'შეწავ' and other illegible characters.



როკფელლერ. შვიდი.

უცნობი. რვა.

კრუპიე. მოგება უცხოელს.

უცნობი. სამასი ათასი სტერლინგი.

როკფელლერ. კარტი!

უცნობი. ინებეთ!

როკფელლერ. რვა.

უცნობი. ცხრა.

კრუპიე. მოგება უცხოელს.

უცნობი. მთელი მოგება!

(როკფელლერს უნდა კიდევ წამოიძახოს — „კარტი“. წააწყვეს — მაგრამ უეცრად შეჩერდება. თავს იკავებს. ქალები ხარბათ მზერენ უცნობს. მოთამაშენი პირ-ქვე დამხობილნი სხედან. მათ შორის გელფერიხ და პენუტიე. ფინკელშტეინ დაფუსფუსებს. მას არ მიუღია მონაწილეობა. როკფელლერ მიმართავს უცნობს.)

როკფელლერ. დღეს თქვენ ხართ გამარჯვებული.

უცნობი. როგორც ყოველთვის.

როკფელლერ. ოქრო ბევრი გერგოთ.

ლამაზი გოგოც ალბად თქვენი იქნება.

იგი სულ ოქროს კითხულობდა ჩემს ხელზე.

(ამ სიტყვებზე გადმოიჭრება უცნობი. აიღებს მოგებას. ყოფს ორ ნაწილად. ერთ ნაწილს ფეხქვეშ მიახლის მილლიარდერს.)

უცნობი. ჰა! შენი ოქრო!

(როკფელლერ მიინც მედიდურია. არ იღებს.)

როკფელლერ. წაგებულს მე ფეხით ვთელავ.

(გადის. მიჰყვება მცველი. უცნობი ეხლა მეორე ნახევარს სხვებს გადააყრის. საშინელი ჩოჩოლი.)



უცნობი. ჰა! თქვენი ფული!

ჰა! თქვენი ოქრო!

ასწიეთ მაღლა თავი! რას დაღვრემილხარო?

კიდევ შეეხვდებით სათამაშოდ ერთმანეთს.

ეგებ მაშინ მოიგოთ.

ამართეთ მაღლა თავი! იმხიარულეთ!

იყიდეთ სილამაზე!

გაპყიდეთ სიქალწულე!

შეიტანეთ შემოსავალ-გასავალში.

უხმეთ მუსიკას! იწყეთ ცეკვა!

იანგარიშეთ ბედის ნაყარი!

უან-სტებ. ტუ-სტებ. მისისისიპი.

(შემდეგ მიმართავს მორელლას)

მორელა! შენ კიდევ მიწა ხარ.

შენ მიხვდი მხოლოდ ჩემს ვინაობას.

ხვალ სალამოს —

როცა მზე შეანელებს

ყვითელ კალთების ნაკვერჩხლებს —

ქალაქის ჩრდილო ბჭესთან ვიქნები.

მე შენ იქ მოგელი —

მორელლა..

(გადის სწრაფად. მორელლა ხელებგაწვდილი —

თითქო სომნამბულა — გაიწევეს მისკენ შესძახილათ.)

მორელლა. შენთან.. შენთან...

მხოლოდ შენთან...

შენის გზით..

(აურზაური. დაბნეულ ფულებს ერთიმეორეს ჰგლე-

ჯენ. ქალები ხითხითებენ. უკრავს მუსიკა. ფინკელ-

შტეინ ფუსფუსებს.)

ფინკელშტეინ. წინასწარ ვიცი ყველაფერი.

ბედი მაქვს: რომ არ ვითამაშე.



ეროვნული

დემოკრატიული რესპუბლიკა

ლოლოტა. (ხითხითებს)

ბლანშეტა. (ხითხითებს)

გელფერის. შენ მაინც წააგე: ჰერო ფინკელშტეინ!

ფინკელშტეინ. როგორ?! მე ოფლში არ ვაწურულვარ.

პენუტიე. როკფელერის ფული ჩვენ გვერგება.

ფინკელშტეინ. ეგ შეუძლებელია. მეც თქვენთან ვიყავი.

გელფერის. ჩვენთან იყავი—მაგრამ არ გითამაშნია.

პენუტიე. როკფელერის ფული—მოთამაშეებს!..

ფინკელშტეინ. ცუდათ ვიანგარიშე.

(მოთამაშენი ფულს იყოფენ)

ლოლოტა. როგორ დაგემართა?! ჰა! ონკელ ფინკელ!

ხა-ხა-ხა! ონკელ ფინკელ!

ფინკელშტეინ. არაფერია გვრიტებო.

მე და მოწყენა!?

იყოს მხოლოდ გუნება—

და თქვენ მყავდეთ კარგათ.

მასსა. (ხითხითებს)

კანტი. ფენომენია მხოლოდ—ყოველი.

საგანი თავისთავად გამოუცნობია.

აინშტაინ. რელატივიურია მხოლოდ—ყოველი.

აბსოლუტური მოხსნილია იმთავით.

(კანტი და აინშტაინ მიიზალეებიან)

ფინკელშტეინ. ესლა უთუოდ დავრწმუნდი:

რომ ეს საფთხოებლები მართალს ამბობენ

ფენომენია უთუოდ ყოველი.

რელატივია მხოლოდ ყველაფერი.

ერთი გამონაკლისი მარტო:

ცეკვა—რიტმი.

რიტმს ვერ დავთმობ.

აბა მუსიკა!



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფერხული!

უან-სტებ. ტუ-სტებ. მისსისსიპი.

ლოლოტა. ბლანშეტა!

ლოლოტა. ონკელ ფინკელ.

ბლანშეტა. ონკელ ფინკელ.

(შემოცვივდებიან მეპაპიროსენი. ჩაერევიან საერთო
ფერხულში. ხტიან. მღერაიან.)

ყველა. პაპიროსი „ექსტრა“.

უან-სტებ. სტებ. სტებ.

შეხურდი მანსტრო.

ტუ-სტებ. სტებ. სტებ.

უან-სტებ. ტუ-სტებ!

ქალებს ნუ სდევ.

მისსისსიპი. მისსისსიპი.

კოკტაილ!

(მორეგლლა განზეა. არ იმღერის. გასცქერის შორს.)

Handwritten signature and scribbles in the top left corner.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

სურათი ამოცანა

ამოცანა ფატი

მოკმედი:

უცნობი.

მორელა.

მეწისქვილე — მოხუცი.

მეთევზენი.

ვაჟი.

ქალი.

წისქვილი მთებში. ღამისსათვეი ოთახი. კუთხეში პრიმიტიული ბუხარი. ცეცხლის პირას სხედან: მოხუცი მეწისქვილე. ქალი და ვაჟი. ქალი 15 წლის. ვაჟი 17 წლის. მარჯვნივ გასაღები საფეხველ განყოფილებაში. ისმის სარეკელას რაკუნის ხმაური მდინარის და რიტმი ბორბლების. ღამე სრულმთვარიანი.

ვაჟი. რა ვქნათ რომ შემოგვალამდა?!

მოხუცი. ჩემთან გაათევთ ღამეს.

ვაჟი. ჩვენებს შეეშინდებათ.

მოხუცი. არა. იფიქრებენ რომ ჩემთან დარჩი.

ვაჟი. მე-კი. მაგრამ ჩემი თანამგზავრი!?

მოხუცი. ისიც ჩვენთან გაათევს ღამეს.

ქალი. ჩვენებს არ შეეშინდებათ.

ხშირად მითენებია ღამე სხვაგან.

(პაუზა)

ვაჟი. რისთვის არ დადიხარ სოფლად ბაბუა?

მოხუცი. მდინარეს შევეჩვიე. შეჩვევა იცის.

ბავშობიდან აქა ვარ. ოთხმოცი წლისა ვარ.

ქალი. მდინარე ხალასია. უკეთესია ვიდრე ტყე.

ხიდზე რომ შევჩერდები ხანდახან—მდინარეს თვალს ვერ ვაცილებ. მზიბლავს. მიზიდავს.

მოხუცი. აღრე გაგივია გოგონა მდინარის საიღუმლო.

ვაჟი. მე უფრო ტყე მიყვარს. ხე მიყვარს. ნადირობა.

ქალი. მე ველი მიყვარს. დაფენება. ქალები.

მოხუცი. ყველაფერი კარგია—ბავშვებო.

(პაუზა. მოხუცი ყურს უგდებს სარეკელას. გადის საფქველ განყოფილებაში.)

ვაჟი. ტყეზე უფრო მიყვარხარ. ნადირობაზედაც.

ქალი. როცა ველზე ვარ ან ქალებში:

სულ შენ მეჩვენები.

ვაჟი. ტყეში ყოველ შრიალზე შენ მელანდები.

ქალი. მზის დასავლისას—როცა

მთის კალთები აღვივდებიან—

ჰო! რა ტკბილი წამია!—სულ შენზე ვფიქრობ.

(ბრუნდება მოხუცი)

მოხუცი. მალე იქნება შუალამე...

შვილისშვილი არ ბრუნდება.

ვაჟი. სად არის?

მოხუცი. სათევზაოდ წავიდა.

ქალი. ლამეში... მარტო...

მოხუცი. მარტო უყვარს თევზაობა.

მთვარიან ღამეს არ გამოსტოვებს.

ვაჟი. მთვარიან ღამეში მდინარიდან ქალი ამოდისო.

ქალი. მეც გამიგონია. ნუ თუ მართალია?!

მოხუცი. მართალია... მაგრამ ყოველთვის—არა...



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვაჟი. მამ როდის?

მოხუცი. ამის ცოდნა საცდურია.

შვილისშვილმა გაიგო საიდუმლო.

ეხლა მთვარიან ღამეს მდინარესთან ატარებს.

ქალი. ყოველ მთვარიან ღამეს ხომ არ ამოდის?!

ვაჟი. გვითხარ ბაბუა!

ქალი. გვითხარ! ჩვენ მდინარისაგან შორსა ვართ.

ვაჟი. საცდური არ იქნება ჩვენთვის.

მოხუცი. ყოველ მთვარიან ღამეს

მდინარე ერთი წამით იძინებს.

იმ წამს მთვარის სინათლეზე

ქალი გამოდის მდინარედან ტიტველი.

ქალი. ლამაზია?!

ვაჟი. როგორია?!

მოხუცი. მკერდი: ქაფივით თეთრი და მკვრივი.

ძუძუები: თეთრი და მაგარი რიყის ქვასავით.

თვალეები: ამღვრეული ზურმუხტი.

თმა: მოშავო და ხშირი.

ქვედა ნაწილი თევზისა: ხავოიანი.

თუ მოგახვედრა ტანი —

სხვა ქალს ველარ ისურვებ..

ქალი. შენ გინახავს?!

ვაჟი. ბევრჯერ გინახავს?!

მოხუცი. სამოცდაათ წლამდე ყოველთვის ვნახულობდი.

ქალი. შემდეგ?

მოხუცი. შემდეგ არა.

ვაჟი. ხომ არ გყვარებია?

მოხუცი. ეხლაც ჟრუანტელი მივლის:

როცა მაგონდება.

ქალი. ერთი და იგივე იყო?



მოხუცი. ვერ ვიტყვი: რომ ერთი იყო.

იგი ცოტას ლაპარაკობს: ორ სამ სიტყვას.

სახით ყველა ერთნაირი იყო.

(პაუზა. მოხუცა შეჩერდება. ყურს ღებავს.)
ლას. გადის საფქველ განყოფილებაში.)

ვაჟი. ვერც ერთი ქალი ვერ შეგედრება.

ქალი. რომ შეხვდე მდინარის ქალს?!

ვაჟი. შენი მსურველი დაფრჩები მაინც.

ქალი. ნეტავ მე მანახა ის უცხო ქალი.

ვაჟი. ვგებ შენა ხარ იგი თვითონ!.

ქალი. მე რომ ველზე ვცხოვრობ?!

ვაჟი. ხიდიდან რომ ჩასცქერ მდინარეს ბრუნდასხმული —
იქ შენს სახეს არ ხედავ ასარკულს?!

ქალი. როცა თავბრუ მეხვევა —

მჭვინ შენ ხევენასა გრძნობს ტანი.

შენი ხევენაა ხომ?!

ვაჟი. ჩემი ხევენა..

(ბრუნდება მოხუცი)

მოხუცი. რა დაემართა?! რად იგვიანებს?!

ვაჟი. ალბად ქალი ნახა..

ქალი. არ გამოუშვებდა..

მოხუცი. დღეს მდინარე არ მიძინებულა.

ვაჟი. განა ახლაც ტყობილობ?!

მოხუცი. კიდევ რომ ვთვლემდე.

(ხმაური. კარებში რახუნი. შიში.)

ქალი. ვინ არიან?!

მოხუცი. ვინა ხართ?

ხმები. მეთევზენი. გაგვიღე კარი.

(მოხუცი უღებს მათ კარებს. შემოდის მეთევზენი)



ბადეებით. კალათებში: თევზები. მილიან (მეცხლთან.)

მოხუცი. შვილიშვილი ხომ არ გინახავთ?

1 მეთევზე. აქვეა მდინარის პირას.

მოხუცი. რას აკეთებს?

2 მეთევზე. ოცნებობს მთვარით აქათქათებულ რიყეზე.

3 მეთევზე. ალბად მდინარის ქალზე ოცნებობს..

4 მეთევზე. მე ჯერ არ მინახავს მდინარის ქალი.

5 მეთევზე. ყველა ვერ ნახავს მას...

ვაჟი. რატომ?

1 მეთევზე. მხოლოდ უცოლო თუ ნახავს...

2 მეთევზე. მალე შეირთე ცოლი ბიჭო—

თორემ აღი გაგიტაცებს...

3 მეთევზე. ეს გოგო ალბად შენი საცოლოა!

4 მეთევზე. თმები მზეს მიუგავს...

5 მეთევზე. ტანი—ტიტველ ჩანჩქერს მოხეთქილს.

მოხუცი. ლამაზია, ნუ აწითლებთ...

ვაჟი. მე მიყვარს...

ქალი. მეც მიყვარს იგი...

1 მეთევზე. სადმე კუთხეში კარგად ინებივრობთ...

ვაჟი. მე მას ჯერ არ მივკარებოვარ.

ქალი. ნუ ამბობ მეთევზე მაგას...

მოხუცი. დაეხსენით... მოისვენეთ... უკეთესია...

(პაუზა)

2 მეთევზე. მალე მდინარესაც ამოაშრობენ...

3 მეთევზე. მდინარის გოგოც გაჰქრება მაშინ...

4 მეთევზე. მალე ტყეებსაც გააჩეხენ...

5 მეთევზე. ტყის დედოფალიც გაჰქრება მაშინ...

ვაჟი. მალე მიწასაც ამოაშრობენ ძუძუებს...

მოხუცი. რას ლაპარაკობ?!

ქალი. ჩვენში სულ ამაზე ლაპარაკობენ...



მოხუცი. არა. არა. მიწა არ გაშრება.

ქალი. ჩვენში მუხებს სჭრიან.

მოხუცი. ვაი თუ დიდ მუხას ახლეს ხელი..
1 მეთევზე. რომელს?!

მოხუცი. აი ამ ქალის სოფელში რომაა!

ოცდაათ კაცმა უნდა შემოავლოს ხელი—
იმ სისხო ტანი აქვს...

2 მეთევზე. — ამბობენ: წმინდა მუხააო.

ვაჟი. — შენ გეცოდინება ბაბუა.

მოხუცი. ათასი წლის წინად

ჩვენს მხარეს მტერი შემოესია.

ჩვენს გვარს წმინდა ნაწერი ჰქონდა. გამიგონია.

ეწინოდათ: მტერს არ მოეტაცა იგი.

ჩათხარეს იგი ერთ ადგილს.

ზედ მუხის ნერგი დარგეს.

იზდება მას შემდეგ მუხა ნაწერის მადლით.

მისი ტოტების შრიალს მისანნი უსმენენ.

მისი ქერქი წამალია. ცილიც. რკოც. ფოთოლიც.

ხანდახან მას ლამით წმინდანიათ ევლება თავს.

(პაუზა. თვლება ერევათ.)

3 მეთევზე. ერთი სიმღერა სანამ მივიძინებდეთ...

(მღერიან)

ყველა. შუადღისას მუხის ტოტებს მოხვეოდა დიდი გველი.

ქორთა გოგო ჩვენს მკლავებზე

გადაწევი ვნება ცხელი.


(ამ დროს კარებს ასკდება ცხენების თქარათქური.

შეწყდება სიმღერა. ვილაც საშინლად არახუნებს.

შიში. დუმილი. ზოგი თოფს წვდება. ზოგი წერაქვს.

ზოგი კეტს.)

მოხუცი. ვინ არის?



ხმა. კეთილი მოგზაური. გააღეთ კარი.
 (მოხუცი აღებს კარს. შემოდის „უცნობი“ გაფით-
 რებული. მკლავებზე უწევს გულწასულობის
 დაასვენებს იქვე გაშლილ ქილოფზე.)

მოხუცი. ვინა ხარ? საიდან ხარ?

უცნობი. კარგია რომ მზადა ხართ..
 საჭიროა: თოფიც—წერაქვიც—კეტიც...

საცოლო მოვიტაცე—
 გამოვგლიჯე სასტიკ მტარვალებს...

კაცი შემომაკვდა. მღვენიან.
 მოგვდევენ უკან ცხენებით.

ქალი ორსულია და გული წაუვიდა.
 გაიქეციოთ ეხლავ. გადასჭერით გზაჯვარედინები.
 არავინ გამოუშვათ. გაფიცებთ მიწას მშობელს.
 თუ ვერ შეაჩეროთ—მაცნობოს რომელიმემ...
 (ყველანი ერთსულოვან დაემორჩილებიან. პირველი
 მიდის ვაჟი. შემდეგ მოხუცი. მასთან—მეთევზენი.
 რჩება მხოლოდ ქალი. იგი სველი ტილოთი შუბლს
 უგრილებს მორელლას. მორელლა გონს მოდის.)

მორელლა. თითქო ამ წამს ვხედავ ყველაფერს.

სუნთქვა მიწის ჩემს სუნთქავშია,
 მამრუებს ბალახის სურნელი,
 მათრობს მდინარის ხმაური.
 ქმარო. მძლეველო. მეგობარო.
 გცილდები. ვხედავ. გშორდები...

უცნობი. შენშია ჩემთვის დღეს ყოველი.
 მორელლა! შენი საშო ცხელია.
 მორელლა! შენ მიწის მკერდი ხარ.
 მე შენს დენაში ვარ ნათელი.
 მე შენს ბადეში ვარ ნაყოფიერი.



ეროვნული

საბიბლიოთეკო

მორელლა! მორელლა!

შენ ხარ სირბილე. შენ ხარ სიტკბილე.

დაცილება: არა. არა.

მორელლა. შენი ნაყოფი იძვრის ჩემს მუცელში.

ჰო! როგორ მეყვარებოდა შენი ძე. შენი თესლი.

ვიქნებოდი მე დედა მკერდავსილი.

ჰო! რა ხალისით დაიცლებოდენ ჩემი ძუძუები—

მაშინაც კი: თუ ბავში გახელებით ძუძუს უკბენდა.

მე დავრბილდებოდი როგორც სიპი ქვა მიწაში.

მე გავიშლებოდი

როგორც ალორთქილი ყანა სიმინდის.

მე ავივსებოდი

როგორც ამომშრალი წყარო კლდეებში.

ეხლა კი ვხედავ: გცილდები..

უცნობი. ვერ დამცილდები.. შენ არ მოკვდები.

მორელლა. მე არ მოვკვდები.. შენ უნდა მომკლა..

უცნობი. მე უნდა მოგკლა?! მორელლა! რას ამბობ?

მორელლა. შენ უნდა მომკლა ეხლავე:

შენ—რომელმაც არ იცი ნაპირი.

შენ—რომელმაც არ იცი ზღუდე.

შენ—რომელმაც არ იცი გაორება.

უცნობი.—რას ამბობ?! მე უნდა მოგკლა?!

მორელლა. შენ: რომელიც ხარ ნება.

შენ: რომელიც ხარ ბედი.

შენ: რომელიც ხარ ასრულება.

უცნობი. ჩემი ნება დარბილდა შენი ტანის ტევრებით.

ჩემი ბედი შთაინთქა შენ ბნელ წიაღში.

ჩემი ასრულება ნაყოფშია: რომელსაც შენ ატარებ..

მორელლა. მეტი აღარ ძალმიძს.

ცხენზე სული მეხუთება. ნაყოფი ინჯღრევა,

ჩვენ მათ ვერ გავექცევით. დაგვეწვიან,

პო: სიკვდილი ვიდრე ტყვედ ჩაეარდნა.
სიბილწე. წარყვნა ყოველის.
ისმინე მალალო. ისმინე ქმარო.
მე უნდა მომკლა შენი ხელით.
მე ვხედავ ამას.



უცნობი. მორელლა! ტკბილო მორელლა!

ცოლო. დაო. საყვარელო.
ტყდება ჩემი ხერხემალი უდრეკი.
იმსხვრევა ნება ერთპირი.
ჩემი ხელი უღონოა: შენ ვერ მოგკლავს იგი.
მე მოველ სიბნელიდან
როგორც დაუფეშელი ნადირი.
არ იყო იქვი. არ იყო ორობა. არ იყო დაყოფა.
როგორც იზდება ხე. როგორც სქდება ზვავი.
როგორც მძვინვარებს მდინარე.
ისე მივდიოდი. ისე ვცოცხლობდი.
შენში ვნახე პირველად სინათლე.
შენში ვნახე პირველად სიყვარული.
შენში ვნახე პირველად ჩემი ნაღველი.
შენში აღვივდა პირველად ჩემი ხილვა.
მე შენი ვარ სრულად. მე შენი ვარ.
მე თუ მოგკალ შენ იქნება თავისმკვლევლობა..

მორელლა. ხედავ ვარსკვლავებს?! ხედავ ტალღებს?!
ხედებიან ერთი მეორეს: ნდომით. სისავსით.
ხედებიან ერთხელ და სცილდებიან სამუდამოთ.
არასდროს შემდეგ არ შეხვდებიან.
უფსკრულია ყველგან.
ვერაფერი ამოშლის ამ უფსკრულს.
თვითონ ბედისწერაც—ვერ.
დრო იქნება: მე და შენ დავცილდებით მარადის.



თუ გინდ მივიცვალოთ ერთად:
 ერთ დღეს ერთ საათს ერთ წამს.
 ერთი მეორეს საენებად გადახვეულნი
 იქნება ჩვენ შორის სიცალიერე.
 იქნება მარტოობა უკანასკნელი.
 მე მოგიხმობ შენ—შენ ვერ მოისმენ.
 შენ მომიწოდებ მე—მე ვერ გავიგონებ.

უცნობი. სიცალიერე სიგიჟეა. შეუძლებელია.

მორელლა. მაგრამ: თუ იქნება ერთი გზნება განუყოფელი.
 თუ იქნება ერთი განცდა.
 ერთი ნდომა. ერთი სურვილი.
 ისე როგორც ალი—რომელსაც ვერ გასჭრის დანა.
 ისე როგორც ტალღა—
 რომელსაც ვერ განკვეთს მახვილი.
 მაშინ სიცალიერე აღარაა.
 მაშინ არ იქნება სიმარტოვე.

უცნობი. მორელლა! ტკბილო მორელლა!
 მე შენთანა ვარ როგორც ალი.
 მე შენთანა ვარ როგორც ტალღა..

მორელლა. არა. არა. ჯერ კიდევ არა.
 შენ ხარ ბედის შვილი. უშიშარი.
 შენი თვალებით იცქირება ბედი უტეხი.
 შენ ეხლა შიშობ. ნუ ნალავ შიშს.
 იყავ პირვანდელი: მთელი. განუკვეთელი.
 საჭიროა გაბედვა უკანასკნელი.
 საჭიროა გარღვევა სინამდვილის.
 საჭიროა სიგიჟე.
 მომკალ დიდი სიყვარულით.
 მომკალ ქმარო ჩემო.
 მოჰკალ ცოლი შენი.

Handwritten signature and initials



ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოჰკალ შენი ნაყოფი.

უცნობი. მორელლა! მორელლა! მორელლა!

სიგიჟე მოდის გააფთრებული..

მორელლა. მაშინ იქნები შენ ჩემი.

მაშინ ვიქნები მე შენი.

სამყარო დაიშლება —

თუ კავშირი დაიშალა ჩვენი.

უცნობი. მორელლა! მოდის სიგიჟე.

(შემოვარდება ვაჟი)

ვაჟი. ჩვენებმა გზა გადაუჭრეს.

შემბაა საშინელი.

ვაი თუ ვერ გაუძღეს.

თავს უშველეთ.

ქალი. დედაო ძარიამ!

კეთილო ქალწულო!

დაგვიხსენ განსაცდელისაგან!

მორელლა. აგვიანებ?! მოდიან..

უცნობი. მაშ: მეც შენთან ერთად.

მორელლა. არა. არა. ეს შიშია იგივე.

სიყვარული. სიყვარული უკანასკნელი.

უცნობი. ბედო! უსახელო! შენა ხარ ჩემში?!

ვინ ხარ შენ?! ვინ ვარ მე?!

მაღალო! ბნელო! ძლიერო! მშველელი!

გესმის ჩემი ტკივილი?!

გესმის ჩემი კივილი?!

მორელლა. ჰა ჩემი ამულეტი: სიყვარულის.

შეიძლება დედა ნახო ჩემი.

შეიძლება მამა ნახო ჩემი.

შეიძლება ძმა ნახო ჩემი.

შეიძლება დაჯ ნახო ჩემი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე მგავს. ლურჯთვალა.
გახსოვდეს მორელლა...
მე მნახავ შენ სადმე...
მე გნახავ შენ.. ოდესმე...

(უცნობი უეცრად შეიცვლება. იქცევა პირვანდელი: სასტიკი და უტყუარი. შეჩერდება ერთი წამით: თითქო შეჩერდა მიწა-დედა. შემდეგ ერთი მოსხლეტიით იძრობს დანას და ჩასცემს მკერდში მარჯვნივ. დანას გაავდებს. დაახტება ჭრილობას ტუჩებით. აიყვანს ხელში სწრაფად და ისვრის მდინარეში. შემდეგ ისევ დაირღვევა თითქო. წაბარბაცდება. მერე: თითქო ერევა თავის თავს. როგორც დაკოდილი კენტავრი გავარდება კვილით.)

უცნობი. მორელლა! მორელლა! მორელლა!

(ვაჟი და ქალი აქამდე გარინდულნი იდგენ კედელთან. ქალი იკივლებს. ვაჟი მოსხლტება და გადავარდება მდინარეში. საშინელი მყუდროება. რამოდენიმე წამის შემდეგ ცოცხალ-მკვდარ მორელლას ამოათრევენ ვაჟი და მოხუცის შვილი-შვილი. მორელლა ოდნავ სუნთქავს. ქალი მივარდება და უხვივს ჭრილობას.)

ვაჟი. ჭრილობა სასიკვდილო არ არის.

მალამო ამ წამსვე.

(შვილი-შვილი უცბად მონახავს მალამოს. ქალი ადგება მას. მორელლა ბურანშია. ლულლულებს.)

მორელლა. სადა ვარ?! ვინა ხარ?

(ამ დროს გაიღება კარები. შემოვარდებიან მღვევარნი. მორელლა თვალებს ახელს. წამიერ მოუვა ცნობიერება—და თითქო სიკვდილს შეხედაო—შეკვივლებს შემზარავად.)

მკვლელები!! მკვლელები!!



ეროვნული
ბიბლიოთეკა

სურათი მესამე

კ ე ნ ტ ა ვ რ ე ბ ი

მოქმედნი:

უცნობი.

ზარიფა.

დედა ზარიფასი.

მამა ზარიფასი.

ძმა ზარიფასი.

ფინკელშტეინ.

პენუტიე.

აზეფულ.

ბოშები.

ვლახები.

მალლობი. მოსჩანს მდინარე. მდინარის პირას გაფენილი ქალა მალლობზე. კარვები ათამდე. კარვები ბოძებზე: სქელი ღვინის ფერი ტილოები გაკრული. აქა-იქ: ნოხები. სპილენძის ჭურჭელი მრავალი. სარზე: ცხენის თავის ჩონჩხი. მორთულობა. ამულეტები — ზღვის კენჭები — ღირვილონები.

1 ბოშა. — სად არიან?

დედა. მარულაა გამართული.

1 ბოშა. ზარიფა სად არის?

დედა. ისიც იქ არის.

(1 ბოშა მიდის გადასახედ ადგილთან. შემოდის მეორე ბოშა.)



ეროვნული
ხიზლიროთიქს

1 ბოშა. ჭენება დაწყებულია.

2 ბოშა. დღეს ცხენებს სინჯავენ.

დედა. ბევრია მონაწილე?

2 ბოშა. ოცამდე.

1 ბოშა. ჰაა! ზარიფაც მიაჭენებს ცხენს.

დედა. რას ამბობ?!
(ბოშა მიდის გადასახედ ადგილთან)

ბოშა. ლურჯას მიაჭენებს. ხომ არ შეშლილა?!
ლურჯა ავია. ფიცხია. გახელება იცის..

(შემოდის ზარიფას მამა. მიდის გადასახედ ადგილ-
თან. გაჰყურებს. უეცრად იკივლებს.)

მამა. ზარიფა ლურჯაზე ზის.

გიჟია ის გოგო, ხომ გაიტაცებს?!

ლურჯას როგორ დააკავებს?!

2 ბოშა. თუ გახელდა—გადაიჩეხება.

მხედარსაც თან გადაიყოლებს.

მამა. ცხენი ეხლავ. უნდა დავედევნო.

(მამა გავარდნება. დედა მივარდნება გადასახედ ად-
გილს. იკივლებს ცხარედ.)

დედა. გიჟი. გახელებული. ნადირი.

1 ბოშა. მიაჭენებს.. გავარდნით.. ჰაა.. წინ ხრამია..

2 ბოშა. ჰა.. უნდა სადავე დაუკავოს—თორემ..

დედა. ჰა.. გაიტაცა.. ველარ იკავებს..

1 ბოშა. ის ვინ მიაჭენებს ცხენს შორი-ახლო?

დედა. უცნობი. ჩვენთან რო ცხოვრობს..

2 ბოშა. ისიც მინავარდობს.. გახელებულია..

1 ბოშა. ცხენი ქაფშია.. უახლოვდება.. ჰა.. ხრამიც..

2 ბოშა. ლურჯა გადავარდა..

დედა. ვაი! დაიღუპა! დაიმსხვრა!

1 ბოშა. უცნობიც თან გადაჰყვა..



2 ბოშა. ხელი მოავლო..

დედა. ეს რა არის?! ლურჯა მარტო გარბის..

1 ბოშა. თუ დაიღუპა.. არა.. ჰა..

2 ბოშა. უცნობმა თუ შეიგდო ცხენზე.

დედა. ვაი! ზარიფა! შვილო!

1 ბოშა. უცნობის კეხზეა.. გადარჩა..

დედა. შვილო.. აიმღვრა დედის ძუძუ.. ზარიფა..

(გავარდება გარეთ. ბოშებიც მოსწყდებიან ადგილს და თან გაჰყვებიან. ხმაური. ყიჟინა. „ვაშა“. სიხარული. შემოდინან. წინ „უცნობი“, თვალეში: ალესილი ბედისწერა პირვანდელი. მოჰყავს ზარიფა.. მორელლაზე მომცრო, ჰგავს დას. მხოლოდ: თმები კიდევ უფრო შავი. თვალეში მოლურჯო, რხევაში გველის მოქნილობა. ნესტოები—ნადირის. ტანი კვრივი და ყოველი კუნთი—ცხელი საფეთქელი. ალესილი ავბორცობა: ახლად გაღვიძებული.)

3 ბოშა. გვაჯობა უცნობმა...

4 ბოშა. უცნობმა ზარიფა გადაარჩინა...

5 ბოშა. კინალამ გადაიჩეხა ცხენთან ერთად.

ზარიფა. მაგრამ მან შემავდო ცხენზე.

ყველა. ვაშა.. ვაშა.. ვაშა..

(შემოვარდება ბიჭი)

ბიჭი. ლურჯა დაიჭირეს..

მაგრამ რალაც ემართება.. იხუთება..

მამა. ვაი ჩემო ცხენო.. მიშეველეთ..

ხმები. წამილი.. შემლოცველი.. ეხლავე..

ზარიფა. ლურჯამ მაგრე იცის.. არათერია.. გაუვლის..

(გარბიან. რჩებიან: უცნობი და ზარიფა.)

უცნობი. რა დაგემართა დღეს?

ზარიფა. გავგიჟდი. გავხელდი..



უცნობი. რისთვის?!

ზარიფა. შენთვის. სიყვარულისთვის.

უცნობი. როგორ?!

ზარიფა. როცა შენ ჩემთან ერთად ცხენს ბიჭუნებს
მაშინ შენ სულ ჩემი ხარ, ჩემი.

უცნობი. განა ისე არა ვარ შენი?!

ზარიფა. შენ ისე: მოღუშული ხარ, დაღვრემილი.
მიცქერ თვალებში—თითქო სხვას უცქერ.
მაყრი ალერსს—თითქო სხვას ეალერსები.

უცნობი. ცხენზე როცა ვარ?!

ზარიფა. ცხენზე შენ სხვა ხარ. ცეცხლი ხარ.
როცა თვალს მოგკრავ —
თითქო კოცნას შურდულით მესვრი.
როცა ჩემს სახელს დაიძახებ —
თითქო ხვევნის ქამანდით იჭერ ჩემს ტანს.

უცნობი. ცხენზე ბევრი ფიქრი შეუძლებელია.

ზარიფა. არა, არა, არა. შენ მაშინ სხვა ხარ, ჩემი ხარ.

უცნობი. შენი ვარ ზარიფა, მაშინაც და ეხლაც.
მაგრამ შენ სწორედ ცხენზე გავიწყდება —
რომ შენ ჩემი ხარ..

ზარიფა. როგორ?! არ მესმის..

უცნობი. როცა ცხენს მიაჭენებ—შენ თავს იმეტებ.
მე მივიწყებ მაშინ. მე მტოვებ მაშინ.

ზარიფა. რაღაც მიზიდავს ცხენზე გავარდნილს..
მიზიდავს ტკბილი და თან საშინელი..
სული მეხუთება.. გული ჩიტია თითქო —
ბუდიდან ამოფრენილი..
თუ არ გავვარდი მაშინ—ვიცი დავილეწები.

უცნობი. შენ უფსკრული გიზიდავს მაშინ..
მე თითქო არც კი გახსოვარ..

ზარიფა. არა. არა. მაშინ უფრო ვარ შენი.

დღეს რო ლურჯას მივატყენებდი—

ვგრძნობდი: თავის თავს აღარ ვეკუთვნებდი
მიჭქრის—მინავარდობს—

მიფრინავს ცხენი გახურებული—

და თითქო ჩემს თავს აღარა ვგრძნობ სრულიად:

მთელი ჩემი ტანი ცხენისაა თითქო აღეწილი.

აღარც სიმძიმე. აღარც ფიქრი. აღარც იტვი.

წინ: რაღაც მღვრია: უცნაური და მათრობელი.

თავბრუ მეხვევა...

უცნობი. მეც მაგას გეუბნები.. მე აღარ გახსოვარ..

ზარიფა. არა. არა. ყური დამიგდე..

თრობა კიდევ უფრო მატულობს და იღვსება:

როცა მთელი სხეული გრძნობს—

რომ შენ ჩემთანა ხარ გვერდით ან უკან..

მივნავარდობ და თითქო: ველი უფსკრულს—

ველი გადავარდნას—ველი გადაჩეხას...

მაგრამ ტანი თანვე ელის ვიღაცას უკან—

გელის შენ: მძღეს—მაგრს—გადამლახავს.

მხრებს მიწვავს უკვე შენი სუნთქვა მაშინ..

ჰო! ესაა ყველაფერი..

უცნობი. როგორც დღეს?!

ზარიფა. როგორც დღეს..

როცა ის იყო გადავიჩეხე...

უეცრად აელვარდა ვეფხის ნახტომი და ვეფხის ტორი

და ერთის მოსხლეტით მის წინ გადავეკარ უნაგირზე.

ეს შენ იყავი ვეფხის ტორი..

ჰო! რა მწველი იყო ეს წამი..

ტანი დადნა წყაროს თვალივით.

სხეული დაიქცა სიყვარულის ღვრად.





უცნობი. გიჟი ხარ ზარიფა..

ზარიფა. სისხლი მაქვს ასეთი.

უცნობი. ვეფხის ტორს რო არ მოესწრო?

ზარიფა. გადავიჩეხებოდი..

უცნობი. მერგე?!

ზარიფა. მერე არ ვიცი.. არც მინდა ვიცოდე..

უცნობი. გაპობილ ნაყოფს გვანან შენი ტუჩები..

ზარიფა. შენთვის გახსნილან. დაეწაფე..

(უცნობი ხარბად ჰკოცნის ზარიფას. შემდეგ უკანასკნელი თითქო ბურანს გამოერკვაო — წამოხტება.)

უცნობი. რა იყო ზარიფა?

ზარიფა. ნეტავ რა მოუვიდა ლურჯას..

უცნობი. შენ თვითონ არ სთქვი — არაფერიო?!

ზარიფა. არა. უნდა ვნახო.

(ზარიფა გავარდება. უცნობი ნელი ნაბიჯით მიდის მის კვალდაკვალ. ფიქრით მაინც დამძიმებულია. პაუზა. მეორე მხრით შემოდინან: გლეხები და ბოშები. მათ შორის: პენუტიე და ფინკელშტეინ.)

ფინკელშტეინ. საუცხოვო მიდამოებია.

პენუტიე. განსაკუთრებით ლამაზია ტყეები:

ხშირი და უტეხი.

ფინკელშტეინ. აქ დიდი საქმე გაკეთდება. ძე ყნოსვა მაქვს.

პენუტიე. კონცესიები უზრუნველყოფილია.

1 გლეხი. ძნელია შელევა.

2 გლეხი. ცოდვაა ტყის გაჩეხვა.

3 გლეხი. როგორ გაიმეტებს მას კაცია.

ფინკელშტეინ. ოქროც კარგია. ლამაზიცაა:

მზესავით ყვითელია.

პენუტიე. ცხოვრება წინ მიდის

განათლებას უნდა დაეწაფოთ.



ფინკელშტეინ. განათლებას კი ფული ეჭირვება
ეს თქვენც იცით.

პენუტიე. ცივილიზაციის აუცილებლობაა

1 გლეხი. ჰე! რა ვქნათ?!

2 გლეხი. რას ვიზამთ?! უნდა დაეთანხმდეთ..

3 გლეხი. რომ ვუყუროთ—რას გავხდებით..

ფინკელშტეინ. სწორი თქმაა.. ნამდვილი თქმაა..
აბა მე ცუდს გირჩევდით?!
ჩვილი გული მაქვს..

პენუტიე. გლეხები ხართ—მაგრამ საჭიროება იცით.
ჩვენ—საქმეებს უთუოდ მოვარიგებთ.

(შემოვარდება ზარიფა. უცარი შეჩერებით გადა-
ხედავს პენუტიეს და ფინკელშტეინს. უკანასკნელი
აფუსფუსდება.)

ზარიფა. ლურჯა ცუდათაა.. შესალოცი ქვა.. სად არის?!
(ეძებს თაროზე. ნახულობს. გარბის.)

ფინკელშტეინ. გოგოებიც რომ ლამაზები
ყოფილან თქვენს მხარეში.

პენუტიე. ბევრია თქვენში ასეთი გოგო?!

1 ბოშა. რამდენიც გინდა.

ფინკელშტეინ. აი ასეთი გოგო რომ წამოვიდეს ქალაქში—
ოქროთი შეიმოსება.

2 ბოშა. როგორ?

ფინკელშტეინ. ამ გოგოებმა იციან სიმღერა და ცეკვა—
რაღაც სხვანაირი:

ყვეთელი ნაკვერჩხლებია პირდაპირ.

პენუტიე. მაგათ გარე არც ერთი
ვეროპის კაფე არ იარსებებდა.

ფინკელშტეინ. სასმელი. საჭმელი. საცმელი.
ყველაფერი მზად.
ფული სახვეტავი.

მ ბოშა. ჩვენი გოგონები მარჩიელობას ეწევიან.

პენუტიე. ეგეც ჩინებულია.

ფინკელშტეინ. კარგია ხანდახან ბედის გამოცდაც.

პენუტიე. ეს გოგონები ხშირად მართალს იტყვიან.

ფინკელშტეინ. მე თვითონ გამომიცდია.

თუმცა ბედი ღონეზე უნდა იცოდეს.

მისი გახელება ჩემთვის არ არის

მაინცდამაინც სასიამოვნო.

პენუტიე. ბედი მოშინაურებული ნადირია.

ფინკელშტეინ. აი ნამდვილი სიტყვა.

მიყვარს გალლური ჭკუა.

ბედი მართლა მოშინაურებული ნადირია.

თუ გაახელე — გაჩვენებს ბრაზიან კლანჭებს.

მე მაგის თავი არა მაქვს.

(შემოდის „უცნობი“. მის ხილვაზე ფინკელშტეინ „დაიღევა“. სურს ჰუმორულ გუნებაზე გადავიდეს.)

უცნობი. ჰა! ჰერრ ფინკელშტეინ. მოსიე პენუტიე.

ფინკელშტეინ. თვალებს არ ვუჯერი.

აი ძვირფასი შეხვედრა.

პენუტიე. მართლა შემთხვევაა ყველაფერი:

სად არ ვხვდებით ერთმანეთს!

ის „ბედგატეხილიც“ ამ მიდამოებში რო შეგვხვდა!?

უცნობი. რომელი?!

ფინკელშტეინ. მარჩიელმა ბედი რომ ვერ უპოვა!

უცნობი. ჰა! მახსოვს!

(გაფითრდება ოდნავ. შემოდის ზარიფა. მასთან სხვებიც.)

ზარიფა. ესენი ვინ არიან?

ფინკელშტეინ. ჰერრ ფინკელშტეინ.

პენუტიე. მოსიე პენუტიე.



ზარიფა. რა საქმე გაქვთ?

ფინკელშტეინ. არაფერი ისეთი.. პატარა კონცესია

ზარიფა. რააოო?!

უცნობი. უთუოდ — ტყის.

პენუტიე. დიახ — ტყის კონცესია.

უცნობი. ისტორია თქვენ ხელშია.

ფინკელშტეინ. არ არის მაინცდამაინც ჩვენი უმადური.

უცნობი. ისტორია თქვენია. მაგრამ „მიწა“ არ არის თქვენი.

ფინკელშტეინ. მიწა ჩვენ არც გვინდა.

პენუტიე. ჩვენ გვინდა მანქანა.

უცნობი. დიახ! თქვენ გინდათ:

ფოლადი. რკინა. კირი. ასფალტი.

თქვენ გინდათ მანქანა ყველგან.

ფინკელშტეინ. ნამდვილი სიტყვაა.

მანქანა პირველი სიტყვაა ცივილიზაციის —

და თუ არ ვცდები: უკანასკნელიც.

უცნობი. არა. თქვენ მეტი გინდათ:

ადამიანი მანქანა.

ტვინი მანქანა. ნება მანქანა.

ახალი რასსა ქოსა და ყვითელი:

ჰომუნკულეს!

ფინკელშტეინ. ისტორიის საქმეა. მე არ მეკითხება.

უცნობი. თქვენ ბედი არა გაქვთ — რადგან არ იცით „მიწა“.

პენუტიე. ამას მგონი ჩვენი რუსსოც გვასწავლიდა.

ფინკელშტეინ. რომელსაც მეორე ჩვენმა ბრძენმა

ფორთხვა უსურვა ოთხად. ხა ხა-ხა.

რა ხალხია ეს ფილოსოფოსები..

უცნობი. პირველის „სანტიმენტი“ და მეორის გრეხა

შორსაა მიწისაგან.

თქვენ რა იცით „მიწა“?!



თქვენს გეოლოგიაში არაა იგი.

ჰო! მიწა: არა სასპორტო—არა საგრილო
არა სასვენებელი.

მიწა სული. მიწა ინსტინქტი.

მიწა მკერდები. მიწა ძუძუები.

მიწა ძირი. მიწა წყარო მიწა სიპი. მიწა ხავსი.

აქ არის სუნთქვა. აქ არის საიდუმლო.

აქ არის მადლი. აქ არის ნაყოფი.

აქ არის ბედი. აქ არის „წერა“.

ფინკელშტეინ. ცივილიზაცია?!

პენუტიე. ქალაქი?!

უცნობი. როცა გლახმა პირველად მანქანა დაინახა—

„ემმაკის მოგონილიაო“ და განზე გააფურთხა.

ამ პირველ გლახს დასცინიან დღეს

უნივერსიტეტები და გაზეთები.

ფინკელშტეინ. აღარაფერი მესმის.

პენუტიე. ძველი სანტიმენტალობაა.

უცნობი. თქვენ ჰქმნით—მაგრამ ერთი გავიწყდებათ:

რომ თვითონ ქმნილი ხართ.

გლახები. მართალია! მართალია!

უცნობი. ჰერრ ფინკელშტეინ!

თქვენ მიწას სიქალწულე წაართვით.

აღბათ ნამდვილი ქალწულიც გნებავთ.

გლახები. მართალია! მართალია!

ბოშები. ჩვენი გოგოები ძალიან მოგწონთ.

უცნობი. ეგებ აი ეს გსურთ?! სახელად „ზარიფა“ ჰქვია.

ფინკელშტეინ. თუ ხსოვნა არ მალაპატობს

მგონი არც თქვენ უნდა გძულდეთ ბოშა გოგონა.

განსაკუთრებით თუ მარჩიელია!

უცნობი. ჰერო ფინკელშტეინ! თქვენ ჰუმორი გაქვთ.
ეს კარგია.

ფინკელშტეინ. ჰუმორი ჩემი რასის პირველი თვისებაა
უცნობი. თქვენ არც სიავე გაქვთ.

ფინკელშტეინ. აბა სიავეს რა უნდა ჩემთან!?

უცნობი. სწორედ მაგ არის მიზეზი—

რომ სხვანაირად არ გადავსქერ თქვენი სიტყვა.

(შემოვარდება მოამბე. ჩოჩქოლი.)

მოამბე. ამას წინად წისქვილში ქალი უნახავთ.

ხმები. ვინ? ვინ?

მოამბე. ქალი დაჭრილი.

(უცნობი შეიბხევა)

ხმები. ვინ დასჭრა?

მოამბე. არავინ იცის.

(უცნობს ემჩნევა მოუთმენლობა)

ხმები. როგორ მომხდარა?

მოამბე. ვილაც შევარდნილა ღამით წისქვილში.

ქალი დაუჭრია და მდინარეში უსვრია.

მეთევზეებს ამოუყვანიათ.

(უცნობი ველარ იკავეებს თავს)

უცნობი. მერე? მერე?

ზარიფა. შენ რა?!

(ზარიფა ეტმასნება უცნობს)

ხმები. დახმარება იყო?

მოამბე. უშოვიათ მაღამო. კრილობა შეუხვევიათ.

(უცნობი—დაკოდილი კენტავრი)

უცნობი. მაშ არ მომკედარა. ცოცხალია.

(ზარიფა განზე გაკარდება როგორც ბრაზიანი ავაზა)

ზარიფა. შენ რა?! ვინ ქალი?!

ხმები. მკვლელი? მკვლელი?!



მომამბე. მკვლელი სადღაც ვადარდნილა.

(უცნობი სრულიად გაათვრებული)

უცნობი. ქალი სადღა არის?!

(ზარიფა განრისხებული)

ზარიფა. ეხლა ვიცი ყოველი.

მომამბე. ქალი მდევრებს გაუტაცნიათ.

(უცნობი შუაზე გატეხილი)

უცნობი. რისხვა! რისხვა!

(ზარიფა გაშმაგებული)

ზარიფა. ახლა ვინილე ყველაფერი.

ხმები. ვინ იყო? როგორი იყო?

მომამბე. მალალი. შავი თმები. მომწვანო თვალები.

ფინკელშტეინ. ალბად მარჩიელი მორელლო.

პენუტიე. უთუოდ მორელლა.

დედა. მორელლა.

მამა. მორელლა.

ძმა. მორელლა.

ზარიფა. მორელლა.

(ზარიფა მორბილებულია. უტკრად აიმართება მალ-
ლობზე აზეფულ როგორც საშინელი მოჩვენება. გა-
სქახებს.)

აზეფულ. მკვლელი უცნობი. აქ მყოფი.

(ამ სიტყვებზე გადმოიჭრება მორელლას ძმა და
ამართული წალდით შეუტევს უცნობს. უცნობი ეხ-
ლა გაძლიერებულია რისხვით და გამოწვევით. მას-
ში იფეთქებს ისევ ფატუმი. სდგას უძრავად: თიო-
ქო მოქნეული აცდებო.)

ძმა. შენ! მკვლელი! მკვლელი!

უცნობი. შეჩერდი! ნაადრევია..

ძმა. შენ! მკვლელი!



ზარიფა. საშინელო! საშინელო!

დედა. შვილო! შვილო!

მამა. შვილო! შვილო!

(უცნობი ამოიღებს ამულეტს—მორელლას ნაჩუქარს და გადასცემს მორელლას დედას)

უცნობი. ჯერ ეს ნახეთ:

ნიშანი სიყვარულის—უკანასკნელის.

დედა. მორელლას ამულეტი.

მამა. სიყვარულის ამულეტი.

ძმა. რა მოხდა?!

ზარიფა. მორელლას ამულეტი.. სიყვარულის..

უცნობი. მე გამოვსტაცე მორელლა სისხლის მწოველებს..

მე მოგკალ კაცი, მე სისხლი დაევანთხიე.

ჩვენ მივატოვეთ ქალაქი.. ჩვენ დაგვედევნენ..

იყო ჩვენი გავარდნა კენტავრი სიყვარულის..

მორელლა ორსული.. მორელლა გულწასული..

მორელლა ვერ შემძლები ცხენის ჭენების..

ვინ დაუტოვებდა მორელლას

მახვილამართულ მდევრებს?!

(გაოცება და შიში. შემდეგ ისევ უცნობი.)

მე ვიმეორებ:

ვინ დაუტოვებდა მორელლას

მახვილამართულ მდევრებს?!

(უეცრად ხმები იგრიალევენ)

ხმები. არავენ! არავენ! არავენ!

(აზეფულ ჰქრება. უცნობი მორელლას ძმას მიმართავს.)

უცნობი. შენ გვარში ჯერ კიდევ სდულს მიწის სისხლი..

შენ გვარში კიდევ არ დაცლილა ბედის სიყვარული..

მე შენ გეკითხები—მორელლას ძმას:

ვინ დაუტოვებდა მორელლას

მახვილამართულ მდევრებს?

ძმა. არავინ! არავინ!

(ძმა დაღმობილია და რასის სისხლით ყვენილი)

დედა. არავინ.

მამა. არავინ.

ბოშები. არავინ.

(უცნობი მიმართავს ცრემლებით გაფუდულ ზარიფას.
ერთი უეცარი შეხება სხვანაირი და ცრემლებად
დაიქცევა.)

უცნობი. ზარიფა! შენ იცი ყველაფერი.

ზარიფა. მე ვიცი..

უცნობი. შენა ხარ ჩემი უკანასკნელი მსაჯული.

ზარიფა. შენ მართალი ხარ.. შენ სასტიკი ხარ..

უცნობი. ჩემი გრძნობა შენდამი?!

ზარიფა. ისიც მართალია.. ისიც სასტიკია..

უცნობი. ჩემი დაღვრემილობა?!

ზარიფა. მორელლას ხსოვნა.

უცნობი. ჩემი ცქერა შენს თვალებში?!

ზარიფა. მორელლას ხილვისათვის.

უცნობი. შენც მორელლა ხარ..

ზარიფა. მე ზარიფა ვარ..

უცნობი. მორელლაც..

ზარიფა. მე ზარიფა ვარ და თან მორელლაც..

უცნობი. წყევის მეშინია შენი..

ზარიფა. არაოდეს!

უცნობი. როგორ?!


ზარიფა. კიდევ უფრო მიყვარხარ.

უცნობი. ზარიფა! შენ?!

ზარიფა. მიყვარხარ კიდევ უფრო.

უცნობი. როგორც ცხენზე?!





ზარიფა. როცა ტანი ელოდა შენ მკლავებს—
უფსკრულის პირას აზიდული გაფრთხილებული
უცნობი. მორელლა?!

ბიზუიფთეკა

ზარიფა. მორელლას მე მოვიტაცებ..

დედა. მოვიტაცებთ..

მამა. მოვიტაცებთ.

ძმა. მოვიტაცებთ..

ყველა. მოვიტაცებთ.. მოვიტაცებთ.

უცნობი. რისხვა! რისხვა!

ბედის კვილი! ბედის ყიჟინი!

რისხვა ბედის ბუშებს!

(უეცრად ავარდება ვაკხიური ცეკვა. მუსიკა ბიზუიფთეკის „კარმენის“ ნატეხი. მხოლოდ უფრო მკვეთრი უფრო მაგარი და უფრო ველური.)

26/X-34



სურათი მეოთხე

კეთროვანთა დედოფალი

მოკმეღნი:

მორელლა.

რაულ როკველლერ.

კეთროვანნი.

ქუჩის მასხები.

ბულვარი. მოსეირნე ჯგუფები. ღამე. ელექტრო
ძლიერი. ჯგუფებში ირკვევა წყვილი: მორელლა და
რაულ როკველლერ. მორელლა ჩაცმულია ევრო-
პიულად: უკანასკნელი მოდის მიხედვით. სახით გავს
რუმინელ არისტოკრატ ქალს.

როკველლერ. შენი თვალი ხარბია.

მორელლა. როგორც ყოველი ქალის.

როკველლერ. არ რჩება უნახველი არც ერთი ვაჟი.

მორელლა. ქალის ბუნება ასეთია. აქ ასე მასწავლეს.

როკველლერ. შენ გავიწყდება ზრდილობა.

მორელლა. შექმნილი ფარისეველთათვის.

როკველლერ. შენ გავიწყდება ვალი.

მორელლა. ალბად მილიარდერისაგან აღებული.

როკველლერ. შენ გავიწყდება ჩემი სიყვარული.

მორელლა. ხსოვნაში ჯერ არ მქონია.

როკველლერ. შენ ჩემი ხარ.

მორელლა. არაოდეს.

როკფელდერ. შენ იყავ ჩემი ხორკით.

მორელლა. არც ერთი კუნთი ჩემი ტანის

შენთვის არ აძრულა.

როკფელდერ. და მაინც ჩემი იყო იგი.

მორელლა. როგორც ნიეთი. როგორც საგანი.

როგორც მანქანა.

როკფელდერ. ქალი ნიეთია—თუმცა ვნებიანი.

მორელლა. არაოდეს. არც ერთი წვეთით.

როკფელდერ. ვაჟი იურვებს ქალის სხეულს.

მორელლა. თუ პასუხად არის ქალის ვნება.

(უახლოვდება მათ ცივი მხლებელი)

მხლებელი. ავტომობილი მზად არის.

როკფელდერ. იცადოს ბულვარის ბოლოში.

(მხლებელი გადის)

მორელლა. ოოჰ!

როკფელდერ. რას ნაღვლობ?!

მორელლა. ყველაფერს..

როკფელდერ. ალბად გადაკარგულ უცნობს.

მორელლა. არ ახსენო იგი!

როკფელდერ. სად გადავარდა?

მორელლა. არ ახსენო იგი!

როკფელდერ. შენ ჩემი ხარ.

მორელლა. არაოდეს.

როკფელდერ. იქნები ჩემი.

მორელლა. არაოდეს.

როკფელდერ. შენ გავიწყდება ჩვენი ხვეყნა.

მორელლა. ჩემს ხვეყნას არ ახსოვხარ შენ.

როკფელდერ. შენ გაჩნევია ჩემი დალი: დალი ვაჟის.

მორელლა. ლანდიც არ არის ჩემში ამ დალის.

როკფელდერ. შენ ხომ ქალი ხარ?!

მორელლა. თქვენში არ იციან: რა არის ქალი.

როკფელდერ. ალბად შენ უფრო იცი.

მორელლა. იქ—საიდანაც ჩვენ მოვედით—

არის გადმოცემა: ღმერთქალი იყო ნეიფი.

მისი ქანდაკების ქვეშ ეწერა:

„მე ვარ ის რაც არის და რაც იყო და რაც იქნება
და არც ერთს მოკვდავს და არც ერთს ღმერთს
არ უხდია ჩემი სახურავი“...

როკფელდერ. არ მესმის..

მორელლა. ნეიფი ქალი იყო აგხორცი..

როკფელდერ. არ მესმის..

მორელლა და მაინც დარჩა: ხელუხლებელი.

როკფელდერ. არ მესმის.

მორელლა. ვერც გაიგებ..

როკფელდერ. ბოდვაა მეოცნების.

მორელლა. შენი ქვეყანა ამას ვერ გაიგებს:

იქ მოკვდა ბოდვა და დაჰკლეს ოცნება..

როკფელდერ. და მაინც: შენ ჩემი იყავი..

ხორციით.. ვნებით...

მორელლა. არაოდეს.. არაოდეს..

მე მიყიდეს ოქროთი.. მე მიყიდეს ფარჩებით..

მე წამართვეს ქალწულობა..

მე წამართვეს ნათელი მზერა.

მე ვეკუთნოდი ერთს. ვეკუთნოდი მეორეს..

ვეკუთნოდი მესამეს..

გეკუთნოდი შენ..

მაგრამ ერთი წვეთით ჩემი ვნება არ ყოფილა

არც პიროველთან არც მეორესთან არც მესამესთან

არც შენთან.



მე ვიყავი მხოლოდ მოწმე:
 თქვენი ხენეშის თქვენი ლორწის
 თქვენი გალენჩების.

და ერთი წვეთიც კი ჩემი მართალი ქაღალდისა
 არ დაქცეულა თქვენ ვაჟურ ღმუილთან.

მე ქალი ვარ მაინც ხელუხლებელი.

მე ქალწული ვარ მაინც.

როკფელლერ. უცნობი რომელია ვაჟთა შორის?!

მორელლა. ნუ ახსენებ მის სახელს!

ის კაცზე მეტი იყო. ის სხვა იყო.

მან მიმხილა მე პირველად:

თუ რა არის ვნება ქალობის—

თუ რა არის რხევა ნაყოფის.

როკფელლერ. ნაყოფის—რომელიც მოკვდა.

მორელლა. შენ მოჰკალ იგი. შენ წაბილწე იგი.

როკფელლერ. შენ კიდევ გახსოვს ის კაცი?!

მორელლა. ჩემი სიცოცხლე მისი სახელია.

როკფელლერ. მაშ იცოდე: იგი მოკვდა.

მორელლა. ტყუილია! ტყუილია!

როკფელლერ. იგი მოჰკლეს ყაჩაღებმა.

მორელლა. ტყუილია! ტყუილია!

როკფელლერ. მართალია როგორც თითონ სიკვდილი.

მორელლა. ტყუილია! ტყუილია! ტყუილია!

(მორელლა ოდნავ ჩაიკეცება. როკფელლერ ხელში დაიჭერს. ამაგრებს. ამ დროს ბულვარში ხმაური ავარდება. ჰყვირიან: „კეთროვანნი—კეთროვანნი“. თითქო სტიქია მოვარდა. გარბის: ქალი კაცი დიდი პატარა. გაისმის ტკაცუნისა ტკაცუნელთა. ბულვარი თითქმის ცალიერდება. როკფელლერ ეხვეწება მორელლას—წასვლას. მორელლა არ თანხმდება.)



როკფელდერ. წავიდეთ. წავიდეთ.

მორელლა. ვინ არიან მომავალნი?

როკფელდერ. კეთროვანნი.. წავიდეთ.

მორელლა. მე შენთან არ წამოვალ..

როკფელდერ. შენ ჩემთან წამოხვალ.

მორელლა. მე შენთან ვერ მოვალ,

როკფელდერ. ძალით წაგიყვან.

მორელლა. თუ მომკლავ მხოლოდ.

როკფელდერ. ჯერ კიდევ ლამაზი ტანი გაქვს.

მორელლა. არ ყოფილა შენი.. არც იქნება შენი..

როკფელდერ. ხორცი ჩემი იყო. სულიც იქნება ჩემი..

მორელლა. არაოდეს! შორს! შორს! შორს!

როკფელდერ. ჰიპნოზს ბევრი შეუძლია...

მორელლა. არ მოხდება არასდროს...

როკფელდერ. მოხდება.

მორელლა. ჯალათო! ჯალათო! ჯალათო!

(კეთროვანნი თანდათან ახლოვდებიან. როკფელდერ მიმართავს ძალას—წასაყვანად. მორელლა შეიქნება აფთარი, იგლეჯს ტანსაცმელს და ახლის სახეში მოძალადეს.)

როკფელდერ. ჰა! არ წამოხვალ!?

მორელლა. ჰა შენი ბეჭდები. ჰა შენი ქოშები.

ჰა შენი სარტყელი. ჰა შენი მოკაზმულობა.

შორს... შორს... შორს... ჩემგან...

(აუვარდება ისტერიული ტირილი. კეთროვანნი გარს ეხვევიან. როკფელდერ გარბის.)

1 კეთროვანი. ვლპებით... ვიხრწნებით..

2 კეთროვანი. გვიშველეთ. გვიხსენით..

3 კეთროვანი. გეშინოდეთ ყოველს..

4 კეთროვანი. ჩვენი დალი უცდის ქვეყანას..



5 კეთროვანი. ჩვენი ბალლამი დახსნის ქვეყანას.
6 კეთროვანი. თქვენც ასე დალბებით..
7 კეთროვანი. თქვენც ასე გაიხრწნებით..
(ბულვარის რიკულიდან ყრიან საქმელებს და გარბიან შიშით. კეთროვანნი ხარბად ეხვევიან და სჭამენ. თვალეში: სიგიჟე და რისხვა. სიტყვებში — წყევა. შეჩერდებიან მორელლას წინ.)

1 კეთროვანი. შენ აქ რა გინდა?
მორელლა. მე მაწამეს.
2 კეთროვანი. შენ რად დარჩი აქ?
მორელლა. მე სიქალწულე წამართვეს.
3 კეთროვანი. შენ რად არ გაიქეც?
მორელლა. მე შემილახეს სიყვარული.
4 კეთროვანი. შენ არ გეშინია ჩვენი?!
მორელლა. ჩემი ქალობა წარყენეს.
5 კეთროვანი. შენ სენი გადაგედება.
მორელლა. მე მომიკლეს ნაყოფი.
6 კეთროვანი. ჩვენი სენი დაგდაღავს.
მორელლა. დავიდალო.. უმჯობესია..
7 კეთროვანი. მოგვცილდით.. დაილუბები..
მორელლა. დავილუბო თქვენთან.
(კეთროვანნი გალენჩებით უცქერენ. საშინელი ღუმილი. გამოდის ახალგაზდა ვაჟი: ჯერ კიდევ მაგარი. მიდის მორელლასთან ახლო.)
ახალგაზდა. გემუდარები ლამაზო: მოგვცილდი.
მორელლა. მე კიდევ ლამაზი ვარ?!
ახალგაზდა. ულამაზესი..
მორელლა. შენ რა მოგივიდა?!
ახალგაზდა. ზედავ ამ დაღებს?!
მორელლა. საიდან?



ახალგაზდა. სიყვარულით..

მორელლა. როგორ?!

ახალგაზდა. მიყვარდა უზომოდ.

(მორელლა შესდგება გაოცებული, შემდეგ უცარი
მოსხლეტით გადაეხვევა ვაჟს.)

მორელლა. მე თქვენთანა ვარ.

მე ვიზიარებ თქვენ ბედს..

მე მიყვარხართ თქვენ..

შემიყვარეთ მე.

უველა. იყავ ჩვენი სიყვარული. იყავ ჩვენი სიყვარული.

(ვიზიონერული თვალები და ექსტატიური ხელები)

Handwritten signature in Georgian script, possibly reading 'მეჩხერაძე' (Mechkheradze).

სურათი მეხუთე

დადაისტების მაიდანე

მოქმედნი:

დადაისტები.

ფინკელშტეინ.

გელფერის.

პენუტიე.

მორელლა.

კეთროვანნი.

მათხოვარნი.

პროსტიტუტები.

მაიდანე ქალაქის შუაგულში. ბალაგანი. პულჩინელ-ლო. მარჩიელი თუთიყუშით. დადაისტები: სახეგამურულნი შარადული ხაზებით. ტანსაცმელი: მოხვეული აჭრელებული გადმობრუნებული. ღამე. ელექტროს სინათლე. ბალაგანის წინ ხალხის ხმაური. ზოგი ზის მაგიდასთან. ზოგი ფეხზე. პროსტიტუტები. მაკლერები. კომმივიოიაჟორები. სუტენიორები. ესტრადაზე ჰკიდია მასკები: კანტის—აინშტაინის—გოეტჰესი—ნიცშესი—დოსტოევსკის. დროგამოშვებით დადაისტები მასკებს ეფარებიან და ისე წარმოსთქვამენ.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხიზვა

2 დადაისტი. დღეს ყველამ იცის:

აუქციონია მიწის:

თუმცა ბებერია—

ნასუქია კარგი.

პლანეტებს ჩამორჩა—

გახდა მეტი ბარგი.

ღმერთმა, ბევრჯერ მოხნა.

დაუმჯავდა ცოხნა.

გაებერა მუცელი—

ალარ შველის ოყნა.

დადაისტები. ხი-ხი-ხი, ხა-ხა-ხა, ხო-ხო-ხო.

1 მაგიდა. კარგად გართიმულია..

3 დადაისტი. ლექსი გაგზავნილია საკონკურსოდ..

1 მაგიდა. ნობელის პრემია უზრუნველყოფილია..

4 დადაისტი. ავტორს ირჩევენ

„საფრანგეთის აკადემიაში“..

ფინკელშტეინ. არ მესმის არაფერი.

5 დადაისტი. მოთმინება: ჰერო ფინკელშტეინ.

ლექსის ბოლო თქვენთვის ნაცნობია.

ლოლოტა. (ხითხითებს)

ბლანშეტა. (ხითხითებს)

3 მაგიდა. სისულელეა.

6 დადაისტი. მიწას თუ არ იყიდით—ვიძლევეთ იჯარით.

დატვირთეთ ვირივით. მოკაზმეთ ნიჭარით.

პენუტიე. ურითმოდ თურმე ვერც „დადა“ სძლებს.

6 დადაისტი. ლამაზი ქალწულია. ცოტა მობერებული.

დღეს კაკოტის როლშია. მოსიე პენუტიე...

კანტი. ყველაფერი ფენომენია.

აინშტაინ. ყველაფერი რელატივია.

ვოეტჰე. ხოლო წარმავალი მსგავსებაა მხოლოდ.



7 დადაისტი. ბრძენიც ხომ ამბობს:
ყოველი ფენომენია.
საწყალი მიწა
ამდენის მომთმენია.
თუმცა მარტივია—
რომ რელატივია.
მიბორგავს საწყალი —
ირყევა მიზანი.
მოუხმობს ნაწყენი:
რომ გაჩნდეს მისანი.
მაგრამ არ ეშველა —
ისტორიას ავსება.
გოეტჰეც ამოწმებს:
არის მხოლოდ მსგავსება...

პენუტიე. აქ დადა მეგონა... თურმე ლირიკა ყოფილა...

მარჩიელი. ვის უნდა ბედი.. ვყიდი ბედს..

ფასი ორი ფრანკი.

ჩემი თუთიყუში თეთრია და ფრანტი.

ოთხასი წელი ცოცხლობს უტყუარი მეტრიკით.

წინასწარმეტყველია. თუმც არ იცის ეტიკა.

პენუტიე. მე მინდა—მირჩიოს.

(თუთიყუში იღებს ნისკარტით ბილეთს. მარჩიელი კითხულობს.)

მარჩიელი. მოგელის ახლო ხანში:

კბილების დაცვენა. თმების გაცვენა.

კუჭის ტკივილი. ბუასილი, აპენდიციტი.

რევმატიზმი. იმპოტენცია.

ფინკელშტეინ. ავყია ყოფილა შენი თუთიყუში.

1 დადაისტი. ჰერრ ფინკელშტეინ! შენ რისი გეშინია.

პერკის გამოგონება—მხოლოდ შენ გემონება!

შტეინახს—ვხედავ—კარგად უმოქმედნია.

ფინკელშტეინ. პოეზია მესმის ტკბილი მოსასმენი..

2 დადაისტი. მართალი ბძანებაა.

De la musique avant toute chose.
სიცოცხლე არის ტკბილხმოვანება.
ეს თუთიყუში მხსნელია პოეტების.
მაგ რომ არ ცოცხლობდეს
რა ეშველებოდათ ლირიკოსებ'?!
მაგან გადაარჩინა ხუთასი პოეტი
შექსპირიდან ვერლენამდე.

Les sanglots longs
Des violons
De l'automne
Blevent mon coeur
D'une langueur
Monotone.

აბა მომისმინეთ:

(თუთიყუში იმეორებს)

პენუტიე. აი ნამდვილი ლექსი.

ფინკელშტეინ. სმენამატრობელი.

3 დადაისტი. აკი გითხარით:

დღეიდან ლექსები თუთიყუშების საქმეა...

პენუტიე. ხმოვანებას შინაარსი უნდა.

1 დადაისტი. სწორი სიტყვაა.. ნამდვილი თქმაა..

ობოლო მთვარე.. ქალის სინაზე..
ლირიკა უთხრობს მხოლოდ იმაზე:
გძელი თმები და გძელი ტუნიკა:
მელანქოლია ჩუკუნია..

ფინკელშტეინ. ვერსად გაეჭევი ამ მელანქოლიას.

ლოლოტა. ონკელ ფინკელ დიდი დონეჟანია.

5 დადაისტი. ჩვენი მანიფესტი ამ მელანქოლიის ბუშია.



ფინკელშტეინ. მელანქოლიის ბუში?! არ მესმის.
ისევ პირველი სჯობს:

„ობოლი მთვარე. ქალის სინაზე“
ჰმმ.. ტკბილი რამაა მართლაც.

ბლანშეტა. ონკელ ფინკელ მუსუსია..

ფინკელშტეინ. ამდენი რეკლამა..

6 დადაისტი. „ობოლი მთვარე. ქალის სინაზე“.
თუმცა წყვილია.

მაგრამ დონეჟანისთვის—

ონკელ ფინკელ—ყველაფერი ტყვილია:

თუ იქვე არ იქნა კიდევ რაღაცა.

და რაც მოხდება—

იანგარიშებს ალბად მატრაცი...
მაგიდები. ხა-ხა-ხა.

ლოლოტა. ონკელ ფინკელ დონეჟანი..

ბლანშეტა. ხა-ხა-ხა.

ფინკელშტეინ. ასეთს კუპლეტს

„ქრისტალ პალასშიც“ ვერ იტყვიან.

მაგიდები. დიდებულთა. ხა-ხა-ხა..

კანტი. ყველაფერი ფენომენია.

აინშტაინ. ყველაფერი რელატივია.

გოეტშე. მაგრამ წარმავალი მსგავსებაა მხოლოდ.

7 დადაისტი. ფილოსოფოსებს უყვართ გამეორება—

თუ ამას ხელს უწყობს გარემოება.

ბრძენი მართალს ამბობს:

რომ ყველაფერი ფენომენია.

მე კი ვიტყვოდი:

დედამიწა ბევრის მომთმენია.

მიბორგავს საწყალი—

ირყევა მიზანი.



ქართველი
წიგლიერთა კავშირი

მოუხმობს ნაწყენი:
რომ ნახოს მისანი.
თუმცა მარტივია—
რომ რელატივია.
მაგრამ არ ეშველა—
ისტორიას ავსება.
გოეტჰეც ამოწმებს:
არის მხოლოდ მსგავსება.

გელფერის. თქვენს მერე—მართლაც ბევრის მომთმენია.
ფილოსოფია ბითურია.

1 დადაისტი. აგრე. აგრე. ნაყოფი ჩქარია...
ფილოსოფია ბითურია...
დედანთან სწორია..

პენუტიე. ეგ რაღა არის: რაღაც „ბითურია“?

2 დადაისტი. მოსიე პენუტიე. ნავალი კაცი ხართ.
გინახავთ დილით სახლში მიმავალი—
ბაქქარაში წაგებულნი—ასტრალეებს რომ ზომავს?!

1 მაგიდა. მაგას თუ არ უნახავს—სხვას ვის უნახავს.
მაგიდები. ხა-ხა-ხა..

ფინკელშტეინ. ვერც მე გავიგე ეს „ბითურია“..

3 დადაისტი. ჰერრ ფინკელშტეინ. მარჯვე კაცი ხარ..
გინახავთ დილით სახლში მიმავალი—
მეძავი ქალი დაღლილი ღამით.
გახუნებული და ფერწასული.
ძლივს რომ შიამბიჯებს?!

2 მაგიდა. მაგას თუ არ უნახავს—სხვას ვის უნახავს!.
მაგიდები. ხა-ხა-ხა.

4 დადაისტი. სხვა არა არის რა ფილოსოფია ბითურია..
ლოლოტა. (ხითხითებს)
ბლანშეტა. (ხითხითებს)



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფინკელშტეინ. დღეს ვოდვეილზე ვაპირებდი წასვლას..
- კინალამ არ შევცდი!!

5 დადაისტი. ჰერრ ფინკელშტეინ.
თქვენი წინაგრძნობა განთქმულია..
აქ ქვეყნის ვოდვეილია..

გელფერიხ. კმარა! ვის დასცინით..

6 დადაისტი. ჰერრ გელფერიხ! უნდა გაცნობოთ
არასასიამოვნო ამბავი (ამბობენ კოსმიურიაც);
სიცილი გაჰქრა. ახლა ირონიაა..

7 დადაისტი. დაეხსენ.. გახელდეს..

ნიცშე. დიონისოს გახელება იხსნის ქვეყანას.
ასე იტყოდა ზარატუსტრა.


1 დადაისტი. ხომ მოისმინეთ!
და მართალს იტყვის: გახელებაო..
ჰიპოხონდრია სიფილიტიკა: აი პაროლი.
ნიცშემ აღმოაჩინა ბნელი დიონისო.
თვითონაც გახელდა. სწავლას მაგალითიც უნდა.
აქ ახსნა არის. თუ გინდათ: ხსნაც არის.

გელფერიხ. სისულელეა გამოთაყვანებულის...

მაგიდები. ეს მართლაც „როშვაა.“

2 დადაისტი. ამ როშვაშია მთელი ლირიკა.
მოსიე პენუტიე! ამას თქვენ გაიგებთ:
რაზე არ სტიროდა ლატინთა რასსა:
ლირიკით მოსთქვამდა რასა და რასა.
ცოცხალი რომ იყოს დღეს ბრუნეტიერი—
მართალი იქნებოდა კაპუცინი ბედნიერი—
რომ აღმოაჩნდა:
რომ მთელი ლირიკა და სტილისტიკა
ჰიპოხონდრიაა სიფილიტიკა.

მაგიდები. ხა-ხა-ხა.



ფინკელშტეინ. ვენერიულ კაბინეტში ხომ არ მოხვდა.
ლოლოტა. საკვირველი არაა: ვენერა მეტად გიყვარს.
ბლანშეტა. (ხითხითებს)

გელფერიხ. საგიჟეთია ნამდვილი.

5 დადაისტი. სწორი გამოთქმაა.

შენობას აკლია მხოლოდ სიყვითლე.

კანტი. ყველაფერი ფენომენია.

4 დადაისტი. აი ხომ უსმენთ „კენისბერგელ ჩინელს“ —
სიტყვა ნიცშესია —

რაც უნდ რა მოხდეს: მოვლენა იქნება მხოლოდ.

აინშტაინ. ყველაფერი რელატივია.

5 დადაისტი. ეს ურიაც სიმართლეს ამბობს.

რასაც ჩაიდენ: თურმე იქნება მხოლოდ თუობა.

გოეტჰე. ყოველი წარმავალი მსგავსებაა მხოლოდ.

6 დადაისტი. ოლიმპიელ ბუღას დაეჯერება.

რაც გსურს ის ჰქენი: მსგავსება იქნება მხოლოდ.

პენუტიე. მართალია.

აღბად აქ იწყება ორმაგი ბუხპალტერია.

7 დადაისტი. ბუხპალტერია აწი იქნება

მრავალგანზომილების.

ფინკელშტეინ. ჭკუასთან ახლოა.

განსაკუთრებით ჩემი თანამემამულე.

გელფერიხ. საგიჟეთია პირდაპირ.

მაგიდები. ხა ხა-ხა.

1 დადაისტი. ჩვენ მხოლოდ პსიხიატრებს ველით.

2 დადაისტი. სიგიჟე მოერია ლოგოსს. ეს ფაქტია.

3 დადაისტი. სიგიჟე საუცხოვოა.

პენუტიე. თქვენთვის დამილოცნია.

ფინკელშტეინ. სიგიჟესი რა მოგახსენოთ.

მე ჭკუას ვარჩევდი.



საქართველოს
მემორიალი

4 დადაისტი. ონკელ ფინკელ მართალია. ისევ ჰკუთხა სჯობს.
ახალი რადიო ეიფელის კოშკიდან.
ღმერთი რომელიც ეხლახან აღმოჩნდა ინდოეთში
უკანასკნელ აგონიას განიცდის:
დიდძალი სასაქმებელი მიუღია
და ველარ უძლებს..

მაგიდები. ხა-ხა-ხა.

ფინკელშტეინ. ახია მის თავზე. ყოფილიყო თავისთვის.
ახირებული ჯიშის არიან ეს ღმერთები:
არც თვითონ ისვენებენ და არც ჩვენ გვასვენებენ.

ლოლოტა. ვაშა ონკელ ფინკელ! ხა-ხა-ხა..

ბლანშეტა. ღმერთებს ვადა გაუვიდათ. ხა-ხა-ხა..

გელფერიხ. მე ვგონებ მაგათ სიგიჟეს
სტუმრებიც იზიარებენ.

ზოგი მაგიდა. მართლაც საგიჟეთია.

5 დადაისტი. ნამდვილია. ახალი პაროლი:
ეპილეპსია აპოკალიპტიკა.
პირველად პატნოსის კუნძულზე გაჩნდა.
აბა ჰკითხეთ დოსტოევსკის.
მაგ პატნოსის ორკესტრის მანესტროა.

დოსტოევსკი. მადონნა და სოდომი.
ღმერთი და დიაბოლი.
ახალი მიწა. ახალი ზეცა.
ქვეყნის აღსასრული.
ჭიხინი აპოკალიპსის ცხენის.

6 დადაისტი. უკანასკნელი ჩვენი ანალიტიკა:
ეპილეპსია აპოკალიპტიკა.

7 დადაისტი. დღეს ყველამ იცის:
აუქციონია მიწის.
თუმცა ბებერია —



ნასუქია კარგი.
 პლანეტებს ჩამორჩა—
 გახდა მეტი ბარგი.
 ღმერთმა ბევრჯერ მოხნა,
 დაუმეავდა ცოხნა.
 მუცელი გაებერა:
 აღარ შევლის ოყნა.

დადაისტები. ხა-ხა-ხა. ხი-ხი-ხი. ხო-ხო-ხო.

1 მაგიდა. ვინ არის მყიდველი?

ლოლოტა. ონკელ ფინკელ.

ბლანშეტა. ონკელ ფინკელ.

2 მაგიდა. ლექსის ბოლო მაგასაც აწუხებს.

ყველა. ხა-ხა-ხა.

ფინკელშტეინ. მიწის მოვლაში იელოვამ დალია სული.
 დასკვნა ასეთია: ცდა უნდა გამოვიყენოთ.

ყალბ საქონელს მე არ ვყიდულობ.

მაგიდები. ვაშა ფინკელ! ვაშა ფინკელ!

ხა-ხა-ხა...

მარჩიელი. მაშ ბედი იყიდეთ.

ჩემი თუთიყუში იელოვაზე უფრო ჭკვიანია.

გელფერიხ. მირჩიე თუთიყუშო.

(თუთიყუში იღებს ბილეთს. მარჩიელი კითხულობს.)

მარჩიელი. ბედი არა გაქვს. არც აქეთ ხარ არც იქით.

სულ მალე ტყირპი გაგისივდება.

ნაღველიც მაგრად ჩაგექცევა.

სანამ იცოცხლებ—სამღურავს შოგაყრიან.

ყოველ დილით და ყოველ საღამოთი:

კუჭი. ნაწლავი. თავი. ცხვირი. ხელები. ფეხები.

და სხვა დეტალები..

(გელფერიხ წვდება ფრინველს და თავს წააწყვეტს)

გელფერიხ. მოკვდი ამ სიტყვებთან.

(მარჩიელს აუვარდება ტირილი. პირველი ხაზი ვითომ ირონიისაა: მაგრამ ყოველ სიტყვის შემდეგ უფრო და უფრო სერიაოზი ხდება გრძობა.)

მარჩიელი. თქვენ არ ხართ ღირსი

ამ ფრინველის ერთი წვეთის სისხლის.

ჩემო ერთგულო. ჩემო მეგობარო.

ჩემო ცრემლო. ჩემო სიხალისეც.

ჩემო მისანო. ჩემო მესაიდუმლე.

შენ იყავ ჩემი მარტოობის თანახიარი.

შენ იყავ ჩემი ძმა. ჩემი დაჲ.

კაცთა შორის მოკვდა ღმერთი.

მას ფრინველთან თუ იხილავ.

მასხრებო. მტარვალებო. ჯალათებო.

არ შემძლია სიცოცხლე სიცალიერეში.

სიკვდილშიაც შენთან: ჩემო ფრინველო...

(უეცრად თავს იკლავს. ჩამოწვება წამით სიჩუმე.

ზოგს მასხრობა ჰგონია.)

1 **მაგიდა.** მართლა ხომ არ მოუკლავს თავი?!

2 **მაგიდა.** თავი მოიკლა მართლა.

1 **დადაისტი.** „დივინა კომედია“. ტჰემა ახალი.

ვიწვევთ მეორე დანტეს.

(ამ დროს შორიდან მოისმის ტკაცუნის კეთროვანთა.

ხმაური თანდათან მატულობს.)

2 **დადაისტი.** რა ამბავია?! /

3 **დადაისტი.** კაბარეს ხალხი აწყდება.

4 **დადაისტი.** ტევა არ იქნება.

5 **დადაისტი.** აი გამარჯვება.

6 **დადაისტი.** „დივინა კომედია“.

7 **დადაისტი.** სანახაობისთვის მკვდარი მარჩიელიცაა...



ფინკელშტეინ. წინადადებას ვიძღვევი:
ანტრეპრონიორი გავხდე თქვენი.
იმპრესსარიო დადაისტების—
ჰერრ არონ ფინკელშტეინ.
ხუმრობის გარეშე.
მთელ ევროპას შემოვიართ.
თეატრებში და მუსიკოპლლებში
ხალხის ტევა არ იქნება.

მაგიდები. დადაისტების იმპრესსარიო —
ჰერრ არონ ფინკელშტეინ. ხა-ხა-ხა-ხა...
ვაშა ფინკელ! ვაშა ონკელ ფინკელ!

ლოლოტა. მე ხომ არ დამტოვებ?!

ბლანშეტა. მეც ხომ თან წამიყვან?!

ფინკელშტეინ. უთქვენოთ რა მოგზაურობა იქნება!?
თან წაგიყვანთ გვრიტებო.

(შემოცვივდებიან კეთროვანნი. წინ: მორელლა.
გულლია. მკერდზე წითელი დალი. ხივილი. კივილი.
მრავალი გარბის შიშით აყვანილი ზოგი რჩება:
მაგრამ კუთხეში იმალება. მორელლა ხედავს მოკ-
ლულ თუთიყუშს და მკვდარ მარჩიელს. იკივლებს.)

მორელლა. მასხრებო! ჯალათებო! სისხლის მსმელებო!

1 **კეთროვანი.** ვინ მოჰკლა მარჩიელი საწყალი?!

2 **კეთროვანი.** ვინ მოჰკლა თუთიყუში საწყალი?!

3 **კეთროვანი.** ვინ შეღება მიწის გული სისხლით?!

1 **დადაისტი.** თუთიყუშს მოსწყინდა
სხვისი სიტყვების გამეორება.

4 **კეთროვანი.** ეს მარჩიელი ჩვენთან დადიოდა.

2 **დადაისტი.** სული განუტევა ფრინველთან.

3 **დადაისტი.** ახალი ფრანსის ასიზელია.

4 **დადაისტი.** ფრინველთან ცოცხლობდა.



- 5 დადაისტი. ფრინველთან არჩია სიკვდილი.
- 5 კეთროვანი. ვინ არის მკვლელი?
- 6 კეთროვანი. ვინ არის დამნაშავე?
- 6 დადაისტი. თვითონ მოიკლა თავი.
- 7 დადაისტი. პოეტებს მოუკლეს მათი გადამრჩენელი
პანაშვიდია დღეს თუთიყუშზე.
პოეტებას მეთაურობით.
- მორელლა. მასხრებო! მასხრებო!
- 1 დადაისტი. დღეს „დადას“ გამარჯვებაა.
- მორელლა. ჯალათებო! ჯალათებო!
- 2 დადაისტი. სპექტაკლი ჩინებულად გძეღდება.
- მორელლა. თავს ნუ იგდებთ.
- 3 დადაისტი. მოლოდინს გადააქარბა.
- დადაისტები. ხა-ხა-ხა-ხა.
- მორელლა. მასხრებო! მასხრებო!
- თქვენ მშიშრები ხართ.
- თქვენ გეშინიათ სინამდვილის ხილვის.
- თქვენ გეშინიათ კედლის გარღვევის.
- თქვენ გეშინიათ სიგიჟის.
- თქვენ მხოლოდ თავს იგიჟებთ.
- თქვენ მხოლოდ თავს იგდებთ.
- 4 დადაისტი. ჩვენი პროგრამის
ილუსტრაციაა ნამდვილი.
- 5 დადაისტი. შემთხვევაც რომ ხელს გვიწყობს!
- 1 კეთროვანი. თქვენ რა იცით რა არის სიცოცხლე?!
- 2 კეთროვანი. თქვენ რა იცით რა არის სიყვარული?!
- 3 კეთროვანი. თქვენ რა იცით რა არის ტკივილი?!
- 4 კეთროვანი. თქვენ რა იცით რა არის მარტოობა?!
- 5 კეთროვანი. თქვენ რა იცით რა არის ქრილობა?!
- 6 კეთროვანი. თქვენ რა იცით რა არის გამეტება?!



7 კეთროვანი. თქვენ რა იცით რა არის ცრემლები?!

6 დადაისტი. დოსტოევსკის მოწაფეებია.

7 დადაისტი. დოსტოევსკის სიტყვებია:

1 დადაისტი. „სიყვარულს მაშინ დავიჯერებ“ **ბიზლიროთეკა**

2 დადაისტი. გაგძელება შემდეგ.

მორელლა. არა. არა. გაგძელება აქვე..

3 დადაისტი. „თუ კეთროვანთან დაწვებიო“.

4 დადაისტი. ხა-ხა-ხა-ხა.

მორელლა. იცინეთ. იგრიხეთ!

სიყვარულმა არ იცის შიში.

სიყვარულმა არ იცის საკუთარი ქერქი.

სიყვარული გამოსავალია ქვეყნის.

შეიყვარე კეთროვანი —

მხოლოდ მაშინ გაიგებ სიყვარულს.

შეიყვარე ისე რომ უკან არ მოიხედო.

შეიყვარე ისე რომ ერთი წუთითაც არ დაექვდე.

მაშინ იხილავ სინამდვილეს.

ქვეყანა კეთროვანია.

კეთროვანს სიყვარული იხსნის.

ზინკელშტეინ. სიტყვა გძელია. მხოლოდ ბოდვაა მეტი.

5 დადაისტი. ბოდვა რომ იყოს კარგი იქნება.

6 დადაისტი. აქ ბოდვაზე მეტია.

ეს არის მხოლოდ უბედურობა.

7 დადაისტი. თუმცა სანახაობისთვის ეს უკეთესია..

(ხმაური მატულობს, მოდიან ტალღები: მათხოვრების

— უფეხოების — უსინათლოების — მახინჯების — შვივ-

რების.)

1 კეთროვანი. თქვენ გეშინიანთ ჩვენი.

2 კეთროვანი. ჩვენი ხვედრი თქვენიც არის.

3 კეთროვანი. ჩვენი ღარები თქვენც დაგდაღვენ.



4 კეთროვანი. ჩვენი იარები თქვენც დაგალობთ.

5 კეთროვანი. ჩვენი ბაღმები თქვენც დაგშლით.

6 კეთროვანი. თქვენ ჩვენსავით აყროლდებით.

7 კეთროვანი. თქვენ ჩვენსავით აშმორდებით.

ფინკელშტეინ. დავიჯერო მართლა—

რომ ქვეყანა ილუპება?!

1 დადაისტი. ქვეყანა კაი ხანია უცდის
ყვითელ შენობას.

2 დადაისტი. შენობისათვის არქიტექტურულ პლანებს
ჩვენ ვადგენთ.

3 დადაისტი. არქიტექტორებსაც ჩვენ ვირჩევთ.

მორელლა. თქვენი არსება შიშია და სილაჩრე.
მიწისძვრის დროს პირველი თქვენი ფიქრი რა არის:
მე ხომ გადავჩიო: აი ჩუმი პასუხი.
მე ვიცი თქვენი ზიზლი ჩვენდამი.
ეს ზიზლია თქვენი ხვედრის—
რომელსაც თქვენ ემალებით:
დღე ღამე ყოველ წამს.
თქვენ სმენას იყრუებთ რომ არ ისმინოთ.
კეთროვანია მთელი ქვეყანა.
რათ არ ისმენთ თუ როგორ ღრღნის
ჭია მიმაღული:
ქვას—ხეს—ცხოველს—კაცს—ქალს—ქვეყანას?!
გეშინიათ ფარდის ახდის.
ჩამოხიეთ ფარდა.
იხილეთ სინამდვილე.

ფინკელშტეინ. ჩვენ აქამდე ამას გვასწავლიდენ:
ადამიანი სიკვდილის შვილიაო.

4 დადაისტი. „დადა“ ამზადებს
მანიფესტს სიკვდილისას.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

- 1 კეთროვანი. თქვენ ოდესმე გიხილავთ სიკვდილი?!
 - 2 კეთროვანი. თქვენ ოდესმე გინახავთ მომაკვდავი დედა?!
 - 3 კეთროვანი. თქვენ ოდესმე გიხილავთ დედა მომაკვდავთან?!
 - 4 კეთროვანი. თქვენ ოდესმე გინახავთ დედის ძუძუ როცა მას მომაკვდავი ბავში კბენს?!
 - 5 კეთროვანი. თქვენ ოდესმე გიხილავთ თვალდახუჭული სამყდამოდ ბავში?!
 - 6 კეთროვანი. თქვენ ოდესმე გინახავთ უკანასკნელი გამოხედვა?!
 - 7 კეთროვანი. თქვენ ოდესმე გიხილავთ უკანასკნელი ამბორი?!
- ფინკელშტინ. აქ ჩვენი იერემიიდან ბევრი რამ უნდა აყოს.
- 5 დადაიხტი. „დადა“ ამზადებს ახალს იერემიიდანს. (ხალხი თანდათან მატულობს)
- მორელლა. თქვენი არსება შიშია.
თქვენ ვერ დარჩებით თავისთავთან მარტო ერთს წამსაც კი.
თქვენ გინახავთ მუნიანი ძაღლი მზეს რომ ეფიცება?!
- ქვეყანა ეს ძაღლია მუნიანი.
შეიყვარეთ იგი შიშის გარე—
მაშინ იხილავთ სიძარტლეს.
მაგრამ ვიმეორებ:
თქვენი არსება შიშია.
მუნიან ძაღლს რომ ხედებით —
მეორე მხარეზე გადადიხართ.

(ამ დროს ერთი კეთროვანი აგარდება ესტრადაზე დადაისტები დაფრთხებიან.)

კეთროვანი. აი თქვენი არსი: შიში. შიში. შიში.
(ხალხი კიდევ ემატება)

ხმები გარეთ. დაიქცეს ქვეყანა!
დაიმსხვრეს ქვეყანა!
არ დარჩეს არაფერი!

კეთროვანი. უკანასკნელი გამეტება!
უკანასკნელი მსხვერპლი!
უკანასკნელი გარდაქმნა!
(ყვირიან გარეთ: „ამბოხება“. ასეული შემოერთების ბალაგანს. შემოვარდებიან ოფიცრები.)

ოფიცერი. ჩააქრეთ ამბოხება!

ხმები. თქვენ თვითონ გაგაქრობთ!

ოფიცრები. სროლა იქნება! ვუბრძანებთ გესროლონ!

(ამ სიტყვებზე დადაისტები და მათი მსმენელები გარბიან. პირველი გარბის ფინკელშტეინი. რჩებიან მხოლოდ უბედურნი: კეთროვანი — მახინჯები — უფუხონი — უსინათლონი — მშვიერი — მათხოვარნი.)

ფინკელშტეინ. როცა სროლაა — გაქცევა ჯობს.

კეთროვანი. უბრძანეთ — გვესროლონ. გვესროლონ.

მორელლა. უბრძანეთ გვესროლონ!

(კეთროვანი იხსნიან გულს. მოსჩანან საშინელი დღეები. სალდათები იკივლებენ შიშნარეგ საცოდაობით. დაჰყრიან თოფებს. გარბიან.)

კეთროვანი. გვესროლეთ! გვესროლეთ!

მორელლა. სიყვარული:

უკანასკნელი სიყვარული...

სიყვარული კეთროვანთა...

(ვიზიონერული თვალეზი დე ექსტატიური ხელეზი
ყველასი)

ქეორევიანი. ჩვენი დედე!

ჩვენი დედე!

ჩვენი დედოფალი!

ჩვენი სიყვარული!

(პირქვე დეემხოზიანი ცრემლეზით. სცენა ზნელდეზი.

ფარდა ეშვეზი უხმო სინელით.)



სურათი მეექვსე

ანთავული საკიკა

მოქმედნი:

აზეფულ.

უცნობი.

რევოლიუციონერები.

აგენტები (საიდუმლო პოლიციის).

მორელა.

ზარიფა.

ზარიფას: დედა — მამა — ძმა.

ბოშები. გლეხები.

კეთროვანნი.

მასხები.

შუაგულში მოზდილი ოთახი. მარცხნით მისაღები. მარჯვნივ მისაღები. ოთახებში მარცხნით და მარჯვნივ მცველები: დიდრონი ზანგები. დიდს ოთახში კაბინეტი. დიდრ საწერი მაგიდა. მარცხნით ტელეფონი. მარჯვნივ ტელეფონი. საწერ მაგიდის პერპენდიკულიარულ: გძელი კუბოს მსგავსი ყუთი. ზედ ნოხი. ირგვლივ სკამები. უკან: მოძრავი კედელი. მორთულობა სადა და მკაცრი. ფერი შავი. აზეფულ ზის მაგიდასთან. სწერს შენიშვნებს. ალაგებს ქაღალდებს. ზოგს წვავს. გაისმის წკარუნი

მარცხენა ტელეფონის. აზეფულ მიდის ტელეფონ-
თან.



პაროლული
ზიგლიოთიქა

აზეფულ. ალლო! პაროლი?! ჰო!
ყველაფერი მოწყობილია?! კარგი..
გამოსვლა დღეს... უთუოდ... დღეს გამოიყვანენ.

მხოლოდ ერთ ჯგუფს... ჰო!

გამოგზავნეთ სანდო პირი...

ინსტრუქციები პირისპირ...

როდის?! ეხლავ საჩქაროდ...

(ბრუნდება მაგიდასთან. აკეთებს შენიშვნებს. ქალაღ-
დებს ალაგებს. ზოგს წვავს. გაისმის წკარუნი მარ-
ჯვენა ტელეფონის. მიდის ტელეფონთან.)

ალლო! პაროლი?! ჰო..

კარგი... ეგრეა სწორეთ... დღეს აპირებენ.

პროცესიის დროს..

მზადაა ყველაფერი?! კარგი.

გამოგზავნეთ სანდო პირი.

ინსტრუქციები პირისპირ...

ჰო! ეხლავ! საჩქაროდ!

(ბრუნდება მაგიდასთან. მღერის ლულულულით. აკე-
თებს შენიშვნებს. ქალაღდებს ალაგებს. ზოგს წვავს.
მარცხენა მხრით ხმაური. მისაღებ ოთახში რევი-
ლუციონერი. მცველები აჩერებენ. კარზე რაკუნია.)

მცველი. თქვენთან არიან.

აზეფულ. პაროლი?

მცველი. ას ერთი.

აზეფულ. შემოუშვით..

(შემოდის რევილუციონერი)

რევილუც. მე მოველ.



აზეფულ. ხომ იცით საჭმის ვითარება?!

რევოლუც. დღეს სამ საათზე მიჰყავთ კეთროვანთა ჯგუფი ადულტებულ საკირეში გადასაყრელად.

აზეფულ. კეთროვანთა დედოფალი ჯგუფში იქნება.

რევოლუც. ხნა ყრუდ არის გავარდნილი.

მასები ლელავენ. მათხოვრები.

მახინჯები. მშიერნი.

აზეფულ. საჭიროა დამშვიდება.

რევოლუც. საცოდავები ჩვენს მხარეზე არიან.

აზეფულ. ჩვენს მხარეზე დარჩებიან.

რევოლუც. უნდა ხელი შევეშალოთ.

აზეფულ. არ ივარგებს.

რევოლუც. როგორ?! არ მესმის?!

აზეფულ. საცოდავები ჩვენ უნდა გამოვიყენოთ.

რევოლუც. როგორ?!

აზეფულ. ჩაჰკირავენ მხოლოდ მეთაურებს.

მათი იდეა ჩვენი არ არის.

რევოლუც. დანარჩენნი?!

აზეფულ. ჩვენთან იქნებიან როგორც მასალა.

საჭიროა მხოლოდ მათი იდეის დაწვა.

მეთაურებს ჩაჰკირავენ—იდეაც ჩაიკირება

რევოლუც. მე შეეჭვება.

აზეფულ. რევოლუციამ იჭვი არ იცის.


რევოლუც. მაშ დღეს რომ გამოვალთ?!

აზეფულ. მხოლოდ სადემონსტრაციით.

რევოლუც. ეს არის უკანასკნელი გადაწყვეტა?!

აზეფულ. უკანასკნელი...

(რევოლუციონერი გადის. აზეფულ განაგრძობს შენიშვნების კეთებას. მღერის ლულლულით. ალაგებს



ქალაქებს. ზოგს წვევს, ხმაური მარჯვნივ, მისა-
ლებ ოთახში აგენტი. მცველები აჭერებენ წარზე
(რაკუნნი.)

მცველი. თქვენთან არიან.

აზეფულ. პაროლი?

მცველი. „რუხი“.

აზეფულ. შემოუშვით.

აგენტი. მე ვიახვებით.

აზეფულ. ხომ იცით საჭმის ვითარება?!

აგენტი. დღეს სამ საათზე მიჰყავთ კეთროვანთა ჯგუფი—
ადუღებულ საკირეში გადასაყრელად.

აზეფულ. კეთროვანთა დედოფალი ჯგუფში იქნება.

აგენტი. ხმა ყრუდ არის გავარდნილი...

მასები ღელავენ...

აზეფულ. სხვა არა იცით რა?!

აგენტი. რეკოლუციონერები ხელის შეშლას აპირებენ.

აზეფულ. არ არის მთლად მართალი.

აგენტი. მაშ სინამდვილე?!

აზეფულ. იქნება უბრალო დემონსტრაცია.

აგენტი. ჩვენი ზომები?!

აზეფულ. იარაღი მზად უნდა გქონდეთ.

აგენტი. ჯარი მზად იყოს?!

აზეფულ. მხოლოდ სამი ასეული.

აგენტი. სროლაც გაბედული?!

აზეფულ. მე გაცნობებთ სიგნალით.

აგენტი. სხვა არაფერი?

აზეფულ. ყველაფერა თქმულია.

აგენტი. სიგნალს მოგვცემთ.

აზეფულ. თუ საჭირო იქნება.

(აგენტი გადის. აზეფულ განაგრძობს შენიშვნების კეთებას. ალაგებს ქაღალდებს. ზოგს წვავს, მღერის ლულულულით. ხმაური მარცხნით. აზეფულ შეჩერდება. ჰკეტავს სწრაფად მაგიდას. შემდეგ კიდევ შეჩერდება. უეცრად იღებს რევოლვერს. ჯიბეში იღებს. მიდის კართან. მისაღებ ოთახში „უცნობი“. მკველები აჩერებენ. კარზე რაკუნია.)

მცველი. თქვენთან არიან.

აზეფულ. პაროლი?

მცველი. პაროლი არ აქვს.

უცნობი. უცნობი, თქვენთვის ნაცნობი.

აზეფულ. შემოუშვით.

(შემოდის უცნობი)

უცნობი. საქმე მაქვს დიდი.

აზეფულ. ბძანეთ.

უცნობი. თქვენ იცით სად იმალება მორელა.

აზეფულ. როკფელლერ გაიქცა.

უცნობი. თქვენ ფიქრობთ: თან გაჰყვა.

აზეფულ. საფიქრებელია.

უცნობი. მორელა ქალაქში იმალება.

თქვენს გარდა არავინ იცის.

უნდა მითხრათ სად არის.

აზეფულ. ერთი პირობით

უცნობი. რომელით?!

აზეფულ. თქვენ უნდა გახდეთ ჩემი შემწე.

უცნობი. მე?!

აზეფულ. თქვენ ბედისწერა ხართ.

უცნობი ეს ორი ტელეფონი რა არის?

აზეფულ. ორი გზა.

უცნობი. ერთიმეორის გამანადგურებელი.



აზეფულ. შემქნელი მესამის.

უცნობი. ბედისწერამ იცის მხოლოდ ერთი გზა

აზეფულ. ისტორიამ იცის მრავალი.

უცნობი. თქვენ ხართ პროვოკატორი.

აზეფულ. Fatalité უფრო ხმოვანია. ჰა-ჰა...

უცნობი. თქვენ ჰუმორი არ გცილდებათ.

აზეფულ. რადგან ყოველის განზე ვდგავარ.

უცნობი. ღმერთისაც და ეშმაკისაც. კარგისაც და ავისაც.

აზეფულ. სიტყვა კარგადაა გამოჭრილი.

უცნობი. ვის ემსახურებით?!

აზეფულ. ისტორიას.

უცნობი. ისტორიაში „ისიც“ არის და „ესეც“.

აზეფულ. მე ვარ ისტორიის დამაჩქარებელი.

უცნობი. როგორ?!

აზეფულ. ტერმინები სულერთია:

ღმერთი და ეშმაკი, კეთილი და ბოროტი.

მართალია მხოლოდ ფაქტი: ერთი ზეორეს ეომებიან.

ხშირად ერთსა და იმავე გულში.

ფაუსტიც ამაზე ნაღვლობდა—თუ არ ვცდები.

დოსტოევსკის მარტო ეს აწვალებდა.

მადონნა და სოდომი ერთი გულის ძვერაში.

უცნობი. თქვენს გულში არაა

არც მადონნა და არც სოდომი.

აზეფულ. სწორედ მისთვის ვარ ისტორიის დამაჩქარებელი.

უცნობი. როგორ?!

აზეფულ. მადონნა და სოდომი ერთიმეორეს ეომებიან.

ეს განუწყვეტელი ომი ისტორია არის.

ხოლო ომი ერთხელაც არის ხომ უნდა გათავდეს?!

მე ვეხმარები მადონნას რომ სძლიოს სოდომი.

მე ვეხმარები სოდომს რომ სძლიოს მადონნა.

მე ვეხმარები ორივეს რომ ომი მალე გათავდეს.

უცნობი. თქვენ ანადგურებთ ერთსაც და მეორესაც

აზეფულ. ომის გათავებისას—

არ იქნება არც მადონნა და არც სოდომი..

იქნება სხვა... მესამე...

მე ბორბალი ვარ ესხატალოგიის.

უცნობი. „უნგეჰოიერ“! საშინელება!

აზეფულ. თქვენ ხომ არ იციან შიში.

უცნობი. საშინელება! „უნგეჰოიერ“!

(გაისმის მარცხნით ტელეფონის რეკვა)

აზეფულ. ალლო! მზად არის.. კარგი..

პროცესსია ორ საათზე იქნება?!

კარგი.. კარგი..

(მოდის მარჯვენა ტელეფონთან)

„რუხი“?! თქვენ ხართ?! დააჩქარეთ!

პროცესსია ორ საათზე იქნება.. მაგრე..

უცნობი. მე არც მარცხენა ვარ და არც მარჯვენა.

თუმცა განზე არა ვარ

როგორც „ისტორიის დამაჩქარებელი“...

შემიძლია გავიგო საიდუმლო?!

აზეფულ. დღეს უნდა გადაჰყარონ ანთებულ საკირეში

კეთროვანთა ჯგუფი თავის დედოფალით.

უცნობი. დედოფალით?!


აზეფულ. დედოფალით?!

წარმოიდგინეთ ლამაზი ქალი..

იზიარებს კეთროვანთა სიყვარულს და

თვითონ ხდება კეთროვანად..

ქვეყნის ხსნა ამ ბოდვაში ჰგონია..



ქართველი
წიგლიერთა

უცნობი. ეს ბოდვაზე მეტია. არც ისე უბრალოა.

(უცნობი შეირხევა)

აზეფულ. მისთვისაა უფრო საშიში.

უცნობი. მითხარით სად არის მორელლა?!

(პაუზა)

აზეფულ. ძლიერ გიყვართ მორელლა?

უცნობი. თვითონ ხედავთ..

აზეფულ. სიყვარული მოჩვენებაა.

უცნობი. მისთვის ხართ თქვენ განზე.

აზეფულ. სიყვარული მოჩვენებაა.

უცნობი. მისთვის ხართ დაღუპული.

აზეფულ. ბედი უფრო ძლიერია თუ სიყვარული?!

უცნობი. ბედი სიყვარულის გარეშე არაფერია.

სიყვარული ბედის გარეშე არაფერია.

აზეფულ. ბედიც მოჩვენებაა.

(უცნობი წამოდგება და გამოწვევით)

უცნობი. მოჩვენებაა?!

აზეფულ. მე თქვენ გიჩვენებთ.

უცნობი. რას მიჩვენებთ?!

აზეფულ. „მოჩვენებას“. კეთროვანთა დედოფალს.

უცნობი. კეთროვანთა დედოფალს?!

აზეფულ. მან იცის სად არის მორელლა.

უცნობი. მან იცის?! მიშველეთ. უნდა ვნახო..

(აზეფულ მიდის მარჯვენა ტელეფონთან)

აზეფულ. ალლო! „რუხი“?!

ხუთი წამის განმავლობაში მომგვარეთ

მცველებით კეთროვანთა დედოფალი.

ფართულად. სახეზე-რიდე. ეხლავე.

უცნობი. თქვენ თვითონ იცით სად არის მორელლა..

აზეფულ. კეთროვანთა დედოფალი გეტყვით..



ეროვნული
ბიბლიოთეკა

უცნობი. თქვენ დღეს დამნდობი ხართ..

აზეფულ. მე არ მეშინია..

უცნობი. რომ გაგცეთ?!

აზეფულ. თქვენ ვერ გამცემთ:

რადგან გამცემს ორი გზა აქვს.

უცნობი. რომ გაიგონ?!

აზეფულ. ერთხელაც არის გაიგებენ.

ყველაფერი მზადაა..

(უცნობი დგება. აზეფულ თითს აჭერს ფოლაქს.

კედელი უხმოდ იღება. შემდეგ ისევ იკეტება.)

აი გზა: ღამესთან ერთად.

ეხლა ეს ნახეთ!

(აღებს კუბოს მზგავსს ყუთს)

ნუ გეშინიათ! ეს არის ჩემი ორეული.

ავსტრიაში ვნახე. მოვაკვლევი.

აქ ბალზამით არის შენახული.

ეს „მე“ ვარ მაძიებელთათვის..

უცნობი. ბორბალი ესხატალოგის!

(ხმაური მარჯვნივ. აზეფულ მიდის. მცველს აღარ

უცდის. მისაღებ ოთახში კეთროვანთა დედოფალი

მცველებით. პირაფარებული. აზეფულ უბძანებს შე-

მოიყვანონ.)

აზეფულ. შემოუშვით!

(შემოდის კეთროვანთა დედოფალი)

კეთრ. დედოფალი. რად მაწუხებთ კიდევ?!

აზეფულ. ამ კაცს სურს შენთან ლაპარაკი.

უცნობი. სად არის მორელლა?

(კეთროვანთა დედოფალი ხმაზე იცნობს უცნობს

და იქვე ჩაიკეცება. პაუზა. წამოაყენებენ. შემდეგ

ლონე მიხდილი შეეკითხება. უცნობი ვერ ცნობი-
ლობს მის ხმას.)

კეთრ. დედოფ. რად გინდა მორელლა?!

უცნობი. მკლავს სიყვარული.

კეთრ. დედოფ. მორელლა გამეტა შეყვარებულმა.

უცნობი. იყო გამეტება სიყვარულის.

კეთრ. დედოფ. მორელლა მოჰკლა შეყვარებულმა.

უცნობი. მორელლა გადაარჩინა შემთხვევამ.

კეთრ. დედოფ. მორელლა მოკვდა შეყვარებულისათვის.

უცნობი. შეყვარებულის სიცოცხლე იყო მორელლა.

კეთრ. დედოფ. შეყვარებულმა გაიგო:

მორელლა ცოცხალია.

უცნობი. იმ წამის შემდეგ მე შეშლილი ვარ.

კეთრ. დედოფ. ახლაც ისე გიყვარს როგორც გიყვარდა?!

უცნობი. კიდევ უფრო მეტად.

კეთრ. დედოფ. რომ იყოს დამქნარი მორელლა?!

უცნობი. შეყვარებოდა მაინც.

კეთრ. დედოფ. რომ იყოს მორელლა დახსნილი სრულიად?!

უცნობი. მაინც და მაინც.

კეთრ. დედოფ. რომ იყოს ჩემსავით კეთროვანი?!

უცნობი. შეყვარებოდა მაინც.

კეთრ. დედოფ. არა გაქვს საზღვარი?!

უცნობი. არავეთარი.


(კეთრ. დედოფალს გული წაუყვა. ჩაიკეცება. წამო-
აყენებენ. შემდეგ თითქო ექსტაზით.)

კეთრ. დედოფ. შენ ნახავ მორელლას.

უცნობი. როდის?!

კეთრ. დედოფ. დღეს ორ საათზე.

(კეთრ. დედოფალს თითქო უნდა კიდევ რაღაც



სტქვას. მაგრამ აზეფულ თვალს უქნევს მტველებს
რომ სწრაფად გაიყვანონ.)

უცნობი. როგორ?! მითხარი!

აზეფულ. გაიყვანეთ!

(კეთროვანთა დედოფალი გაჰყავთ)

უცნობი. რათ დააჩქარეთ?!

აზეფულ. მე მთლად გაჩვენეთ..

უცნობი. რა მაჩვენეთ?

აზეფულ. რომ სიყვარული მოჩვენებაა.

უცნობი. არ მესმის.

აზეფულ. კიდევ მეტს გაიგებთ.

უცნობი. რას გავიგებ?

აზეფულ. რომ ბედიც მოჩვენებაა.

(მარცხნით რეკვა. უცნობი უკანასკნელ სიტყვებზე
აიღესება. აზეფულ მიდის ტელეფონთან.)

უცნობი. როგორ ჰბედავთ!!

აზეფულ. მაცალეთ ორი წამი.

ალოო! რას ამბობთ?! გაიგეს?! ასეულებს ამზადებენ?!

ფრთხილად! ელოდეთ სიგნალს.

(მარჯვნივ რეკვა. მიდის ტელეფონთან.)

ალოო! რას ამბობთ?! გაიგეს?! ემზადებიან?!

ფრთხილად! ელოდეთ სიგნალს.

უცნობი. ბორბალი ესხატალოგიის.

აზეფულ. ხმოვანი სიტყვაა! ხა-ხა-ხა.

უცნობი. გამცემი ბედგატეხილი.

აზეფულ. ბედი მოჩვენებაა.

უცნობი. ბედში გძლევთ მე.

აზეფულ. სიყვარული მოჩვენებაა.

უცნობი. კისერს გადაგიგრებთ..





აზეფულ. ველარ გაიგებთ უკანასკნელ საიდუმლოს..
(ისმის შორიდან ხმაური დიდძალი მასსებეს: მარცხ-
ნით და მარჯვნივ მისაღებ ოთახების გარე გაისმის
ხმაური ერთსა და იმავე დროს. აზეფულ ელვისებრ რა-
ლაცას იგებს. მივარდება ჯერ მარცხნივ და მერე
მარჯვნივ. გასცემს ბრძანებას არ გაუღონ. შეშ-
ფოთდება.)

უცნობი. რა ამბავია?!

აზეფულ. გაიგეს ალბათ.. არაფერია..

ყველაფერს აქვს დასასრული..

(სწრაფად იკეთებს გრიმს და პარიკს. დააჭერს ფო-
ლაქს თითს. კედელი იხსნება. მოჩანს პროცესისია.)

უცნობი. ესხატალოგიის ბორბალი გადატყდა..

აზეფულ. ჯერ კიდევ არა.

აი მორელლასაც ნახავ.

ეხლა „მეც“ მნახონ.

(ახდის თავს ყუთს. დატოვებს თავახდილს.)

უცნობი. რა სთქვი?!

აზეფულ. შენ ნახავ მორელლას..

ნახონ ჩემი მეორე „მეც“.

აი მორელლაც.

ვერ მიხვდი—მორელლას ელაპარაკებოდი.

სიყვარული მოჩვენებაა. ბედიც მოჩვენებაა.


ეხლა ლამის სიმარტოვეში: საკუთარ თავთან..

(უცნობი შეუტევს. აზეფულ მოასწრებს გადახტომას.)

უცნობი. წყეული! „უნგეპოიერ“...

(უცნობი მივარდება გახსნილ კედელს. იკივლებს ზე-
კაცური საშინელებით.)

მორელლა! მორელლა! მორელლა!



(ნადირის სიავით გადახტება კედლიდან ქუჩაში. მთელი ტანი აწურული ბედისწერის გამშავებული რითმით. სახე ანთებული, მოვარდნილი შთაგონებით. იგი აყვანილია უცხო ძალით: აქ არის: რისხვა — ძლევა — სიცოცხლის დაწურვა წვეთამდე — სიკვდილის ხელშეხება — სიყვარულის სისავესე — მარადობის კალთის ჩამოხვევა. მასებში გადავარდება ჰეროული რიტმი. მასები ატორტმანდებიან თითქო წყალმოვარდნით. აქ არიან: კეთროვანნი — მათხოვრები — უფეხონი — უსინათლონი — მშიერნი — ბავშვები — მახინჯები. ჯგუფი განწირულ კეთროვანთა რკალშემოვლებულია შეიარაღებულ მცველებით. წინ: მორელლა.)

უცნობი. მორელლა! მორელლა! მორელლა!

(ხალხი დაინახავს თუ არა უცნობს — იკივლებს)

მასები. მორელლა! მორელლა! მორელლა!

(უეცრად მასების რკალს არღვევენ: ბოშები და გლეხები. ბოშებში: მორელლას დედა — დაა — ძმა — მამა. წაღლებით და ორკაპებით. ცხენების თქარათქური თითქო შორს შეწყდა. უცნობი არღვევს შეიარაღებულ რკალს.)

უცნობი. მორელლა! მორელლა!

მორელლა. სიზმარი.. სიცხადე.. სიყვარული..

მე შენი.. ნუ მეკარები.. ლორწი მოგედება..

უცნობი. მომედოს..

შენთან.. ყველგან..

ვიხილე ყველაფერი..

ვიხილე უკანასკნელი სინათლე..

(მოვარდება ზარიფა)



ეროვნული
ხელისუფლება

მორელლა. ზარიფა.. შენ..
(მოვარდებიან სხვები)
დედა.. მამა.. ძმა..

უცნობი. მორელლა! მორელლა!
შენთან.. ყველგან..

მორელლა. ვიხილე ყოველი.

მეტის ხილვას... ვერ ვუძლებ.

(ჩაიკეცება უცნობის ხელში. კვდება. უცნობი და ძმა ხელში აიყვანენ ცხედარს. მიჰყავთ პროცესისიის წინ. ამ დროს სცენაზე მეორე წყება მოაწყდება მარცხნივ და მარჯვნივ. შეანგრევენ კარებს. მცველებს გადათელავენ. შეხვდებიან კაბინეტში პირისპირ ერთმანეთს. გაოცება. აშტერდებიან აზნაფულის მკვლარ ორეულს. ყველაფერს იგებენ. ამავე დროს ხალხის მასსებში თავის თავად გაისმის მეხივით გავარდნილი ძახილი: „ამბოხება“ — „ამბოხება“ — „ამბოხება“. აგენტები წამსავე მიიმალებიან. რევოლიუციონერები გადავარდებიან გახსნილ კედლიდან მასსებში. მასსები ჰკივიან. გაისმის საშინელი გუგუნნი: თითქო ურაგანის რისხვა აგორებული.)

ხმები. საკირე ქვეყანას!

ადუღებული საკირე.

საკირე! საკირე!

(ფარდა ეშვება შეუმჩნეველად. გრგვინვა ყრუდ ინთქვეა.)

ტფილისი

1923

დეკემბრის ღამეები:

17. 18. 19. 20. 21.



Handwritten signature in blue ink

Handwritten initials 'AB' in blue ink

ს ა მ ა რ ა

პასტორალი ხუთკამარად

Handwritten text in Georgian script, possibly a title or author's name

Handwritten signature in blue ink

Handwritten signature in blue ink

ღმსაძა - ხევისციქო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოკმეღნი:

რაიბულ: 50 წლის. ხევსური.

თორღვაი: შვილი რაიბულის: 25 წლის.

მინდია: შვილი რაიბულის: დედით ფშავი: 27 წ.

მზიულა: ქალიშვილი რაიბულის: 17 წლის.

მაია: მზიულას ბიძაშვილი: 17 წლის.

ქავთარ: ნათესავი რაიბულის: 45 წლის.

ლაგაზ: ქავთარის ვაჟი: 10 წლის.

ზვიადა

მანგია

ღეგაი

ნადირა

გიგი

} თორღვაის მეგობარნი.

იჩო: ქისტე: 55 წლის.

ჰიდღირ: იჩოს მამა: 75 წლის.

მურთაზ: იჩოს შვილი: 25 წლის.

ღანიშ: იჩოს შვილი: 15 წლის.

ღამარა: იჩოს ქალიშვილი: 17 წლის.

ხევსურის ბიჭები: ოთხი: ლაგაზის მეგობარნი.

ქისტები: ორი.

მასხები.

ვაჟა-ფშაველა: პოეტი.

მოკმეღნება—ხევსურეთისა და ქისტეთის საზღვარზე.

კამარა პირველი

მოკმეღნი:

ლამარა.

თორღვაი.

მინდია.

ხევსურთა ბიჭები: ხუთი. მათ შორის — ლაგაზ.

ქისტის გოგონები.

შკელეები. გიგი. მანგია. ზვიადა. ლეგაი. ნადირა.

ხევსურეთისა და ქისტეთის საზღვარი. ლბილი ფერდობი. ფერდობი თითქო გარღვეულია ხრამით. მეორე მხარეს გადახტომა ნადირს შეუძლია. მთავარი მური: გალხობილი ბაია. აქა იქ ზოლებად ხელიკის ფერები. ზაფხული. მზის დახრა. ფერდოს ერთიმეორეზე მოედებიან მწყემსი ბიჭები: შვიდი-დან ათ წლამდე ჰასაკით. ხელში: ზოგს — კომბალი და ზოგს — სახრე. მოდიან და თითქო ნელი ღიღინით მოიმღერიან.

1 ბიჭი. აი მთაზედა —

2 ბიჭი. თოვლიანზედა.

3 ბიჭი. ია დავთესე —

4 ბიჭი. ვარდი მოსულა.

5 ბიჭი. ირმისა ჯოგი შიგ შაჩვეულა.

1 ბიჭი. ნეტავ ეძოვა — არ გაეთელა.

2 ბიჭი. სიძე-სიწამრი მთას ნადირობდენ.

3 ბიჭი. ტყორცა სიძემა — მაჰკლა ირემი.

4 ბიჭი. ტყორცა სიმაშრმა—მაჰკლა მან სიძე.

5 ბიჭი. შენ ჩემო ქალო მე რა გახარო!

1 ბიჭი. ქმარი მაგიკალ—თავს ნუ მაიკლამ.

2 ბიჭი. შენ ჩემო მამავ დარბაისელო!

3 ბიჭი. აგრემც მაკვდები—ვერ მაისვენო.

4 ბიჭი. მამეც ცულ-წალდი:

5 ბიჭი. გზა გავიკაფო.

1 ბიჭი. მამცემ სანთელი:

2 ბიჭი. გზა ჩავინათო.

3 ბიჭი. უნდა ჩავიდე ჩვევა-ქცევითა.

4 ბიჭი. უნდა გაჰვპოხო ირმის ტვინითა.

5 ბიჭი. უნდა შავსუდრო აბრაშუმითა.

ერთად. აი მთაზედა—თოელიანზედა.

ია დავთესე—ვარდი მოსულა.

(პაუზა)

1 ბიჭი. ჩემს ნისლას ტოლი არა ჰყავ.

2 ბიჭი. ჩემი შვინდაი მზეს ეთამაშება.

3 ბიჭი. ჩემი გიშელა ნისლივითაა.

4 ბიჭი. ჩემი ლურსა ყველა ხარებს დაჰლახს.

5 ბიჭი. ჩემი ლაბაი ყველას დატეხს?

1 ბიჭი. თუ შახვდა ირემს!?

2 ბიჭი. მაერევა. დასცემს.

3 ბიჭი. რქებზე აიცამს.

4 ბიჭი. ირემს ვერ დაეწევა—

5 ბიჭი. თუ რქებით ჯაგში არ გაება.

(შემოდის ნელის ბიჯით მინდია. შავგვრემანი. თათ-
ლისფერი თვალები: განზე მხედავი და თან გამჭრი-
ახი. შუა ტანის. რხევაში: სიღბილე. მორიდებული
და თან პირდაპირი.)

მინდია. ჩიტის ბუდე ვინ აანგრიო!?



1 ბიჭი. მე ხეზე არ ვასულვარ.

მინდია. ბარტყები ვინ გადმაასხა?!

2 ბიჭი. მე ბუდესათვის ხელი არ მიხლია.

მინდია. საბრალო ჩიტი: დაჰსტირის ბარტყებს.

3 ბიჭი. ერთი ბარტყი გაფრინდა.

მინდია. მეორე ბარტყი მკვდარი აგდია ჩირვთან.

4 ბიჭი. ეს თადიას ბრაღია.

5 ბიჭი. დადის ხევი-ხევ და ანგრევს ბუდეებს.

1 ბიჭი. გაუწყრეს მას ლაშარელია.

2 ბიჭი. მინდიაჟ! დაწუხებულ ხარ.

მინდია. ჩიტის სისხლის დაქცევავი ცოდოა.

3 ბიჭი. ჩიტის გული საცოდ ფართქალობს—

4 ბიჭი. ხელში რო გიჭყერავ ბატარაი.

მინდია. ჩიტის სული ბავშისაა.

5 ბიჭი. თოთოა. სათუთაა.

მინდია. თუ ყური უგდე ჩიტის გულის ცემას—
ბევრსა რამე გაიგებ.

1 ბიჭი. რას გაიგებ?!

მინდია. ყველაფერს.

2 ბიჭი. რომელ ხარ უფრო მაგარია—გაიგებ?!

მინდია. გაიგებ.

3 ბიჭი. რომელ მაერევა—გაიგებ?!

მინდია. მაგასაც გაიგებ.

4 ბიჭი. ბევრჯელა მსმენია

ჩიტის გულის ფართქალი.

შაუცოდავ ჩემ თიუებს—მეტე არა გამიგია.

მინდია. ჩიტის გული უნდა შაიყვარო.

5 ბიჭი. როგორა შაიყვარო?!

მინდია. მისი გული ვითამ შენი გულია, სცადევი.



ხმა. (მოისმის ძახილი)

ლაგაზ! ლაგაზ! ლაგაზ!

(პირველი ბიჭი მოსხლტება და გავარდნები! ფერდობის კუთხეში მივა თუ არა—იკივლებს ~~სამხრეთად~~ უკან გამოიქცევა აცახცახებული.)

1 ბიჭი. გველ! გველ! გველ!

(ბიჭები დაურთხებიან. ერთიმეორეს ეკვრიან. მინდია გაემართება გველისაკენ: თითქო დაჭერა ჰსურს. მიიხედ-მოიხედავს. ვერ ნახულობს. ბრუნდება.)

მინდია. იქნებ მაგჩვენა!

1 ბიჭი. არა. ვეება იყო. წითურა.

მინდია. ვერ შავხედ. დავიჭერდი.

2 ბიჭი. როგორა?! გველს?!

3 ბიჭი. უნასს?! უხამსს?!

მინდია. მე გველის არ მეშინის.

4 ბიჭი. რო გიკბინოს!?

მინდია. არ მიკბენს.

5 ბიჭი. გესლს მაგანთხევს.

მინდია. ჩემზე არ ხელდება გველ.

1 ბიჭი. ვის გაუგონავ რო გველ არ ხელდება?!

მინდია. მე გველ მიყვარს. გველსაც უყვარვარ.
რადგან ჩიტის გულ მიყვარს.

2 ბიჭი. გველ ჩიტსა ახჩობს.

მინდია. მაგ სხო რამაა.

3 ბიჭი. სულ ასეა თავიდანა?!

მინდია. არა. დიდიხანი არაა.

4 ბიჭი. გვითხარ—მინდიაუ.

5 ბიჭი. გვითხარ. მაგვიყევ.

მინდია. კალოზე ვიწვევ. სიტხეში. ხის ძირას.

სიტხე დიდი იყო: აღმურიანი.



წამძინებოდა. ჩრდილ გადასულიყო.
მზეს დავესიციხე: იცის გახელება.

1 ბიჭი. განა მზეიც გახელდების?!

მინდია. ჰაი-ჰაი რო გახელდების.

2 ბიჭი. მერე?! მინდიაუ!

მინდია. ყურიდან სისხლ წამსდენოდა.
გამომეღვიძა. დათენთილ ვიყავ.
ძილსა თავი ვერ ავართვი. ისევ მიმეძინა.
ძილში ვიღაც ყურს მილოკავდა.
ნელთბილი იყო ლოკვა სისხლის.
რალაცას ჩამჩურჩულებდა:
ტკბილი იყო ჩურჩული.
გამომეღვიძა—გველ იყო:
წითელი. რქანაყარი. ჯაგარაყრილი.

ბიჭები. უუუჰ! უუუჰ! უუუჰ!

მინდია. მას შემდეგ გველ მეგობარია ჩემი.
არ მეშინის. კიდევ უყვარვარ.
(ხრამის მეორე ნაპირზე მოდიან ქისტის გოგოები:
მოაქვთ ცალიერი ღოჭები. მათ შორის—ლამარა:
მალალი—შვინდისფერი თმით—მოლურჯო ფვალე
ბით—ოდნავ უკმეხი იერიით. ბიჭები ცქერად იქცე-
ვიან. მინდიაც თვალს აყოლებს. ლაპარაკს შუა დე-
ნაში გოგოები უკვე აღარ სჩანან.)

1 ბიჭი. გველის ხსენებაზე აი გოგოებიც.

2 ბიჭი. ერთი მათგანი მართლაც რო გველია.

მინდია. ვინ არიან ეს გოგოები?!

3 ბიჭი. ქისტების გოგოებია.!

4 ბიჭი. ერთი ვერ გამაიცან მათში?!

მინდია. რომელ?!



5 ბიჭი. აი ი ყელმაღალა—

ჯეირანივით რო იღერება.

მინდია. ვერ შევხედ.

1 ბიჭი. წითელი გველის კავები რო აქვ მხრებზე!

2 ბიჭი. თვალეზ ლურჯი ნისლითა რო ელურსება!

3 ბიჭი. ქისტის ქალაი ლამარა!

(მინდია გაიწევს გოგოებისაკენ. უკანასკნელნი უკ.
ვე დიდ ლოდს ამოეთარნენ. მინდია უკან ბრუნდება
ოდნავ სახეაშლილი.)

4 ბიჭი. შაგიჯდა გუნებაში—განა?!

5 ბიჭი. თვალ მაგტაცა—ხომა?!

მინდია. ვერ შევხედ!

1 ბიჭი. თუ შეხედ—დადნები ცვილივით.

მინდია. არ ვგონავ.

2 ბიჭი. შენისთანები მაუგრებია ქალაისა?!

3 ბიჭი. ჩვენი ზეზვაი სუ შაშალა.

4 ბიჭი. სუ გააგიეა მა წყეულმა.

5 ბიჭი. ალქაჯი თუა მაი ლამაზა!

მინდია. პირველად მესმის.

1 ბიჭი. არც ზეზვაის ამბავი შაგიტყია?!

მინდია. არა. არ მცნევია.

2 ბიჭი. ლამარა ცხენზე იჯდა—წითლაზე.

სუ ტიტველი. ვითამ ალქაჯი ქათქათა.

თეთრ მკერდზე ბროწეულისფერ თმები გადმაეშვა.

3 ბიჭი. თითქო მზე მავსხა ტანზე.

4 ბიჭი. წითლაი გაცხელდა. ქალი გაიტაცა.

5 ბიჭი. ზეზვაი უმხერდა გასუდრული.

მინდია. შემდეგ?!

1 ბიჭი. ცხენი შდინარეჩი გადაეშვა.

2 ბიჭი. ზეზვადი მოსხლტა ნაპირიდან
და უცბათ წითლას გავას მიახტა.

მინდია. მერე!

3 ბიჭი. მკლავებ უნდოდა მათხვია ქალაისთვის.

4 ბიჭი. ქალაიმ აატივტივა ტიტველი ტანი.

5 ბიჭი. ჰკრა ხელ ზეზვადის—
და საწყალი ყრუდ დაეცა—
საცა კლდე ჰყუდავ ხავსიანი.

ბიჭები. ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ჰა.
აგრემც მაუხდება.
(ძახილი მეორდება)

ხმა. ლაგაზ! ლაგაზ! ლაგაზ!

ლაგაზ. მეძახიან. თუ რაი მოხდა.

ხხვები. უნდა დავხედოთ ხარებს.

ხომ არ მაუვდათ რა.

(მიდიან. რჩება მინდია. მიდის ხევისაკენ. იხედება.
ბრუნდება უკან. ერთი ფიჭრითაა მოცული.)

მინდია. ვინ უნდა იყვეს?!

თუ ჯადოსანია?!

(მიიხედს ხრამისკენ. გოგოები თავს ამოყოფენ. მიე-
მართებიან. მიაქვთ სავსე დოქები. ლამარა უკანაა.
მინდია უცქერს გაშეშებით. დაიძვრის ადგილიდან.
მიდის ხრამის ნაპირას. გოგოებმა ავლეს ბილიკი.
უკან რჩება ლამარა. დოქს მიწაზე დგამს. იგიც გა-
შტერებით უცქერს მინდიას.)

გოგოები. ლამარ! ლამარ! წამო!

ლამარა. დავიღალ. მალე მოვალ.

მინდია. ქისტის ქალი ხარ ლამარა?!

ლამარა. იჩოს ქალაი—მრისხანის.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

მინდია. შენი სახეც რისხვია.

ლამარა. რაისადაა რისხვანი?!

მინდია. გული მაუბნება.

ლამარა. გულმა ხშირ ტყუილ იცის.

მინდია. პირიმზე ხარ სამზეოს გამოსულ.

ლამარა. ლამაზ სიტყვაი გაქვ.

მინდია. დაგიმშვენებავ მინდორი.

ლამარა. შენ თქმეი ტკბილია.

მინდია. მინდა სუ გიმზერდე.

ლამარა. მეჩქარის. უნდა წავიდე.

მინდია. ნეტავ ვიცოდე შენი ბედი.

ლამარა. მაჰკალ რქანოთა ჯონქაი—

მის ბეჭზე სწერია ჩემი ბედი.

მინდია. ჯონქაის მფარველ ჰყავ გივარგი.

ლამარა. თუ არ მაჰკალ—ვერ მიხვდე.

მინდია. ლამარა! ლამარა!

ლამარა. რაისა მეტყოდ კიდენა?

მინდია. შენს მზერას—კიდევ მამზირე.

ლამარა. მეჩქარის. მიცდიან.

მინდია. ხატად მეყოლების შენი სახეი.

ლამარა. გყვანდეს. გყვანდეს.

მინდია. ლამარა. მინდა ჩემ იყო.

ლამარა. ვიქნებ—თუ მამიტაცებ. ✓

მინდია. მაგიტაცებ.

ლამარა. იჩო მამა რისხვია. მურთაზ ძმაი ავია.

შენა ვერ შესძლო. შენ ჩეილი ხარ.

(უეცრად მოსხლტება და სავსე დოქით გავარდება.

ისმის კისკასი. მინდია ხელეზგაშვერილი უხმობს.)



მინდია. ლამარა! ლამარა! ლამარა!

(შემოვარდება თორღვაი. ნამდვილი ~~არა~~ მინ-
დიასი. ოდნავ უფრო მაღალი, ხნით ~~ცა~~ უმცრუ-
სი. ტანსაც ისე აცვია როგორც მინდიას. მხოლოდ
ნამგალი აქვს ხელში.)

თორღვაი. ვისა ეძახოდ მინდიავე?!

მინდია. იჩოს ქალს ლამარას.

თორღვაი. შენ რაი გინდა მასთან?!

მინდია. შამიყვარდეს.

თორღვაი. ხელი აიღე.

მინდია. როგორ?!

თორღვაი. მე მიყვარს ლამარა.

მინდია. შენც?!

თორღვაი. შენაც.

მინდია. შენ ძმაი ხარ ჩემი.

თორღვაი. ჩვენ არ გვიწოვავ ერთი ძუძუ.

მინდია. მამა ჩვენი ერთია:

ერთი თესლისაი ვართ თორღვაი.

თორღვაი. ვიცი შენაც.

შენ ჩიტებ გიყვარს—მინდიავე.

შენ ბალახებ გიყვარს.

შენ ყოილებ გიყვარს.

მინდია. ლამარაც გულს შამეჭრა.

თორღვაი. ამაიგდე გულიდან.

მინდია. შაუძლოა.

თორღვაი. ამაიგდე გულიდან — თორო...

მინდია. თორო?!

თორღვაი. თორო ჩემი გველისპირული გორდაი
დიდი ხანია სისხლით არ შალეზილა.

მინდია. თორღვაი! რას იტყოდ!? თორღვაი!



ეროვნული
ბიბლიოთეკა

თორღვაი, ჩემი სიტყვაი გორდაის რკინისაა..

მინდია, თორღვაი! ნუ იქმ! ძმად ხარ,

თორღვაი, იქმნების, იქმნების,

მინდია, გყვანდეს ლამარა,

სისხლ არ დაღვარო, არა მინდოდეს,

თორღვაი, რას გეტყოდ ლამარა?!

მინდია, ვინც მამიტაცის—მისი ვიქნეო.

თორღვაი, ეხლა წადი—იქისკე.

აქეთას არ გნახო..

(მინდიას ცრემლი ერევა, ჩალუნავს თავს და მი-
დის, მხრები ჩაგუდული ტირილისაგან ერხევა.)

მინდია, თორღვაი! სისხლ შაანელე.

ავი საქმე არა ჰქნა..

(შემოვარდებიან ბიჭები, თორღვაი ზეითისაკენ იყუ-
რება, ბიჭები ვერ სცნობენ თორღვაის: მინდია
ჰგონიათ.)

1 ბიჭი, საითკენ იყურები?!

2 ბიჭი, შაგიჯდა გულში?!

3 ბიჭი, ასე იცის იჩოს ქალმა!

თორღვაი, თქვენა ვინ გკითხავთ?!

4 ბიჭი, რა შაუცვლია!

5 ბიჭი, სუ გაუგეყებია!

თორღვაი, დაჩუმდით—თქვე...

1 ბიჭი, რასა ფაფხურობ?!

2 ბიჭი, რასა იქაჩებ?!


თორღვაი, დაიკარგეთ აქეთგან!

3 ბიჭი, ზეზვაის საქმე თუ დაემართა!

თორღვაი, მე შენ გიჩვენებ ზეზვაის!

4 ბიჭი, მინდია არ ხარა?!

1 ბიჭი, შენ ხომ ჩიტებ გიყვარს?!



2 ბიჭი. შენ ხომ გველისაც არ გეშინის?!

3 ბიჭი. შენ ხომ ყოილ გახარებს?!

თორღვაი. რის ჩიტებ?! რის გველ?! რის ყოილ?!

4 ბიჭი. სუ გადურეგია იმ ალქაჯას!

5 ბიჭი. სუ შაუშლია იმ წყეულს!

თორღვაი. შაშლილები თქვენა ხართ — თქვე...

1 ბიჭი. ეს ნამგალ საიდან გაჩნდა?!

2 ბიჭი. ეს მგონი მინდია არაა!

3 ბიჭი. მოჩვენება თუა: ტყის კაცი.

4 ბიჭი. გამიგონია სახეს იცვლისო.

5 ბიჭი. მინდიას სახე თუ აისხა.

თორღვაი. რასა როშავთ!?

თქვე მაჯლაჯუნას ბახლებო!

ბიჭები. წავიდეთ! წავიდეთ! უცხო რამაა!

(მირბიან თითქმის შეშინებულნი. თორღვაი ისევ ზევით გასცქერის. სახე აშლილი აქვს სიავისაგან. შლისმის მკვლელების სიმღერა.)

მკვლელები. მაშინ კარგია კაი ყმა —

რო დილა ბინდზე დგებოდეს.

იცვამდეს გრილსა რკინასა —

„ომს ვიზამ“ — იმუჭრებოდეს.

ლურჯაი ხრავდეს ლაგამსა.

წალმაუკულმა დგებოდეს.

იხარჯებოდეს კაი ყმა —

ფარი ოხრავდა რჩებოდეს...


(სიმღერა თავდება. გაისმის ძახილი.)

ხმა. თორღვაი! თორღვაი! თორღვაი!

(თორღვაი ყურსაც არ იბერტყს. გასცქერის იმავ მხარეს. უეცრად შეიბრხევა და უკან გადმოხტება. იკივლებს სიხარულით.)

თორღვაი. მოდის! მოდის! მოდის!

(მართლაც გამოჩნდება ლამარა. ეხლა მარტო, ხელ-
ში ცალიერი დოქი უჭირავს. შეხედავს თორღვაის
შეკრთება. შეჩერდება.)



ლამარა. შენ კიდენ აქა ხარ?!

თორღვაი. მე შენ გიცდიდ.

ლამარა. რა იცოდ თუ მოვიდოდ?!

თორღვაი. ვიფოდ.

(თორღვაი განგებ ნელის ხმით ლაპარაკობს. თით-
ქო ოდნავ ხმა ჩაეხჩო.)

ლამარა. მისან ყოფილხარ.

თორღვაი. მხოლოდ შენი გულის.

ლამარა. ჩემ გულ ვერ მიხვდე.

თორღვაი. მიხვდე.. ძალით..

ლამარა. რისად უნობ აგრემ?!

(ლამარა რალაც უცნაურსა გრძნობს. კიდევ
უფრო შეკრთება და გაფითრდება.)

თორღვაი. ვაშკაც ვარ. ვირევი შენთვის...

ლამარა. არა. არა. ეს სხოა.

თორღვაი. იგია: ჩემი სიყვარულ.

ლამარა. სიყორულ?!

თორღვაი. სიყვარულ დამძღვევი!

ხმალზე ფიცშეკრული. სისხლით ამქმელი.

ლამარა. არა.. არა.. ეს სხოა.

თორღვაი. იგია.. ჩემი სიყვარულ.

ლამარა. სიყორულ?!

(ამ შეკითხვაზე ლამარას დოქი გაუვარდება. დოქი
გატყდება. იკივლებს.)



ქართული
ბიბლიოთეკა

თორღვაი. ჩემი საყორელ..

ლამარა. ცუდი ნიშანი.. ავი ნიშანი..

თორღვაი. ჩემი ნიშანი.. გახსომდეს..

(ლამარა მოსხლტება და თმაგაშლილი თავისიანე-
ბისაკენ გავარდება.)

ლამარა. რაია ჩემ თავს?!

(ისმის ძახილი)

ხმა. ლამარა! ლამარა! ლამარა!

ლამარა. მავდივარ! მავდივარ!

თორღვაი. მაგიტაცებ! ჩემი იქნებ! ლამარა!

(უცქერს გახელებული გარბენილს)

თორღვაი. ერთი მაიხედ კიდენ! ლამარა!

მარტო ერთი მაიხედ! შენს მზერას!

(ლამარა ოდნავ მოიხედავს შორიდან)

ლამარა. არა.. არა..

თორღვაი. მაგიტაცებ — ლამარა! ჩემი იქნები!

(უცქერს ზევით. მკვლელები ახლოვდებიან იმავ სიმ-
ღერით.)

მკვლელები. მაშინ კარგია კაი ყმა —

რო დილა ბინდზე დგებოდეს.

იცვამდეს გრილსა რკინასა —

„ომს ვიზამ“ — იმუქრებოდეს...

(უახლოვდებიან თორღვაის. ახლა ბოლო ხანას მღე-
რიან უფრო ნელი ხმით.)

მკვლელები. ლურჯაი ხრავდეს ლაგამსა

წალმაუკულმა დგებოდეს.

იხარჯებოდეს კაი ყმა —

ფარი ოხრავდა რჩებოდეს...

ზვიადა და გიგი. თორღვაი! თორღვაი!

(თორღვაი თითქო დათენთილი შიერთვის მკელთა
გუნდს. გასვლისას გაისმის ერთი ხვეული.)

მკელები. ლურჯაი ხრავდეს ლაგამსა.

წალმაუკულმა დგებოდეს.

კამარა მეორე

მოქმედნი:

ქავთარ.

ლაგაზ.

მურთაზ.

ლამარა.

თორღვაი.

მინდია.

თორღვაის მეგობარნი: ზვიადა. ნადირ. ლეგაი.
ქალები.

მთვართ აქათქათებულ ღამე. ფერდობზე—ქობი
ქავთარის. ქობიდან მოსჩანს კრაქის სინათლე.
ქობში ავადმყოფია: პატარა ბიჭი ქავთარის. ქალები
ნანას უმღერიან ნელი ხმით.

ქალები. დაი დაი.

შულო დაი.

კობტა ჟანი დაი.

ჩემო გულო დაი.

დაიზინ შულო დაი.

დაი ქენ თოლო დაი.

შენამ შემგველებ —

ტკბილად დაიზინ დაი.

ჟანიჰ ჭირიმენ —

ვაშკაც გახდ დაი.

დუშმან ბევრ გყავ დაი.
საქმეი ბოლ გოქ დაი.
შენ რუმ გაიზდებ დაი —
ხანჯალს მოგცემ დაი.
მამულს მაუარ —
შემუამაგრ დაი.
დაი დაი —
დაი დაი..

(სიმღერის ბოლოს გამოდის ქოხიდან ქავთარ)

ქავთარ. რად იგვიანებს ი ბიჭი ამდენ ხანს?!
ხომ არაფერ მაჭუვიდა?!

(შემოდის ეზოში მურთაზ სანადიროდ გამოწყობილი)

მურთაზ. მარშ დოლოლდაიშ! ქავთარს სიცოცხლე!

ქავთარ. მობრძანდი მურთაზ! მობძანდი... საიდან?

მურთაზ. სანადიროდ ვიყავ.

ირემმა ზნელ ხევში ჩამიტყუა.

შამამალამდა.

ქავთარ. ჩემსა მისვენებ.

(დასხდებიან ხის ძირას გძელ ქვაზე)

ქავთარ. იჩო როგორ არის?!

მურთაზ. მადლობა.. კარგად..

ქავთარ. ჰიდღირ ბებრაი?!

მურთაზ. მადლობა.. კარგად..

ქავთარ. ლამაზი ლამარაი?!

მურთაზ. სუ ცხენს აგელვებს.

ქალები. დაი დაი.

შულო დაი.

კოხტა ეანი დაი.

დაიზინ შვილო დაი.





მურთაზ. ნანას მღეროიან..

ქავთარ. ჩემს პატარა ბიჭს უმღეროიან..
ავად არის..

მურთაზ. რა მაუვიდა?!

ქავთარ. გველმა უკბინა.

მურთაზ. აქიმთან თუ გაგზავნე?!

ქავთარ. ლაგაზ გაგვზავნე..
არ ვიცი—რად იგვიანებს.

(წამოდგება და იყურება)

ქავთარ. მგონი კიდევ მოდის.

(შემოდის ლაგაზ. მიესალმება მურთაზს.)

ქავთარ. მინდია სად არის?!

ლაგაზ. მოვალს.

ქავთარ. გზაში შაჩერდა?!

ლაგაზ. მთვარეს უცქერს.

მურთაზ. რაისად?!

ლაგაზ. არ ვიცი.

ქავთარ. არა უთქომ?!

ლაგაზ. უნდა შევუთქოო რაღაც..

მურთაზ. უცხო კაც ყოფილა..

ქავთარ. მისანს უხმობენ..

ლაგაზ. გზაგზა სუ ბალახებს უჩურჩულებდა რაღაცას..

ქავთარ. იცის ბალახის ენა.

მურთაზ. როგორა?! ჯადო ხომ არ აქვ?!

ქავთარ. უნდა აქვდეს..

მურთაზ. მგონი—ვიღაც მოვალს..

(შემოდის მინდია. ცალი თვალი აქვს ახვეული. მიესალმება ქავთარს და მურთაზს. არას ამბობს, პირდაპირ ქოხში შედის.)



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქავთარ. ჩემ ბიჭ გაუხარდების.

ლაგაზ. სუ მინდიას უხმობს.

მურთაზ. ხშირად ნახდის?!

ქავთარ. სუ მასთანაა.. გულს შეეჭრა...

უყვარს მინდია.. არ სცილდება..

ლაგაზ. მინდორში სუ ერთად არიან..

მურთაზ. ბატარაი ჰყორებავ..

ქავთარ. უყვარს ბატარაებ ყოფნა..

მურთაზ. უცხო კაც ყოფილა..

(გამოდის მინდია გახარებული)

მინდია. არა უშავს.

ქავთარ. თუ მარჩება!?

მინდია. სუსტი ნაკბენია.

ქავთარ. წამალ რაიმე დაადეე?!

მინდია. გველის ქვა მეწამული...

მურთაზ. გველს ქვაი აქვ?!

მინდია. აქვ: ქვა — „მზის თვალი“..

ლაგაზ. სად აქვ გველს ქვაი?

მინდია. გველს აკრულ აქვ სასაზე ღბილი ქვა.

გველს დაიჭერ. ორ თითს თავს მაუჭერ.

გველ პირს გახსნის. ქვას ამაიღებ.

ქავთარ. ჯერ მაჰკალ და მერე ამაიღე.

რომ გიკბინოს?!

მინდია. გველს თვალით გაამეშვებ..

ვერ დაიძვრის.. ვერ გიკბენს..

თუ მაჰკალ — ქვაც მაკვდების..

ლაგაზ. გველის ქვაი წამალია?!

მინდია. არჩენს გველის ნაკბენს..

მურთაზ. როგორა?!



მინდია. ნაკბენზე დაადებ..

შხამს ამაწურავს..

წითლად ალივლივდება..

ქავთარ. ეხლაც თუ შაიწურავს შხამსა?!

მინდია. შაიწურავს.. უთუოდ შაიწურავს..

ბიჭ მალ მორჩების..

(პაუზა)

ქავთარ. ლაგაზ! ტაბლა გაშალე!

(ლაგაზ შედის ქოხში)

მურთაზ. საკვირელ კაც ყოფილხარ — მინდიაჟ..

ქავთარ. მინდი სხო კაცია.

მურთაზ. ასეთ კაც ჯერ არ გამიგონავ.

ქავთარ. ფშავის მოლექსენი სუ მინდის უმღერენ..

მურთაზ. უნდა უმღერონ — მაშა!

ქავთარ. ერთი მათგანი მინდის დიდათ ჰსახავს..

მურთაზ. რომელ?!

ქავთარ. დიდი ვაჟაი.. ფშაველა..

(ლაგაზ გამოდის. შლის ტაბლას. ხმიალი. ღვინო დიდი ღოჭით. პატარა ჯიხვის რქები.)

მურთაზ. შენ არ გსმენია — მინდი?!

მინდია. ერთხელ მამისმენია..

მურთაზ. თუ გახსონს?!

მინდია. ცოტა.. ცოტა..

მურთაზ. შაირ/ლამაზ იქნების.

ქავთარ. ლაგაზამ სუ ზეპირ იცის.

მურთაზ. ლაგაზ. სთქომდე შაირს!

ქავთარ. თქვი ლაგაზ!

ლაგაზ. რომელ ვთქო?

ქავთარ. მინდიაზე რო უბნობს..



ლაგაზ. მინდიაზე ბევრს უბნობს..

ქავთარ. აი ის: მინდი რო ყოილებს ნახულობს
(ლაგაზ ღელავს. მინდია მთვარეს გასტყობს.)

ლაგაზ. ყვავილნი ყელგადაგდებით.

დახატულები კალმითა,
„მინდიას გაუმარჯოსო“
ერთხმად ასტეხენ ყიჟინსა,
ხეები ფოთლებს არხევენ,
ბუნება იწყებს ბიბინსა —
და მერე სათითაოთა,
ყველა მოჰყვება ტიტინსა:
„მე ვარო ამის წაშალი“,
სხვა გაიძახის: „იმისა“.

მინდიაც მოსწყვეტს, თან მიაქვს,
ჯერ ზედ ნამი აქვს დილისა...

(მინდია ყურს უგდებს: თითქო სხვაზე შაირობს
ლაგაზ.)

მურთაზ. ლამაზ უთქომ..

მინდია. კარგ უთქომ..

ქავთარ. მინდი შენი სადღეგძელო!.

მურთაზ. ილხინე მინდი!

(შესვამენ ჯიხვის რქებით ღვინოს)

ქავთარ. კიდენ როგორა იტყვის?!

ლაგაზ. თურმე ზნედა სჭირთ ყვავილთა:

ოღონდ ეწამლონ სნეულთა,
სიცოცხლით გაფუფუნეზულს
არად აგდებენ სხეულთა:
სალხინოდ ჰსახვენ კაცთ სარგოთ
ძვალხორცთა ჩამორღვეულთა...

მურთაზ. ლამაზ უთქომ..



მინდია. კარგ უთქომ..

მურთაზ. ყოილებს ვებრალვით..

მინდია! ვებრალვით..

ქავთარ. მინდი შენი სადღეგძელო!

მურთაზ. ილხინე მინდი!

ქავთარ. კიდენ როგორა იტყვის?!

ლაგაზ. ყვავეილთ ეს ზნე სჭირთ და ხეებს

თურმე მოუვათ ტირილი;

მარტოკა მინდიას ესმის

მათი კენესა და ჩივილი.

ამისგან მისი ცხოვრება

ძალიან დაცარულია:

მივიდა ხესთან ცულითა,

სთქვა: „უნდა მოვსჯრა ესაო“.

შემოჰკრავს ცულსა და ამ დროს

ხის შემოესმის კენესაო:

„ნუ მომკლავ, ჩემო მინდიავე,

ნუ დამიბნელებ მზესაღ,

უიარალო რომა ვარ,

მიტომ მიმეტებ ხესაო?..“

დაუდუნდება მკლავები,

შტერად გაჰხედნებს ზეცასა;

სხვა ხეს მიჰმართავს—ის უფრო

მეტად დაიწყებს კენესასა...

მურთაზ. ლამაზ უთქომ..

მინდია. კარგ უთქომ..

მურთაზ. ხესაც ჰჭონია ცრემლი..

მინდია. აქვ ცრემლი..

ქავთარ. მინდი შენი სადღეგძელო!

მურთაზ. ილხინე მინდი!



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქავთარ. კიდენ როგორა იტყვის?!
ლაგაზ. ხელტარიელი წამოვა,
ვერ მოიყოლებს შეშასა,
და რომ ღველფზედა არ გაჰქრეს
ცეცხლი, ანთებს თივასა,
ან ჩალას, გამხმარ ჯოგრებსა,
თან მიაშველებს წივასა;
თუ სად ხმელ წიწკრებს იპოვნის,
არც დაიწუნებს იმასა...

მურთაზ. ლამაზ უთქომ..

მინდია. კარგ უთქომ..

მურთაზ. გებრალვის ყოველ..

მინდია. მებრალვის ყოველ გაჩენილი..

ქავთარ. მინდი შენი სადღეგძელო?

მურთაზ. ილხინე მინდი!

ქავთარ. ლაგაზ! ისა თქვი:
ჩიტებსე რო შაირობს..

ლაგაზ. ჰო და სთქვი, კვლავ სთხოვს ბერდია,
გულზე რა ჭირი გჭირია?—
აგერ იმ ჩიტებს ყურს ვუგდებ,
თითით უჩვენა ჩიტებსე;
ორნი ფრთებ ჩამოშობილნი
იფნის ქვეშ ისხდნენ სიპებზე.—
ერთი მეორეს უამბობს
სიკვდილის ამბავს შვილებზე;
მარცხნით მჯდომარე დედაა,
მარჯვნისკე ამბის მთხრობელი;
თქვენ მტერს, რომ გულმოკლულადა
შვილებსა ტირის მშობელი.—
ჩიტებს ეხლა-ლა შესცქერის



ქართველი
წიგნიერების
კავშირები

ხევსურთა კრება სრულია;
ჩიტთაგან ერთი იმ დროსა;
თითქო მოსვლოდეს რულია,
სიპიდან დაბლა დაეცა
და განუტევა სულია.
რომელი მოკვდა ორთაგან,
ამის გაგება რჯულია...

მურთაზ. ლამაზ უთქომ! ლამაზ უთქომ!

მინდია. კარგ უთქომ! მართალ უთქომ!

მურთაზ. მინდი! ჩიტის გული გქონია..

მინდია. ჩიტის გულით ცოცხალ ვარ..

ქავთარ. გიცოცხლოს ჩიტის გული!

მურთაზ. ჰხარობდეს ჩიტის გული!..

(პაუზა. ქოხიდან ისმის ნელი ნანა.)

ქალები. დაი ქენ თოლო დაი.

შენამ შემგველებ—

ტკბილად დაიზინ დაი.

ქანიჰ ქირიმენ—

ვაშკაც გახდ დაი...

(სიმღერა წყდება. პაუზა.)

მურთაზ. მინდი! უცხო კაც ყოფილხარ..

ქავთარ. მინდიმ ყველაის ენა იცის..

ლაგაზ. მინდი ყოილებს ებაასება..

მინდია. ყოველს განაჩენს ენა აქვ..

მურთაზ. უსულოსაც?! -

მინდია. უსულოსაც: ქვას. ხეს. ყოილს..

მურთაზ. როგორა ხვდები?!

მინდია. არ ვიცი.. მიყვარს.. ვხვდები..

ლაგაზ. ძოღან მინდი ქადარს მაეხვია..



ეროვნული
ბიბლიოთეკა

მინდია. ლამაზი ტანი აქვ.

ქავთარ. ჩემ ბიჭსაც მით უყვარს მინდი..

მინდია. შენი ბიჭი ხვალ ადგეს..

ლაგაზ. მორჩება! იხტომებს!

ქავთარ. შენთან ითამაშებს..

მინდია. ითამაშებს.. ველზე.. ყოილებში..

(პაუზა. ქობიდან ისმის ნელი ნანა.)

ქალები. ღუშმან ბევრ გყავ დაი.

საქმეი ბოლო გოქ დაი,

შენ რუმ გაიზდებ დაი—

ხანჯალს მოგცემ დაი.

მამულს მაუარ—

შემომამაგრ დაი.

დაი დაი—

(პაუზა)

ქავთარ. დროა მავისვენოთ..

მინდია. მე გარე დავრჩები.. ლამე მთვარიანია..

ქავთარ. მურთაზ! შენ ჩემთან წამოხვალ..

ლაგაზ. მე მინდისთან დავრჩები..

ვარსკვლავებს გამოვკითხავ.

(ქავთარ და მურთაზ მიდიან ქობისკენ)

მინდია. ამაღამ ძილი არ მოვა.

ლაგაზ. რატუ არ მოვა?

მინდია. ვარსკვლავნი სხვანაირ კრიალებენ..

ლაგაზ. ხედავ?!
მინდია. ვხედავ.. ბევრს ვხედავ..

ამაღამ ბევრი ვარსკვლავი მოწყდება..

ლაგაზ. საით გადავარდების?!



მინდია. უკუნეთში.. ბუნების უბეში: საცა იშვა..

(ისმის ძახილი ეხოს ახლო)

ხმა. ქავთარ! ლაგაზ!

ქავთარ! ლაგაზ.

(ლაგაზ წამოხტება—გაემართება. წინ შეემთხვევიან:

თორღვაი—ზვიადა—ნადირა—ლევაი. მოჰყავთ ნა-

ბადში გახვეული ქალი: თმები დაშვებული აქვს.

დაასვენებენ ხის ძირას ქვაზე. მინდია უფრო აი-

ხვევს სახეს: თითქო ავადაა. ქალი თავს წამოყოფს:

შეკრთება. თავს დაუშვებს. ქვის მდუმარება. თორ-

ღვაი ჩურჩულით მიმართავს ლაგაზს.)

თორღვაი. ლაგაზ! ეხლავ სურით წყალი..

დაალევიან ქალას.. წყურვალია..

(პაუზა. მინდია განზეა. ლაგაზ მირბის. თორღვაი ვერ

ცნობს მინდიას. მიმართავს ამხანაგებს.)

თორღვაი. შენ იქით დადექ—ზვიადა!

შენ აქეთ—ლევაი!

მე და ნადირა საფართან ვიქნებით..

(გადიან. მინდიას გული რაღაცას ეუბნება. მკრთალია.

მოდის ლაგაზ სურით. ქალი სვამს ხარბათ.)

ლაგაზ. ლამარას თმები!

ლამარას თვალები!

გახსოვს ხრამთან?!

(მინდია ჩურჩულით)

მინდია. სსსუუუ.. წადი.. ძურთაზმა არ გაიგოს..

(ლაგაზ მიდის. მინდია ქალს უახლოვდება.)

მინდია. ლამარა..

ლამარა. ვინაი ხარ?



მინდია. მოხეტე.. მეოცნებე..

ლამარა. ხმა ნაცნობია..

მინდია. გსმენია..

ლამარა. სად?! არ მახსონს..

მინდია. დაიღალ ძალიან?!

ლამარა. არ ვიც.. ვითამ სიზმარია..

მინდია. მზით დახვეწილი თმები..

(პკოცნის თმებს კძალვით)

ლამარა. რაი არს?

მინდია. შაძლო ვაჟმა მატაცება!?

ლამარა. შაძლო.. შაძლო..

მინდია. იჩო სად იყო? მურთაზ სად იყო?

ლამარა. საიდან იც იჩო? საიდან იც მურთაზ?

მინდია. ვხეტიალობ ხევი-ხევ.. ვიცი..

ლამარა. იჩო სხოგანაა წასულ..

მურთაზ სანადიროთაა წასულ..

(გამოდის მურთაზ. მინდია განზე გაიწევს. გაფითრდება.)

მურთაზ. ძილ არ მოდის..

ტან ამღვრეულია..

(ლამარა იცნობს ხმაზე ძმას და იკივლებს)

ლამარა. მურთაზ!

მურთაზ. ლამარა!

(კივილი ისეთია — რომ თორღვაი და მისი ამხანაგები წამსავე გაჩნდებიან.)

თორღვაი. ვინ არი?

ზვიადა. ვინ არი?

ლეგაა. ვინ არი?

ნადირა. ვინ არი?



მურთაზ. მურთაზ! იჩოს შვილი! მურთაზ!

(მურთაზ გაბედულ გადადგამს მათკენ ნაბიჯს, როგორც ნადირი წამსავე ხვდება ყოველივეს სახე რკინის რისხვა. ლამარა გადმოხტება ქვიდან. გადააგდებს ნაბაღს. დაუვარდება წინ მურთაზს.)

ლამარა. ნუ იქმ! ნუ იქმ!

მურთაზ. ესაა შენი შნო?!

ლამარა. ნუ მძრახ — მურთაზ!

მურთაზ. ვაი — შარცხვენავ!

ვა ილლა! ვა ილლა! ილლალა!

ლამარა. ნუ უნობ — მურთაზ აგრე!

მურთაზ. მაგიტაცეს ქურდულებ!?

თორღვაი. მაგიტაც ვაშკაცურ!

მურთაზ. როს იჩო სხოგან იყო!

როს მურთაზ სხოგან იყო!

თორღვაი. თუნდაც ყოფილიყვნენ!

ზვიადა. არვის გვეშინის!

ნადირა. ჩვენი რვალი შეუვალია!

ღეგაი. ჩვენი ხმალი ბასრია!

მურთაზ. ჩემი გორდაიც მკვეთელია!

(მურთაზ ნახევრად იძრობს იარაღს. ლამარა იკივლებს. თორღვაიც ნახევრად იძრობს. მისი მეგობარნიც წამოიწევენ. ამ დროს გამოჩნდება ქავთარ. წამსავე იარაღს დაუშვებენ. ლამარა პირქვეა და მხოზბილი.)

ქავთარ. რა ამბავია?!

მინდია. ცუდი ამბავი!

(მხოლოდ ეხლა იცნობს თორღვაი ხმაზე მინდიას შეკრთება. რისხვა ემატება.)



თორღვაი. ?!... ?!

მურთაზ. ქავთარ! სტუმარ ვარ შენი!

თემის ადათს ვერ გავტებ!

დაი დიაც მექცა!

ვა ილლა! ვა ილლა! ილლალა!

ლამარა. ნუ მძრახ მურთაზ!

ნუ უნობ ცუდს!

თორღვაი. ქალაი მისია—ვინც მაიტაცებს.

ლამაზი მისია—ვისაც გაჰყვება.

მურთაზ. შარცხვეს შენი შნო!

ვაი ჩემო გვარო!

ვაი ჩემო შარცხვენავ!!

ვა ილლა! ვა ილლა!

ლამარა. ნუ იქმ ცუდს.. შენაც გაიგებ..

მურთაზ. სტუმარ ვარ..

რკინა იხრჩობა..

დაჰსცხრეს სისხლი აყეფებული!

ილლალა!

თორღვაი. ჩვენ შავხვდებით!

ზვიადა. შავხვდებით!

ნადირა. შავხვდებით!

ლეგაი. შავხვდებით ერთმანეთს!

მურთაზ. დღეიდან ჩემი ზრახვა—

მხოლოდ შახვედრა იქნება სისხლიანი.

ილლალა!..

(მიმართავს ქავთარს)

მურთაზ. ქავთარ! მშვიდობით!

(მურთაზ მოსხლტება ნადირივით და რისხვააყვანი-
ლი ეზოდან გავარდება. ლამარა წამოდგება მენა-
დასავით. შეჰკვივლებს.)

ლამარა. მურთაზ! მურთაზ! მურთაზ!

(დაეცემა ქვაზე ქვითინით. ყველანი გაშეშებული
დგანან. არ იძვრიან. ქოხიდან მოისმის წველი წველი
ლაგაზ ჩუმად გამოდის და გოცებით უცქერს იქვე
ურობას.)

ქალები. დაი დაი.

შულო დაი.

კოხტა ჟანი დაი.

დაიზინ შულო დაი.

დაი ქენ თოლო დაი.

შენამ შემგველებ—

ტკბილად დაიზინ დაი.

Handwritten signature or scribble in the bottom right corner.

ქამარა მესამე

მოქმედნი:

რაიბულ - თორღვაის მამა.

თორღვაი.

ლამარა.

მზიულა — თორღვაის დაი.

მინდია.

ქავთარ.

თორღვაის მეგობარნი: გიგი. მანგია.

ზვიადა. ლეგაი. ნადირა.

ბიჭები: ხუთი: მათ შორის — ლაგაზ.

ქალები. მომღერლები. დამკვრელნი.

მოცეკვავენი.

მოამბენი.

ვაჟა ფშაველა.

დიდი მუხის ქვეშ. მზის ტევრები ხარბად ესხმიან
მწვანელოვან მდელოს. ღრეობა. გაშლილი სუფრა.
ჯიხვის რქები. საკრავები. ღრეობა სავსეა ხალხით.

1 ბიჭი. ღრეობა! ღრეობა!

2 ბიჭი. ქეიფი ჯიხვებით!

ხმები. ქავთარ! ქავთარ! ქავთარ!

ქავთარ. ძნელია ხეალის ცოდნაი:

ვინ იცის — წავალთ საითა.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

მამაპაპური შახვედრა
ავავსოთ მარტო კაითა.
ვაშკაცის სადღეგძელოსა
შავსომდით ჯიხვის რქაითა.

3 ბიჭი. რქები რქები ჯიხვეების!

4 ბიჭი. სავსე რქები ჯიხვეების!

ხმები. ნადირა! ნადირა! ნადირა!

ნადირა. აპრიალებულ ხანჯარით
ახალისებდე მაჯასა.

ერთი შეძახით იფრენდე
ხევში ალსა და ქაჯასა.
დასჭრიდე დევსა ბარძაყში—
ვერ მიათრევედეს ლაჯასა.

გიგი. რამდენჯერ დაგიჭრია დევი—ნადირა!

ნადირა. ერთხელ მაღალ კიუხზე.

მანგია. მეორეხელ?

ნადირა. მეორეხელ? არ მაჩსოვს.

ქავთარ. დევის დაჭრა ზვიადს ჰკითხეთ.

თადია. ზვიადამ ღამისთევა უფრო იცის—
თუ ღამაზე გოგო ეგულება.

ზვიადა. მენაც მათრობდეს ღამაზთან
ხანდახან ღამის თევება.

ლურჯაი ხრავდეს ლაგამსა—

ჰსურდეს ვეფხური ტევება.

ქალი რკინასა ჩამაცომს—

თუ გინდ დევებსაც შევება.

ხმები. ჰაი-ჰაი! მარჯვეა ზვიადა.

1 ბიჭი. ლეგაიც მარჯვეა!

2 ბიჭი. ლეგაის შესხმა უყვარს!

ხმები. ლეგაი! ლეგაი! ლეგაი!



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლევაი. ლამაზი ქალის რხევად
მარტო მე ვაქო—სხვამ არა.
მზე წამოესხას მანდილათ
და გაეშალოს კამარა.
ვინ არის რომ არ იცოდეს
თმათაფლა ქისტის ლამარა.

მანგია. ჰაი-ჰაი! შაჰრია გულსა.
გიგი. განა მარტო მაგას შეეჭრა?!

3 ბიჭი. ლამარა თორღვამი მაიტაცა.

4 ბიჭი. მთვარიან ლამეს მაიტაცა.

5 ბიჭი. მაიტაცა! მაიტაცა!

ხმები. ჰაი-ჰაი! ბიჭიცი იგი ყოფილა!

ქავთარ. ცხენს ხედნა უნდა მალიმალ.

- ალერსი ქორთა გოგოსა.
- სიმღერა წითელ ნუნუას—
- ცვარი არ დაიზოგოსა.

1 ბიჭი. სიმღერა! სიმღერა!

2 ბიჭი. შვიდი გურჯანელნი.

მომღერალნი. „გუშინ შვიდნი გურჯანელნი

სანადიროთ წასულიყვნენ.

იქ მაეკლად თეთრი ტახი

ხორცი მაემრავლებინათ.

ესროლა ბერმა ლოხუმმა

ტახი რქით ჩამაეკიდა“...

(სიმღერის ბოლოს შემოდის მინდია. ცალი თვალი
ახვეული აქვს. მკრთალია.)

3 ბიჭი. მინდია! მინდია!

4 ბიჭი. მინდია მოდის.

ქავთარ. მინდიას გაუმარჯოს!

მინდია. ლხინსაც გაუმარჯოს თქვენსა!
გიგი. მინდი! რისადა ხარ დაწუხებულ.
ნადირა. შასვი მინდი!

ზვიადა. გამხიარულდი მინდი!

1 ბიჭი. სთქვი რამ მინდი!

2 ბიჭი. გვითხარ რამ მინდი!

მინდია. ერთი ხანია-- გაუწყოთ --

გული არ მაქვის ლაღადა.

ყოილი არას მაუბნის--

აწი ვილხინო რაღადა.

3 ბიჭი. შენ სუ ყოილ გაგონდება.

4 ბიჭი. სხვას რისად არ ჰფიქრობ?

მინდია. ყოილი ყველაფერია.

ქავთარ. ყოილი მოვა--

შენც მოდი გუნებაზე.

მინდია. აიმღვრა მზერა ნათელი.

პირი იბრუნა გუნებამ.

სიავე თუ შამეპარა--

ნეტა რით დაითრგუნება?!

გიგი. დაითრგუნება. დაითრგუნება.

მანგია. ღვინით დაითრგუნება.

ლეგაი. შასვი მინდი--

შასვი მინდი.

აგისრულდეს თუ რაც გინდი.

(შემოდინან: რაიბულ, თორღვაი, ლამარა, მზიულა.)

1 ბიჭი. რაიბულ!

2 ბიჭი. თორღვაი!

3 ბიჭი. ლამარა!

4 ბიჭი. მზიულა!



ქავთარ. მეგონა არ მოხვიდოდით —

გულზე ვისობდი დანასა,
ლხინში ვინ ნახავს რაიბულ
ვაშკაცსა შენისთანასა.



ეროვნული

ბიბლიოთეკა

(დასხდებიან. რაიბულ ნამდვილი ვაშკაცო მალაღობა
არწივის ცხვირი. რუხი თვალები ოდნავ ცისფერი
ელვარებით. მზიულა—შავგვრემანი. სუფთა პრო-
ფილი. მწვანე თვალები. მინდია მარტო ლამარას
უცქერს შემკრთალი.)

ზვიადა. გაჩაღდეს ლხინი!

ნადირა. აყოვდეს ღრეობა!

გიგი. ჯიხვის რქები!

ქავთარ. ცხენს ხედნა უნდა მაღიმაღ.

აღერსი ქორთა გოგოსა.

სიმღერა წითელ ნუნუას —

ცვარი არ დაიზოგოსა.

1 ბიჭი. სიმღერა! სიმღერა!

2 ბიჭი. ვისია ქალი ლამაზი.

მომღერალნი. „ვისია ვისია ქალი ლამაზი ვისია..

ჩვენია ჩვენია ქალი ლამაზი ჩვენია“...

3 ბიჭი. შესხმა! ხოტბა!

4 ბიჭი. ხოტბა ლამაზი ქალისა!

ხმები. გიგი! გიგი! გიგი!

გიგი. თუ რო ტყუილ ვთქო—ვირისხო:

ბარმა მიმიღოს მთამ არა.

ალი ვნახოდი წითლაზე

შიშველ პერანგის ამარა.

ვაქებ თორღვანის მკლავებსა—

მაუტაცნია ლამარა.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქავთარ. ჰაი-ჰაი გიგი!

ზვიადა. მართალ თქვი გიგი!

მანგია. მარჯვედ იტყოდ გიგი!

1 ბიჭი. შესხმას როკვაც უნდა!

ქავთარ. ცხენს — ხედნა. გოგოს — ალერსი.

სიმღერა — ქარვის ღვინოსა.

სამივეს როკვა შაჰფერის —

კაცმა რო მაილხინოსა..

2 ბიჭი. როკვა. როკვა.

3 ბიჭი. სამაია. სამაია.

4 ბიჭი. როკვა სამაია.

ქავთარ. აბა დაიწყეთ.

ხმები. ლამარაც! ლამარაც! ლამარაც!

(ცეკვავენ ხუთნი ქალნი. მათ შორის ლამარა მეხუთეა. უკრავენ „სამაიას“. მინდია გაგიყებით უცქერს. ოთხნი შეჩერდებიან. ცეკვავს მარტო ლამარა. მინდია უახლოვდება შემოლილივით. უეცრად წაიძრობს საკრავს და მთელს სახეს ლამარას მიუშვერს. ლამარა იცნობს. იკივლებს. მინდია შესძახებს — თითქო თავის თავს თორღვაის ადარებსო. ქალები ხელში აიყვანენ გულწასულ ლამარას და კუთხეში დაასვენებენ.)

მინდია. გაახუროდით ხმიები

ფანდურისა და დაირის.

ვისაც უნახავს კვლავ ნახოს

თვალეები მინდოდაურის.

(კიდევ უფრო გაძოწვევით უმზერს ლამარას. თორღვაი გადმოიჭრება. ხელი ხმალის ტარზე აქვს. სიჩუმე.)



ეროვნული
ბიბლიოთეკა

თორღვაი. მინდია!

მინდია. თორღვაი!

თორღვაი. გაგიჟდი?!

მინდია. კაცის მასხია მეც ხორცი.

კაცის მიღვია პირია.

ლამაზმა მეც რო დამისროს—

განა რა გასაკვირია.

(თორღვაი აპირებს ხმალის ამოღებას)

თორღვაი. შე...

(ამ დროს მოსხლტება რაიბულ და შეუტევს შვილს)

რაიბულ. მე ჯერ არ ვიცი ცდუნება

ჩემი დაშნა და ფარისა.

სახელ მიქვიან რაიბულ

მინდოდაურის გვარისა.

თორღვაი. მამაე!

რაიბულ. მზით არი გახელებულნი

ყოველი სისხლის წვეთია.

დედალი ვეფხი გორდაით

მკერდამდე გამიკვეთია.

თორღვაი. ცეცხლია ჩემი კუნთებიც

ისე ვით მქვია თორღვაი.

რაიბულ. მინდიაც ჩემი შვილია.

აქ არა გარგებს ბორგვაი.

(ამ სიტყვებზე მინდიას ცრემლები წამოუვა. იწმინდავს ცრემლებს სახელოთი. რაიბულ ხელს მოხვევს და გაიყვანს. თორღვაი უკან ბრუნდება. უახლოვდება ლამარას. ლამარა რაღაცას ჰბოდავს.)

ლამარა. ის... ის... შენ... შენ...

თორღვაი. თვალმაქცია.. მოჩვენებაა..



ლამარა. გული მიწუხს.

თორღვაი. წავიდეთ.

(თორღვაისა და მზიულას გაჰყავთ ლამარა) **სული**

1 ბიჭი. აი სერი.

2 ბიჭი. მინდიასაც შეყვარებია.

3 ბიჭი. გახსოვს ხრამის პირას?!
ბიჭი

4 ბიჭი. თურმე თორღვაი ყოფილა.

ბიჭები. ჰა—ჰა—ჰა—ჰა—ჰა.

ქალები. რას იცინით?!

მანგია. ლხინს სიცილი ამშვენებს..

1 ბიჭი. ღრეობა! ღრეობა!

2 ბიჭი. ქეიფი ჯიხვებით!

ხმები. მანგია! მანგია! მანგია!

მანგია. ამთავად საწყალ მინდიას

ბედი წასული ჰქონია.

რომ აიღეწა ლამარაც

მისთვის ატირდა მგონია.

ჯიხვის რქა იყოს ავსილი—

ნაღვლი რა მოსაგონია.

3 ბიჭი. აი სიტყვა.

4 ბიჭი. აი ქეიფი.

ნადირა. აი ლხინი.

(შემოვარდება ლაგაზ)

ლაგაზ. ვაჟა მოდის. ვაჟა.

(შემოდის ვაჟა. წამოდგებიან.)

ყველა. ვაჟაუ! ვაჟაუ! ვაჟაუ!

ვაჟა. სიმარჯე ხევსურთ!

ყველა. ფშავსაც სიმარჯე!

ვაჟა. ფშავ. ხევსურ. თუშ.

კახ. ქართ. იმერ.

გურ. მეგრ. სოან,
შვილნია საქართველოს!
სიმარჯე ყველას!

ყველა. შვილნია საქართველოს!
სიმარჯე ყველას!
(დასხდებიან)



ქავთარ. ზვიადა! შესახვედრი! ვაჟაური!
ზვიადა. მენაც გაჰმკვეთა ვაშკაცი
ჩარგალელ გოგოს ცქერამა.
ბიჭთან უნებურ წამკილის
მაღალმა ყირმიზ ყელამა.
ხმალდახმალ მაჰვეკალ თორღვაი
აღარ მიმილოს კერამა.

ხმები. ჰაი. ჰაი. ჰაი.

ზვიადა. გავიჭერ მინდორს ნადირი
თხემნი გარდაველე მთისანი.
ჩანჩქერს თავზედან გამოსჩან
ნაყარნი მაღალ რქისანი,
ირემი დავკოდ საბრალო
წვეთნი ისხმიან მზისანი.

ხმები. ჰაი. ჰაი. ჰაი.

ზვიადა. რა ვიცოდ თუ რო ჯონქაის
მფარველ ყოფილა გივარგი.
დატეხილ რქების ტოტებზე
სანთელ ყოილად მივარგო.
რად მინდა სოფლად ყიალი
თუ კაცი აღარ ვივარგე.

ხმები. ჰაი. ჰაი. ჰაი.

ზვიადა. შენ ჩემო მთაო ნისლოან
ვაჰმე რო გავხდი საშარო.

ქართველ მიქვიან სახელი
ხახმატო ცუდსა მაშორე.
დედავ იგულვე მუდამქამ
მფარველად ჩემთვის ლაშარი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხმები. ჰაი. ჰაი. ჰაი.

ზვიადა. მენაც მიწოვავ ძუძუი
ფშავის იტყვიან მწიფისა.
ხარ ვიყო ნაიალალარ
ბულრაობს რქენა იცისა.
ვზელვიდე რქებით ნახნავენს
სამშობლოვ შენი მიწისა.

ხმები. ჰაი. ჰაი. ჰაი.

(ქავთარ მიართმევს ვაჟას ჯიხვს)

ქავთარ. დაგვლოცე ვაჟავ!

1 ბიჭი. შაირი გვითხარ!

2 ბიჭი. შაირი გვითხარ!

ვაჟა. ჩემი მეგობარი გეტყვით.

3 ბიჭი. ვინა?

ვაჟა. ლაგაზ.

ლაგაზ. მე აქ ვერ ვიტყვ.

4 ბიჭი. შენა სთქვი ვაჟა.

ყველა. ვაჟაუ. ვაჟაუ. ვაჟაუ.

ვაჟა. რომელ ვთქვა?

ლაგაზ. ფშავლის წერილი დედას.

ვაჟა. „გულ-მკერდიც აგიყოვდება,
დედაო, ია-ვარდითა,—

თვალებს ნუ ითხრი ცრემლითა,

გულს ნუ ისერავ დარდითა.

ვინც დავიჭერნით,—გამოვრჩით,

კიდევ ცოცხლები დავრჩითა.



ხვალ ისევ ომში გვიწვევენ,
 გაკვირვებულნი გარჯითა.
 თამარ დედოფლის ბარტყების
 გულოვანობით, მაჯითა.
ვცდილობთ, რომ საქართველოსა
ვეშველოთ ჩვენი ხარჯითა.
 სამშობლოს ბედნიერება
 არ გვსურს ვიყიდოთ ვალითა,
 ნაღდს ვაძლევთ ჯანს და სიცოცხლეს,—
 ნამუსი დავიცავითა!..
რუსეთში მყოფი ვნატრულობ
სამშობლო ვნახო თვალითა.
 ერთი რამ უნდა გავუწყო,
 გაკვირვებულვართ ამითა:
როცა ომი გვაქვს ქართველის ჯარს,
ნათელი გვიძღვის ღამითა;
კაცი-რამ ლურჯ-ცხენიანი,
ამოღებულის ხმალითა,
 მალლიდან თავზე დაგვბრუნავს
 ტურფა სახით და ტანითა.
სახე აქვს შავად მოცული
მას დიდის კაეშანითა.
 ეს ჩვენი ჩუმი მფარველი
 ლაშარის ჯვარად ვსცანიითა...“

Handwritten note:
 ამჟამად
 ტყვე

უველა ვაჟაუ. ვაჟაუ. ვაჟაუ.
ვაჟა. „როცა მისწყდება თოფის ხმა
 და ზარბაზნების გრიალი,
 გრძნობები დამიყუჩდება,
 არ მესმის ბრძოლის ზრიალი,
 ფიქრით შინა ვარ... საჩეჩლის



ეროვნული
ბიბლიოთეკა

კბილების მესმის წკრიალი.
 გიციქერ, მატყლსა სჩეჩ, ფარტენას
 ცრემლი გისველებს ტიალი!..
 ეგ ხო ჩემ საჩოხედ გინდა...
 ნაკურთხი დედის ცრემლითა—
 არ გაიჭრება მახვილით,
 არ დაიწვება ცეცხლითა...
 რა დიდი ლამე გასულა,
 შენ კი სძილ — ფხიზლობ კერაზე.
 ეგ შენი გლოვა უფალმა,
 ვთხოვ, შაგიცვალოს მღერაზე.

მშვიდობით... დაჰკრეს საყვირსა.
 კვლავ მეძახიან ბრძოლაზე:
 საჩხუბრად, სისხლის საღვრელად
 თოფის, ზარბაზნის სროლაზე...
 მხნედ მივალ ვერვინ დაგცინებს
 ლაჩარის შვილის ყოლაზე...”

ყველა. ვაჟაუ.. ვაჟაუ.. ვაჟაუ..

ვაჟაუ.. ვაჟაუ.. ვაჟაუ..

ბიჭები. შენ კი გენაცვალეთ თქმაშია..

ლაგაზ. მეც გენაცვალე თქმაშია..

(ლაგაზ მუხლებზე ეხვევა ვაჟას. ვაჟა აიტაცებს ლაგაზს ხელში და ჰკოცნის.)

ქავთარ. როკვა ვაჟასათვის.. როკვა..

ხმალის როკვა...

ხმები. ხმალის როკვა.. ხმალის როკვა..

(იწყება ცეკვა. უკრავს საზანდარი: არ ჩანს. გამოდის ხუთი მოცეკვავე. ერთი პირიდან მიცეკვავენ მეორე პირზე. რიგობით. მწკრივით. ხმლებ-

ამოღებულნი. გაივლიან თუ არა ერთ გაელას — მო-
ლხინეთ აეფარებიან. როცა მეხუთე მღვა ბოლო-
ში — უეცრად შემოვარდებიან მოამბენი კივილით.)

მოამბენი. ქისტები! ქისტები! ქისტები!

ქისტები თავს დაესხენ სოფლებს!

(ამ ძახილზე მასსა ატორტმანდება. ამოფარებულნი
კვლავ გამოვარდებიან გაშიშვლებული ხმლებით.)

ყველა. ხმალი! ხმალი! ხმალი!



ქართული
წიგლმწიქი

კამარა მეოთხე

მოკმედი:

ლამარა.

მზიულა.

მაია.

რაიბულ.

თორღვაი.

მინდია.

ქავთარ.

მურთაზ.

ლაგაზ

მთის კალთა. გვერდით ხევი: „ადგილის დედა“.
მზის დახრა. დიდი მუხები.

მაია. შენი თვალები ხვლიკის ფერია — ლამარა:
ცხელ ქვიშაზე მხეს რო ეფიცება.

მზიულა. შენ თვალებს ხანდახან ნისლი გადაუვლის:
მაშინ შენი თვალები ლურჯდებიან — ლამარა.

მაია. რისადაა შენი მზერა ამღვრეულ?!
მზიულა. რისადაა შენი მზერა ნალვლიან?!
ლამარა. არ ვიც..

მაია. შენი თმები ლბილია — ლამარა:

ვით მოლი დილაით დანამული.

მზიულა. მზის ტევრი უფროა მაშინ მეწამულ —
როცა შენ თმებს ესხურების: ლამარა.

მაია. შვიდ ნაწნავს ჩამაუშვებს ჩემი ხელი შენ ზეკრდზე:
ჩემი თითები ჰკრთიან გახარებით.

მზიულა. დღეს რო თმებს გიწნავდი — ლამარა
ჩემ თითებს სევდა დაენთის.

მაია. რისად ხარ დაწუხებულ?

მზიულა. რისად ხარ მოწყენილ?

ლამარა. არ ვიც..

მაია. მზის დახედნებისას
ხის ძირას რო გაივლი — ლამარა:
თითქო წყაროს ტანი იყო მაშინ...

მზიულა. წყაროს ტანს შენსას
მეწამული ნაკადულები ავსებენ.

მაია. რისად ხარ მოსხლეტილ?

მზიულა. რისად ხარ მოკვეთილ?

ლამარა. არ ვიც..

მაია. შენი ტანი ქვისაგან არს ნაკვეთი თეთრისგან.

მზიულა. დედაი სტავრას გიქსოვს აბრაშუმისას.

ლამარა. არა მსურს..

მაია. შენი ტერფები კოცნაა მოლისათვის.

მზიულა. თორღვაი ქოშებს მაგიტანს
ოქრომკედით აქარგულს.

ლამარა. არა მსურს..

მაია. გუნება თუ შაგეცვალა — ლამარა!

მზიულა. გუნება თუ გადაგიბრუნდა — ლამარა!

ლამარა. შამეცვალა.. გადამიბრუნდა..

მაია. რაია შენს თავს — ლამარა?!

მზიულა. რაი მაგივიდა — ლამარა?!

ლამარა. თოლები ამღვრეულა სისხლით.

თმები შაღებულა სისხლით.



ტანი ამაველებულა სისხლის წყაროში.

ტერფები აწითლულა სისხლიან მოღებში.

მაია. ლამარა! რასა თქოდ?!

მზიულა. ლამარა! რასა იტყვ?!

ლამარა. მურთაზ აზბევს ხევსურთ.

თორღვაი არბევს ქისტეთს.

მაია. ლამარა!

მზიულა. ლამარა!

ლამარა. გულ გაჰკვეთის ორად..

სულ არივებს..

მაია. გული გამთელდების..

მზიულა. სული დანელდების..

ლამარა. ჩემ მიწამ არ მიმიღოს.

თქვენ მიწა სხოა.

მაია. ჩვენი მიწა გითვისებდეს.

მზიულა. ჩვენი მიწა მკერდს გადაგიშლიდეს.

ლამარა. ქისტეთ გაშაულა..

ხევსურეთ გაღუშულა..

მაია. ჩვენი დედული ლბილია:

რძიან ძუძუებს გაწოვებს..

მზიულა. ჩვენი მამული კეთილია:

ყოილებ გასუნთქებს..

მაია. გათრობდეს სუნნელით!

მზიულა. გავსებდეს სურვებით!

მაია. აგიყოვებდეს ფიქრებს!

მზიულა. დაგიყანებდეს ნდომებს!

ლამარა. სურვაი აირივნეს! ფიქრი გაცუდდის!

მაია. დედულ შაითვისებ ჩვენსას.

მზიულა. მამულ შაითვისებს ჩვენი.

ლამარა. გუნება შამეცვალა.

მაია. წავიყვანთ „ადგილის დედასთან“.

მზიულა. „ადგილის დედაი“ გულში ჩაგიხუტებს.

ლამარა. თქვენ „ადგილის დედაი“ სხოა: უცხო

მაია. მაგიალერსებს..

მზიულა. დაგატკობს..

ლამარა. მაია! დაი ხარ ჩემი!

მზიულა! დაი ხარ ჩემი!

მაია. ჩვენი დაი ხარ—ლამარა!

მზიულა. ჩვენი სძალი ხარ—ლამარა!

ლამარა. ვიქნე თქვენ დაი! ვიქნე თქვენ სძალ!

წავიდეთ „ადგილის დედასთან“!

მაია. იქ ირმის რქებია რტონაყარი.

მზიულა. ირმის რქებზე სანთელ ავანთოდიით!

მაია. იქ დიდი მუხაა სქელფოთლიანი.

მზიულა. მუხის ფოთოლს შუბლზე გადაგისვამთ.

მაია. იქ წყაროა წვივის-სიმსხო.

მზიულა. წყაროს ნაკადით თმებს დაგისველებთ.

მაია. იქ ხარობს ოლენა.

იქ ყოის ოდელა.

მზიულა. ოლენას გავსრესთ: სუნნელისათვის.

ოდელას დავწვავთ: სუნნელისათვის.

მაია. ტერფებზე წავისვამთ.

მზიულა. ფეხებს დაგირბილებთ.

ლამარა. მაია! მზიულა!

თქვენი სძალ ვარ! თქვენი დაი ვარ!

წავიდეთ „ადგილის დედასთან“..

მაია. წავიდეთ..

მზიულა. წავიდეთ.. წავიდეთ..

(მიდიან სიღრმეში „ადგილის დედისაკენ“. მარჯვ-

ნით შემოდის რაიბულ. მარცხნით—მინდია: თვალი
აღარ აქვს ახვეული.)

რაიბულ. მინდი!

მინდია. რაიბულ!

რაიბულ. რისად გაქვ სახე განაცრებულ?

მინდია. არეულ ვარ.

რაიბულ. ლამარაც აირია.

მინდია. რა მაუვიდა?

რაიბულ. არ ვიცი. შეშლილსა ჰგავ.

მინდია. სადაა ლამარა?

რაიბულ. აქეთკე წამოვიდა.

მინდია. მარტო?

რაიბულ. მაია წამაჰყვა.. მზიულაც წამაჰყვა..

მინდია. ნეტავ საით იქნება?

რაიბულ. „ადგილის დედასთან“ თუ წაიყვანეს..

მინდია. რისად?

რაიბულ. „ადგილის დედა“ დააცხრობს..

მინდია. დააცხრობს.. დააცხრობს..

რაიბულ. შენცა დააცხრობდი—მინდი.

გულმხილველ ხარ..

მინდია. უძლო ვარ ამ ხან..

რაიბულ. სახე განაცრებულ გაქვ..

მინდია. დამკოყრებია სული..

ამრევია გუნება..

ვარსკლავ უნდო გახდის...


ყოილ დაჩუმდის..

ბალახ არას მეტყოდის..

რაიბულ. შენ ლამარა გაწვალეbs—მინდი.

მინდია. მაწვალეbs.

რაიბულ. როდის წაგერთო ძალა?





ქართველთა
წიგლმწერთა
კავშირის
სამსახურის
სამსახური

მინდია. არ მახსოვს..

რაიბულ. მაინც?.

მინდია. პირველხან მგონი ქავთართან—
ლამარა რო მაიტაცეს.

რაიბულ. შემდეგ?

მინდია. ღრეობაში.. როცა გავხელდი..

რაიბულ. ცოდნა თუ მთლათ დაჰკარგე!?

მინდია. არა. დრო და დრო ისევ მოდის.

რაიბულ. შენ ლამარა გაწვალებს — მინდი..

მინდია. მაწვალებს.. მაწვალებს..

(მოისმის ძახილი)

ხმა. რაიბულ! რაიბულ! რაიბულ!

რაიბულ. ქავთარის ხმას ჰგავ..

კიდენ თუ ჩამაეშვენ ქისტები!

მინდია. არ აქვ ბოლო..

რაიბულ. ცუდი დაგვმართის..

მინდია. რა ეშველება?!

რაიბულ. ავია სიყვარულ.. ✓

მინდია. თუ სილამაზე?!

რაიბულ. ორნივე...

მინდი! გამთელდი! საჭიროა!

(რაიბულ მიდის)

მინდია. უსახელო! მაღალო!

რისად მამცილდი?! რისად დამტოვე?!

რისად დამაგდე ვით წისქვილი სათავეგადაგდებული?!

რისად დამცალე ვით ამამშრალი წყარო კლდეების?!

რისად ამიმღვრიე მზერა ნათელი?!

რისად დამიბანდე გული უცხო სურვებით?!

მოვედ ჩემთან — ვით დცდა შვილთან.

მოვედ ჩემთან დედაი —



და ძუძუს ნუ დამაკლებ!
გავხსნი გულს ვით წყურვალ თასს:
ჩაეშვი გულში ვით ყვავილოვანი ნაკადული,
ნუ იქნებ მტერთავი ჩემი!
ამიქარვე გული!
ამიხილე თვალი!
ვიყო კვლავ შენი მსახური!
(ბრუნდებიან: ლამარა, მაია, მზიულა.)

მაია. მინდი!

მზიულა. მინდი!

მინდია. ლამარა!

ლამარა. აქ რაი გინდების!

მინდია. შენი ხილვა..

მაია. ლამარა „ადგილის დედამ“ იხილა..

მზიულა. ლამარა „ადგილის დედამ“ გულში ჩაიკრა..

ლამარა. აქ რაი გინდების?

მინდია. შენი ხილვა!

(მაია და მზიულა შეკრთებიან)

მაია. შენი საბმური სადაა—ლამარა?!

მზიულა. ლაფნის საბმური—

წყაროს თავზედან რო გავიკეთეთ?!

ლამარა. არ ვიც.. თუ დაიკარგა..

მაია. არა.. არა.. ცუდია..

მზიულა. ნუმც იქნების!

ლამარა. ცუდ ნიშან თუა...

(მაია და მზიულა გარბიან)

მაია. გავიქცეთ!

მზიულა. მოვნახოთ!

(პაუზა)

ლამარა. აქ რაი გინდების?

მინდია. შენი ხილვა..



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლამარა. როგორც მაშინ..

მინდია. როგორც მაშინ— ხრამის პირას..

ლამარა. სურვაი დიდი გაქვ?

მინდია. უფრო მეტი ვიდრე მაშინ..

ლამარა. რისად არ მამიტაც?

მინდია. ძალა მამიტაცე...

(ლამარა შეკრთება. საჯდომ ქვაზე მიჯდება.)

ლამარა. ეხლა რაი გინდების?

მინდია. შენი ხილვა?!

ლამარა. მარტო ხილვა?!

მინდია. შენ თორღვაისი ხარ..

მე რტომოკვეთილ ვარ..

ლამარა. გულ.. ორად ჰფეთქს..

ამოხეთქას აპირებს..

მინდია. აშლილ ხარ—ლამარა!

ლამარა. ჭირი მაქვ უკუზრნებელ..

მინდია. შენთვის ვლოცულობ მიწას..

ლამარა. ჩემთვის?!

მინდია. რომ ახალისდე ვით მთის ნაკადული..

ლამარა. მისანს გიხმობენ—მინდი..

მინდია. არის ბალახი..

დიდფურცლოვანი..

ათას წელში ერთხელ აყოვდება..

ერთს ნაყოფს გამაიღებს..

მწიფე ნაყოფი გასკდების—

სუნნელი უცხო გამოსდინდების..

ვეძებ მის ღეროს..

ვეძებ მის ფურცელს..

ვეძებ მის სუნნელს..

რომ დააღბოს შენი ურვა..

რომ შიანელოს შენი ნაღვლი..

რომ იყო მზეგძელ..

ლამარა, ვერ ნახავ..

ათას წელში ერთხელ აყოვდება..

მინდია, ლამარაც ათას წელში ერთხელ იბადება..

გუმან მაქვ.. ვნახავ..

ლამარა, მინდი! მინდი!

შენი სიტყვა ტკბილია! ✓

მინდია, მზის დახედნებისას —

როცა მზე არეს დაჰკაფავს —

სოროდან გლინვით მოსრილობს გველი მეწამული..

ნაყარ რქას მიწის ბელტს აუქნევს..

ხახას გააღებს.. მზეს შაუშვერს —

თითქო წყურფალი..

მივა შავ ქვასთან..

ქვას ამოაგდებს პირიდან:

მზის სხივზე შეათამაშებს

და ქვაზე დააგდებს..

ხუთოს ეძახიან:

ის მზის თვალია — ჯადოთი სავსე..

ველი მზის დახედნებას..

ველი მეწამულ გველს..

ვეძებ ხუთოს.

ვეძებ მზისთვალს..

მოგიტანდე.. გადაგისომდე..

თვალეზე გადაგავლებდე..

შუბლს გაგიგრილებდე..

თმებს დაგიზილავდე..

რომ გაჰქრეს შენი წუხილი..

რომ ახდეს შენი სურვა..





ლამარა. მინდი! შენი სიტყვა ტკბილია..

მინდია. უფრო ტკბილია შენი ხილვა..

ლამარა. მზეი სისხლით თვრება..

მინდია. ხუთო მზის სისხლია..

ლამარა. სუ სისხლი.. ყოლგან სისხლი..

(ლამარა ისევ მოეშვება: თითქო გული წაუვიდა.)

მინდია. ლამარა! ლამარა!

ლამარა. გულ! გულ!

ორად ფეთქს.. ამოვარდნას აპირებს..

(ჩნდება თორღვაი.. ლამარას სიტყვები ესმის. დაი-
კლაკნება გველნაკბენივით.)

თორღვაი. ამ მოხეტესათვის თუ ფეთქს?!

ლამარა. თორღვაი! კიდენ ავი სიტყვა?!

(თორღვაი ეხლა მინდიას მიმართავს)

თორღვაი. იქნებ შენთვის აპირებს ამოვარდნას —
ლამარას გული?!

მინდია. ნუ უბნობ თორღვაი ცუდს!

თორღვაი. ცუდი ხარ! გლახა ხარ!

მინდია. გლახ ვიყო! ცუდ არა ვარ!

თორღვაი. როგორ ჰბედავ?!

მინდია. რას?

თორღვაი. შენ იცი: რას!

მინდია. გული თავისით იქცევა!

თორღვაი. მე ვუბძანებ!

ლამარა. არ დაგემორჩილოს...

თორღვაი. შენც მაგას იტყოდ?!

ლამარა. ფიცხელ ხარ. მაიეც გონი..

თორღვაი. ჩემი გონი ჩემი სისხლია.. ✓

მინდია. შანელგბდი სისხლსა..

თორღვაი. სისხლი შანელდის — ვაშკაც გაჰქრეს..



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლამარა. სუ სისხლი.. ყოლგან სისხლი..

თორღვაი. როცა მე ვიბადებოდ—

მზე სისხლიან იყო..

ლამარა. სისხლით მღებავ მე—თორღვაი..

თორღვაი. ჩემი სიყვარულ სისხლია..

ხმალზე ვლოკავ მას..

მინდია. კეთილ არ დაგაყრის..

თორღვაი. შენ კიდენ როშავ?!

(შემოდინან: რაიბულ და ჭავთარ)

რაიბულ. შენ კიდენ ყვირი?!

თორღვაი. სისხლ მიშრობს ეს გლაზა..

(უთითებს მინდიაზე)

რაიბულ. რისად უნობ ცუდ სიტყვას?!

ჭავთარ. თორღვაი! არ გეკადრების..

თორღვაი. დაკოდილ ნადირს ეკადრების..

რაიბულ. დამშვიდდი..

თორღვაი. ძარღვი მქონდეს დაკუტებულ?!

რაიბულ. რბევა მატულობს..

ჭავთარ. უკეთურება იზდება..

თორღვაი. იმატოს! იზარდოს!

რაიბულ. რას ამბობ — თორღვაი?!

ჭავთარ. რა გემართება?!

(შემოვარდებიან მაია და მზიულა. მოაქვთ ლათნის საბმური.)

მაია. აი შენი საბმური—ლამარა!

მზიულა. შენი ლათნის საბმური!

(შემოართყამენ. წელზე)

მაია. დიდ მუხასთან ვნახეთ..

მზიულა. „ადგილის დედა“ არ გაგირისხდება..

ლამარა. რისხვა სხოგანაცაა..

მაია. წამოდი ყოილების საკრეფად..



მზიულა. ყოილებ გელიან—ლამარა..

ლამარა. ყოილებშიაც სისხლია..

მაია. წავიდეთ!

მზიულა. წავიდეთ! წავიდეთ!

ლამარა. წავიდეთ! მინდიაც წამავიდეს!

(თორღვაის რისხვა აიყვანს)

თორღვაი. ლამარა!

ლამარა. კიდენ შური! კიდენ იჭვი!

თორღვაი. ლამარა!

ლამარა. შენ მამიტაც..

სისხლს რისად აშურვებ?!

(მაია მზიულა ლამარა და მინდია გადიან)

რაიბულ. რას შლეგობ?!

ქავთარ. რა გემართება?!

თორღვაი. მზე ირევა..

ქისტი მოდის..

იჩო რისხდება..

მურთაზ იქადის..

ნადირა მაჰკლეს..

ლამარა აშლილია..

მინდია ჩემულობს..

თორღვაი გავარდნილა..

რაიბულ. როგორ?!

ქავთარ. შენ გავარდნილ ხარ?!

თორღვაი. როგორც ნადირი თოფნაკრავი..

რაიბულ. შენ?!

თორღვაი. ვერვის ვეკარებ..

ვერვინ მითვისებს..

სუ განზე და განზე..

გულ დიდობს..



რისხვა გორდება..

ხმალ ილესება..

მაჯა ელის..

რაიბულ. გონს მოდი!

ქავთარ. სისხლი შაანელე!

თორღვაი. ვიქცე მუხლმოკვეცილ!

გავხდე მკლავგაცუდებულ!

რაიბულ. ხალხი ირბევა..

თორღვაი. მოკლული მეგობარი?!

ქავთარ. თემი იღუბება..

თორღვაი. დაიღუბოს..

რაიბულ. თორღვაი!!

ქავთარ. შაიშალე?!

თორღვაი. დაიღუბოს! დაიღუბოს!

ოღონ ვიქნე შაურიგებელ: სიკვდილამდე!

რაიბულ. თემის გარე სოცოცხლე არაა..

ქავთარ. თემის გარე არც სიკვდილია..

თორღვაი. ვიქნე გარეშე თემისა!..

რაიბულ. როგორც მხეც?!

ქავთარ. როგორ ნადირ?!

თორღვაი. როგორც მხეც! როგორც ნადირ!

რაიბულ. რას შლეგობ?!

ქავთარ. თუ გაგიჟდი?!

თორღვაი. ვიყო შლეგ! ვიყო გიჟ!

ოღონდ დავტყვირო ნადირას მკვლელის ძვალი:

როგორც ტყვეს ხარი ახალ აღერდს იალაღზე..

რაიბულ. დაჰკარგე ხსრვა გვარის?!

თორღვაი. ჩემი გვარი სისხლია მარტო!

ქავთარ. დაჰკარგე გონი თემის?!

თორღვაი. ჩემი გონი გორდაა გველისპარული.



რაიბულ. დასცხრი თორღვაი!

ქავთარ. შინელდი თორღვაი!

(შემოვარდება ლაგაზ)

ლაგაზ. იქისკე რალაც რეულობაა..

ქავთარ. რა მოხდა?

ლაგაზ. ქისტებმა ჯოგი წაასხეს..

თორღვაი. აი კიდენ..

რაიბულ. კიდენ უბედურება..

ლაგაზ. ზოგი ქისტი აქესკეც წამოსულა..

თორღვაი. დავხვდებით.

ქავთარ. წავიდეთ—რაიბულ სახლისკე..

რაიბულ. თორღვაი! შენ აქ დარჩები..

მაგრად იყავ..

(რაიბულ და ქავთარ მარჯვნივ მიდიან. მათ მიჰყვება ლაგაზ.)

თორღვაი. ერთხელაც იქნეს—შავხვდეთ:

რომ ბოლო მაელოს ამ დავას..

ან მე—ან ის!

(ამ დროს მარცხნივ გადმოიჭრება მურთაზ. ხმალი გაშიშვლებული აქვს. შეჰსძახებს.)

მურთაზ. ან მე—ან შენ!

(თორღვაი ავარდება. იძრობს ხმალს.)

თორღვაი. უფრო —შენ!

მურთაზ. შენ თვითონ!

თორღვაი. ვავსწორდეთ!

მურთაზ. ვავსწორდეთ!

(შეგებმიან. ამ ხმაურზე მოვარდებიან ქალები. მინდია ც მათთანაა.)

ლაგაზ. თორღვაი! რასა იქმე!



მურთაზ რას სჩადი?!

მიშველეთ!!

შაჩერდით!!

(უეცრად მურთაზს ფეხი აუცდება და თორღვაის მოქნეული ხმალი მოხვდება. ეს ისე სწრაფად ხდება: რომ ძნელია გამოცნობა — ფეხაცდენით ისარგებლა თორღვაიმ თუ თორღვაის მოქნევის შემდეგ აუცდა დაჭრილს მურთაზს ფეხი. მურთაზ დაეცემა. ლამარა დაეარდება.)

მურთაზ. მამკლეს! შენტვის! ლამარა!

ლამარა. მურთაზ! ძმაილა! საყორელ!

(მურთაზ მოჰკიდებს ხელს ლამარას თმებს და ცხელ სისხლში ამოავლებს.)

მურთაზ. შენი თმები! ჩემი სისხლი!

ახსონდეს შენ თმებს ჩემი სისხლი!

(აკოცებს ლამარას, მურთაზ კვდება. ლამარა ჰკივის.)

ლამარა. მურთაზ! ძმაილა! მურთაზ!

(შემდეგ შეკივლებს თორღვაის)

ლამარა. თორღვაი! მკვლელო! მკვლელო!

თორღვაი. მკვლელი ვიქეც შენთვის — ლამარა..

ლამარა. სისხლის საყორელ..

თორღვაი. ჩემ სიყვარულ სისხლაა.. სისხლია..

(მოსწყდება და ხმალაწვდილი გადავარდება. ლამარა ისევ ძმასთან დავარდება. ქვითინებს. ქალები თავს ევლებიან. მინდია განზე დგას. ქალები ჩურჩულით.)

მაია. ლამარა!

მზიულა. ლამარა! ლამარა!



ეროვნული
ბიბლიოთეკა

კამარა მხუთე

მოქმედნი:

იჩო.

ჰიდდირ.

ლანიშ.

ქისტები: სამი.

რაიბულ.

თორღვაი.

ლამარა.

ქავთარ.

თორღვაის მეგობრები: გიგი. მანგია.

ზვიადა. ლეგაი.

ლაგაზ.

იჩოს სახლი. დიდი ხე. ნაშუადღევი. ჰიდდირ ყალიონს წევს: ზის განზე—თითქო ნირვანაში გადასული. იჩო ერთს ადვილს ვერ ჩერდება: დადის იქით-აქეთ ალესილი. ორი ქისტი. თვალს ადევნებენ იჩოს. იჩოს ღელვა მათზეც გადადის.

იჩო. რა უფრო ტკბილია?!

1 ქისტი. ახლად დაწერილ მტევნებ.

იჩო. არა, მე სხო მინდა.

რა უფრო ტკბილია?!

2 ქისტი. ბაჯადლო ოქრო.

იჩო. არა, მე სხო მინდა.

რა უფრო ტკბილია?!



1 ქისტი. სიყორულ ლამაზ ქალაის.

იჩო. არა. მე სხო მინდა.

რა უფრო ტკბილია?!

2 ქისტი. ხემწიფება. ძალაი.

იჩო. არა. მე სხო მინდა.

რა უფრო ტკბილია?!

ჰიდდირ. რას ბორგაე—იჩო?!

ტკბილია სიცოცხლე.

ტკბილია ყველაი.

იჩო. არა. არა. მე სხო მინდა.

რა უფრო ტკბილია?!

ჰიდდირ. იჩო! შე სისხლ გაწუხებს.

იჩო. სისხლ მახჩობს.

ჰიდდირ. ლამარაი მაიტაცეს. მურთაზ მაჰკლეს.

იჩო. ლამარაი მამტაცეს. მურთაზ მამიკლეს.

სისხლ მახჩობს.

1 ქისტი. ავია სისხლი.

2 ქისტი. ავია სისხლი.

იჩო. სისხლია-სისხლია ტკბილი.

ჰიდდირ. იჩო! შენ სულ სისხლზე ფიქრობ.

იჩო. ტკბილია სისხლი. უტკბილესია სისხლის აღება.

1 ქისტი. შურისგება ტკბილია.

2 ქისტი. შურისგება ტკბილია.

ჰიდდირ. ნუ ახსენებთ ხშირად სისხლს.

იჩო. მაშ გამიცუდდეს მკლავი ვაშკაცს?!

ჰიდდირ. კაი მკლავ უსისხლოთაც მკლავია.

იჩო. მაშა გაეხდე ოჩანი?!

ჰიდდირ. იჩო: თმენა ცდის ვაშკაცსა.

იჩო. მაშა ქალებურ ვიტრო—



ან ქალებურ ვუჯდე საჩეჩელასა?!

ვალლაჰ! ილლა აზიმ!..

1 ქისტ. ვაშკაცის საქმე ხმალია.

2 ქისტ. ვაშკაცს გამოცდის ხმალი.

იჩო. ხმლები დალესეთ. მზად იყავთ.

ჰიდდირ. იჩო. ნუ ხარ ფიცხელ.

იჩო. სისხლი მახრობს.

ჰიდდირ. შენსას არ იშლი, არ ვარგა.

იჩო. მინდა დავთვრე კაცის სისხლით.

ჰიდდირ. იჩო. მაიეც გონი.

იჩო. არ მინდა გონი. გონი ცივია.

რისხვა. რისხვა ცხელი. შადედებული რისხვა.

არა. გუბე-გამსქდარი რისხვა.

ვალლაჰ! ილლა აზიმ!..

ჰიდდირ. იჩო. იჩო. რა გემართება?!

იჩო. მინდა შევხვდე თორღვაის ცხენდაცხენ.

მინდა ავხავლდე ნაიალაღარ ხარივით.

ვალლაჰ! ილლა აზიმ!..

1 ქისტ. სისხლი.

2 ქისტ. სისხლის აღება.

ჰიდდირ. რა მოგდით!?

იჩო. ჯერ ვერვინ მაპრივა იჩო.

იჩო მაგარია. იჩო ძალნაყარია.

ავდევდები. ავჭიხვინდები.

ვეკვთები ცხენდაცხენ თორღვაის.

ორად გავაპობ მურთაზის მკვლელს.

ჯერ თვით ვალოკებ თავისსავე სისხლსა.

მერე შე შევსვამ მის სისხლსა ჯამებით.

ბევრჯერ უტეხავ იჩოს ხევსური.

ვალლაჰ! ილლა აზიმ!..



ჰიდღირ. შენ გაგერშილ ხარ.

იჩო. შენ თითონ გამგერზე.

ჰიდღირ. მე გაგერზე. მართალია, ახლა იკმარა.

იჩო. ვიკმარო?!- ლამარაის გატაცება?! მუროთის შავლა?!

1 ქისტო. არა. არა.

2 ქისტო. სისხლს აღება უნდა.

ჰიდღირ. არ გვაქვსთ ხსოვია.

ხევსურ არ არის მარტოი.

ფშავ. თუშ. ხევსურ.

კახ. ქართ. იმერ.

გურ. მეგრ. სოან.

ქართველებია ყველაი.

დაგძლევენ შემდეგ.

იჩო. შემდეგ?! შემდეგ მძლიონ.

შემდეგ ჩემი სხეულ გადაუგდონ სოკებს —

რომ სივსივით სომდენ

პირსისხლიანნი ქისტისა სისხლსა.

მანამდე კი... მე ვსომდე მტრისა სისხლს.

მანამდე მე ვხვრებდე თორღვაის სისხლს.

ვალლაჰ! ილლა აზიმ.

ჰიდღირ. ნუ ჩადი ავ საქმეს.

(შემოდის ლანიშ)

ლანიშ. ხევთან ხევსურნი შავნიშნეთ.

მგონი დღეს თავდასხმას აპირებენ.

იჩო. ხელავ ჰიდღირ! დღესაც თავს გვესხმიან.

ჰიდღირ. შენაც ხომ ბევრჯერ დაარბიე.

იჩო. კიდენ ბევრს დაარბევს იჩო.

წადი ლანიშ. უთხარ; ხევის ყელი გაამაგრონ.

(ლანიშ გადის)

ჰიდღირ. ცუდ რამ დატრიალდება.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

იჩო. დატრიალდეს. დატრიალდეს.

ჰილდირ მაიეც გონი—იჩო. არაა გვიან.

იჩო. არა. არა. არა.

ნაოხარ ვიქეც—ნაოხარ,
მინდა სისხლ ცეცხლიანი.

მინდა დავეცე მტერს:

მინდა დავანარცხო მისი ჯარი—

ხეიოდეს იგი ვით მდინარე.

თავს მოჰვეკვით მტერს--

რომ მარგილზე ჩამოვაგო იგი.

(ლანიშ ბრუნდება)

ლანიშ. ვილაც გკითხულობს—მამავ.

იჩო. ვინ არის?!

ლანიშ. უცხოა. ხევსურ ჰგავ...

იჩო. ხევსურ?.. მაუშვი..

(ლანიშ გადის)

1 ქისტო. ხევსურს რა უნდა ამბან?!

2 ქისტო. სისხლის გამაშვება თუ უნდა.

ჰილდირ. თავ შაიკავით უცხოსთან.

იჩო. თავშეკაცებული რისხვა უფრო ხმიანია.

(შემოდის ლანიშ. მასთან მინდია.)

მინდია. სალამი დიდს იჩოს.

სალამი დიდს ჰილდირს.

(იჩო განზეა და მინდიას არ ხედავს)

იჩო. ვინა ხარ?!

მინდია. თორღვაი! შვილი რაიბულის..

იჩო. თორღვაი!? თორღვაი!?

(იჩო თითქო ქვად გადაიქცა. ყველანი გასუდრულია.

იჩოს უნდა სთქვას რალაც—ვერ ამბობს. სიჩუმე.

იჩოს თითქო სისხლი გაუჩერდა: რისხვაა გაყინული.

მძიმე პაუზა.. შემდეგ ჰილდირ არღვევს სიჩუმეს.)



საქართველოს
მწიგნობართა კავშირი

ჭიღღირ. *შენ მაიტაც ლამარაი?

მინდია. მე მავეიტაცე.

ჭიღღირ. შან მაჰკალ მურთაზ?

მინდია. მე შამომაკვდა.

ჭიღღირ. რაისთვის მოხველ?!

მინდია. სისხლმა მამიყვანა.

(გაქვავებულ იჩოს სიტყვა „სისხლი“ ექრება მახვილად. შეირხევა. ატორტმანდება. მოსხლტება. მივარდება სახლის კედელს. ჩამოგლეჯს ხმალს. მოტრი-აღდება. აშიშვლებს ხმალს. მოვარდება. შესძახებს მინდიას.)

იჩო. სისხლ! ხმალ!

მიწას გაეკარ!

(მინდია სომნამბულასავითაა. ხმალს იძრობს. გააგ-დებას განზე. თვითონ მიწაზე დავარდება.)

მინდია. მზად ვარ.

(იჩო გადახტება. უახლოვდება. სახე მარტო რისხვია. თვალები—მარტო სისხლი. ამართა ხმალი. ეს არის—უნდა მოუქნიოს. უეცრად მარჯვენა ცახცახს იწყებს. შემდეგ—მთელი ტანი. მოსხლეტილი დაუვარდება თავთან მინდიას. ქვითინებს. ბოლოს შუბლზე ჰკოცნის. შიში. გაოცება. ჭიღღირ წამოდგება.)

ჭიღღირ. რა მოხდა?!

1 ქისტო. არ ვიც.

2 ქისტო. არ ვიც.

ლანიშ. შამავ. იჩო.

ჭიღღირ. იჩო. შვილო.

(იჩო დგება. კითხვებზე პასუხს არ აძლევს. მიმართავს მინდიას.)



იჩო. წამოდექ.

(მინდია ღგება გაოცებული)

მინდია. მე მზადა ვარ.

იჩო. როს მოსაკლავად ხმალს გიმიზნებდი —
შენს სახეზე ერთი კუნთიც არ შარხეულა.

მინდია. მე მზადა ვარ.

იჩო. როს მოსაკლავად ხმალს გიმიზნებდი —
შენს სახეზე ერთი კუნთიც არ შარეულა.

მინდია. მე მზადა ვარ.

იჩო. ამიერ შვილი ხარ ჩემი.

მინდია. შვილი.. შენი.. იჩოსი.. შვილი..

იჩო. დიახ: შვილი იჩოსი.

(მინდიას ცრემლი მოუვა. ჰიდდირ აყვანილია სიხარულისგან.)

მინდია. ყოილნი.. კვლავ ვხედავ ყოილებს..

მთაიც გულს იბრუნებს.. ველიც..

ჰიდდირ. იჩო! მეც ვპოვე შვილი..

ვიხილე შვილი. ვიხილე იჩო.

(ჰკოცნის)

ლანიშ. მამავ! საყორელ მამავ!

(მუხლებზე ეხვევა ჰვედავარდნილი)

1 ქისტო. იჩო რაინდია!

2 ქისტო. იჩო გმირია!

მინდია. ყოილნი.. კვლავ ვხედავ ყოილებს.

მთაიც გულს იბრუნებს.. ველიც..

ჰიდდირ. მიხარის.. მიხარის.. მიხარის იჩო! სახჩი შამიყვანე.

მეტი არ ძალმიძს.. მიხარის!..

(იჩო მოკიდებს ხელს ჰიდდირს. მიჰყავს. მიმართავს ქისტებს.)

იჩო. მასაფენეთ. გაართეთ.



1 ქისტო. იქნების.

2 ქისტო. იქნების..

(პაუზა. ჰიდდირ და იჩო აღარ სჩანან.)

ლანიშ. ლამარაი როგორაა?

მინდია. კარგადაა..

ლანიშ. კიდენ ლამაზია?

მინდია. ლამაზია.. ძალიან ლამაზია..

ლანიშ. თმები ისენ წითელი აქვ?

მინდია. უფრო ზვინდს მიუგავ..

ლანიშ. თვალები ისენ ლურჯი აქვ?

მინდია. უფრო ნისლს მიუგავ ცისფერს..

1 ქისტო. აღარ იქნება სისხლის აღება.

2 ქისტო. აღარ იქნება შურისგება.

მინდია. კარგი იქნება..

ლანიშ. კარგი იქნება..

(შემოვარდება მესამე ქისტო)

3 ქისტო. იჩო სადაა?

ლანიშ. სახჩია. რა გინდა?!

3 ქისტო. ხევსურნი მაადგენ ხევის ყელს
გადმოლახვას აპირებენ.

1 ქისტო. მაადგენ! თორღვაი ხომ ჩვენთანაა.

(მესამე ქისტო უნდოთ გადახედს მინდიას)

3 ქისტო. რას უბნობ!? რომელი თორღვაი?!

2 ქისტო. აი თორღვაი. რაიბულის შვილი.

3 ქისტო. გადაირიეთ?! შაიშალეთ?!

თორღვაი ხევსურებშია.

გმინავს გაშმაგებით..

(გაოცება. ყველანი მინდიას უცქერენ. მინდია სდუმს.

ლანიშ მიმართავს.)

ლანიშ. თქვი მართალ.

მინდია. მე თორღვაი არა ვარ.

(კიდევ მეტი გაოცება)

უველა. ჰა! შე გამცემო! შე ვერაგო!

გინდოდ თვალეზ აგეხვია ჩვენთვის?!

მინდია. მე გამცემ არა ვარ!

მე ვერაგ არა ვარ!

მე თორღვაი არა ვარ!

მაგრამ მინც მართალ ვარ..

1 ქისტო. შე ვერაგო! შე ვერაგო!

გსურდა თვალეზ აგეხვია ჩვენთვის..

2 ქისტო. შევკრათ ბაწრით ვერაგ.

ლანიშ! წადი—იჩოს დაუძახე..

(მეგარდებიან. შეჰკრავენ ბაწრით. ლანიშ გაიქცევა მამის მოსაყვანად. სანამ შეკვრას ვაათავებდენ—იჩო უკვე მრსხანს კარებში. მოდის აჩქარებით. უკან ლანიშ მოსდევს.)

იჩო. რა მოხდა? რა ამბავია?

3 ქისტო. ხევსურნი ხევის ყელს აწყდებიან.

ხევის გადმოლახვას აპირებენ.

იჩო. მერე? ჩვენებიც ხომ იქ არიან?

3 ქისტო. იქ არიან: ყელს იცავენ.

იჩო. მერე? თორღვაი რათ შაჰკარით.

1 ქისტო. თორღვაი ეს არ არის.

2 ქისტო. თორღვაი იქ ყოფილა.

3 ქისტო. თორღვაი იქ იბრძვის რდსხვიანი.

იჩო. ნამდვილია?!


3 ქისტო. მე თვითონ ვნახე..


(იჩო შეიბხევა. მიმართავს მინდიას.)

იჩო. მართალია. შენ რას იტყვი?

მინდია. მართალია: მე თორღვაი არა ვარ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა





იჩო. სახე რომ პირდაპირ თორღვაისი გაქვ?!
მინდია. მე და თორღვაის ვერ გვარჩევენ ერთმანეთისაგან.

იჩო. ნათესავ თუ ხარ მისი?
მინდია. თორღვაის მამა ჩემი მამაცაა.

დედა კი სხვაი.

იჩო. რაისთვის მოხველ თორღვაის სახელით?
მინდია. ლამარა მეც შამიყვარდა.

იჩო. შენ ხომ არ მაგიტაცნია?!
მინდია. გულს შამიჯდა თავიდანვე.

იჩო. ლამარა ხომ თორღვაიმ ჩაიგდო!?
მინდია. ლამარა ეხლა ცალკეა.

იჩო. სადაა?!
მინდია. „ადგილის დედის“ გვერდით.

იჩო. რისთვისაა ცალკე?!
მინდია. თორღვაის მურთაზ შამოაკვდა.

იჩო. ლამარას ხომ უყვარს თორღვაი?!
მინდია. უყვარს... მაგრამ თორღვაი ძმის მკვლელია..

იჩო. მერე?!
მინდია. ძმის მკვლელთან ლამარას არ ჰსურს ერთყოფა.

იჩო. შვილო! შვილო! ლამარა!
მე შენ გირისხებოდ..

(იჩო მოღბება.. პაუზა.. შემდეგ მიმართავს ქისტებს
ბძანებით..)

იჩო. ეხლავ დასჭერით ბაწრები!
ათავისუფლეთ...

(ქისტები ათავისუფლებენ მინდიას)

მინდია. ლამარა ავად არის.. წვეს..
იჩო. ავად არის?!
ლანიშ. წვეს?! ლამარა!?

მინდია. არა უშავს.. ჩვენი ქალები უვლიან..

იჩო. რა დაემართა?!

მინდია. ძმას დასტირის.. თორღვაის ვგავარდნას..

იჩო. მით არის ავად?!

მინდია. ამდენ სისხლს დასტირის დაქცეულს..

ეშინის კიდენ:

ან შენ რო მაჰკლა თორღვაი—

ან შენ რო მაგკლას თორღვაიმ...

მაშინ ისიც მაკვდება...

იჩო. მერე შენ?!

მინდია. მე თორღვაის ვგავარ..

იჩო. შენი სახელი?!

მინდია. მინდის მეძახიან.

იჩო. შენ რა გინდოდა?!

მინდია. ლამარას ხსნაი..

იჩო. როგორ?!

მინდია. მე თორღვაის ვგავარ..

იჩო. მერე?!

მინდია. მე მამკლავდი..

სისხლ ჩემზე აიღებდ..

შენ დამშვიდდებოდ..

იჩო. მინდი! მინდი!

მინდია. ლამარაც მორჩებოდა!

იჩო. მინდი! მინდი! ნათელ ხარ!

შვილ ხარ ჩემი ღვიძლი.

შვილ ხარ ჩემო პირმშო..

(იჩო გადაეხვევა მინდიას და ჰკოცნის)

ლანიშ. ძმავი ხარ ჩემი—მინდი!

მურთაზის მაგიერი ძმავი ხარ!

(მუხლებს მკლავებსა ხვევს ჩვედავარდნილი)

1 კისტე, იჩო ნათელია!



2 ქისტო. იჩო მაღალია!

3 ქისტო. იჩო რაინდია!

(იჩო აყვანილია გახარებით.. პაუზა.. უეცრად მი-
მართავს მესამე ქისტს..)

იჩო. წადი ეხლავ! აცნობე ჩვენებს!

გადაეც ჩემი სახელით: ხევის კარი გააღონ!
მავიდენ ჩვენთან.

სადაც იჩოა—იქ მინდიაა..

(მესამე ქისტო გადის)

ლანიშ. მინდი! ჩვენთან დარჩები!

მინდია. დავრჩები.

იჩო. ლანიშ! შადი ბებრაისთან.

გააფრთხილე: თუ ხმაურ იქნეს—არ შეეშინდეს.
(ლანიშ მიდის)

მინდია. კარგი ბიჭია..

იჩო. კარგ მყავ—ლანიშ..

მინდია. მურთაზ მეცოდება..

იჩო. ამიერ შენა ხარ მურთაზ..

მინდია. მაინც...

(იჩო მიმართავს ქისტებს)

იჩო. წადით! გზა არავინ გადაუჭრას!

არ შეუტოოს არავინ..

დღეს ჩემი დაბადებაა.. ახალი..

მინდია. დიდ სულ გაქვ—იჩო..

იჩო. ძალიან გიყორს ლამარა?!

მინდია. უკვე გითხარ.

იჩო. თორღვაი როგორ გიცქერს?!

მინდია. ფიცხია.. ეშურვის..

იჩო. ძოღან ყოილს ახსენებდი..

მინდია. ყოილ მიყვარს..



იჩო. ყოილ მეც მიყვარს.
მინდია. მე მიყვარს სხონაირ.

იჩო. როგორა?!

მინდია. ყოილს ენა აქვ..

ყოველ გაჩენილს ენა აქვ:
ხეს. ქვას. ბალახს. ვარსკვლავს.
მიყვარს ყოველი..
მესმის ყველაი..

იჩო. მისან ყოფილხარ!

მინდია. აგრე მიხნობენ..

იჩო. ძოღან რო ყოილ ახსენე?..

მინდია. კვლავ დავინახე..

კვლავ მესმა მისი..

(მოისმის დიდი ხმაური. იჩოს ეზოს ასკდებიან ხევ-სურნი: რაიბულ. თორღვაი. ქავთარ. ზვიადა. ლეგაი. მანგია. გიგი. სხვები. ყველა—იარაღასხმული. აწვდილი ხმლები. მოვარდებიან სამი მხრით. ყველაზე ბოლოს შუაგულიდან ჩნდება თორღვაი: მთლად რისხვა. იჩო დინჯათ დგას. მინდია ლანდუჩად.)

თორღვაი. სიკვდილი იჩოს!

ზვიადა. სიკვდილი იჩოს!

მანგია. სიკვდილი! სიკვდილი!

თადია. სიკვდილი იჩოს!

გიგი. სიკვდილი!

ყველა. სიკვდილი! სიკვდილი!

(შეძახილის დროს თანდათან ფითრდებიან—რადგან იჩო არ იძვრის. მარცხნით დგას რაიბულ. მარჯვენით—ქავთარ. ყველაზე უფრო მათ მოიცავთ ოცე-ბა. თორღვაის თითქო წყინს—რომ შებმა არაა: მზა-

დაა სასიკვდილო გამეტებისათვის. გაოცებას გინკ-
ვეთს მინდია.)

მინდია. იჩო არ გეომებათ.

შახედეთ იჩოს—უიარალოს!

(ეხლა სხვა გაოცება. პაუზა. მინდიას სიტყვებს სხვა
მხრით მიჰყავთ ხევესურთა გუმანი.)

თორღვაი. რას როშავ შე გამცემლო!?

ზვიადა. შენ რა გინდა აქ?!

მანგია. შენ მოლალატე ხარ!

თადია. სიკვდილი მაგას!

გიგი. სიკვდილი! სიკვდილი!

(იჩო ავარდება)

იჩო. შაჩერდით ხევესურნო!

მინდი მართალია!

(იჩოს სიტყვები ვერ აჩერებენ)

მინდია. მე იჩოს სახლში ვარ..

თორღვაი. ვერაგი! გამცემი!

ზვიადა. შენ გადახვედ მტრის მხარეს..

მანგია. შენ გასტეხე თემის ადათი..

თადია. შენ შაჰლახე გვარი..

გიგი. სიკვდილი! სიკვდილი!

(ამ სიტყვებზე რაიბულ და ქავთარ წამოიწევენ)

მინდია. არა ვარ ვერაგ.

არა ვარ გამცემ.


არ გამიტეხავ ადათი თემის..

არ შაჰმილახავ პატივი გვარის..

ქავთარ. მაშ რაი ჰქენ შე უბედურო?!

მინდია. მე კაც ვარ..

იჩო. მინდი არ არის უბედურ!





ბედნიერ ხართ ხევსურნო!
ასეთი შვილ გყოლიათ!
თორღვაი. მტერი ლაპარაკობს..
რაიბულ. შაჩერდი თორღვაი!
იჩო. იჩო ლაპარაკობს! ძველი იჩო!
რაიბულ. უცნაურია! უცნაური!
იჩო: მინდომ თავი გაჰსწირა..
თორღვაი. ვისთვის?!
იჩო. თქვენთვის!
ქავთარ. როგორ?!
იჩო. მინდი მავიდა თორღვაის სახელით..
უნდა სისხლი ამელო..
უნდა მამეკლა..
მაწამებდა სისხლი მურთაზის..
რაიბულ. მერე?!
ყველა. მერე?! მერე?!
იჩო. ავმართე ხმალი..
რაიბულ. მერე?!
იჩო. უნდა ორად გაშეპო..
ქავთარ. მერე?!
იჩო. ეს არი: მინდოდა ხმალის მაქნევა—
რო უეცრად რალაც ვიხილე..
ყველა. რაი?! რა იხილე?!
იჩო. როს ხმალს უმიზნებდი—
მის სახეზე ერთი კუნთიც არ შარხეულა..
(ყველა—ჩურჩულდით)
ყველა. მინდი! მინდი! მინდი!
იჩო. ხმალ გან'ზე გავაგდე..
რაიბულ. მინდიაგ! შვილო!
იჩო. ეხლა შვილად მყავ მინდი..



ყველა. მინდი.. მინდი.. მინდი..

რაიბულ. ზვიადა —გაიქე!

აცნობე ლამარას..

ამწამსავე..

აცნობე ყოველი..

(ზვიადა გავარდება)

ქავთარ. მინდი ნათელია..

რაიბულ. მინდი ნათელია..

(მოღის ჰიდდირ. მასთან ლანიშ.)

ყველა. ჰიდდირ! ჰიდდირ! ჰიდდირ!

(თავს იხრიან. ჰიდდირ აძლევს სალამის ნიშანს ხე-სურთ. ლანიშ გაოცებულია. მივარდება იჩოსთან.)

ლანიშ. რაი ამბავია?! რაი მოხდა?!

(შემოვარდება ლაგაზ. ოფლშია გაწურული.)

ქავთარ. ლაგაზ! ლაგაზ!

ლაგაზ. ლამარა ავარდა ლოგინიდან..

ქალებმა ვერ დააკავეს..

ლამარა გამაიქცა..

შავრას მიაჭენებს..

ცხენდაცხენ გამაყყევ..

სუ მამასა და ძმას გაიძახის..

იჩო. შვილო საყორელ..

ლაგაზ. საცაა—მოვა..

სუ აშლილია..

(შემოვა ლამარა. მოჰყავს ზვიადას. ხელით აკავებს: აკანკალებულია. იჩო მივარდება. გადაეხვევიან. ჰიდდირიც გაიწევს. ლანიშიც.)

ლამარა. მამავ! მამავ!

იჩო. ლამარა! საყორელ შვილო!



ლამარა. ჰიდდირ! ლანიშ!

იჩო. ლამარა! შვილო!

ლამარა. ყოველ ვიც: ზვიადამ მითხრა..

(გული უწუხს)

იჩო. ლამარა! შვილო!

ლამარა. თორღვაი! მინდი!

(თორღვაი და მინდი უახლოვდებიან)

იჩო. ლამარა!

რაიბულ. ლამარა!

ლამარა. ხელ გაუწოდეთ.. ერთიმეორეს..

(რაიბულ და იჩო ხელს ჩასჭიდებენ ერთმანეთს)

თორღვაი. ლამარა!

მინდია. ლამარა!

ლამარა. მოდით.. ჩემთან..

(მარჯვენა მკლავს მოხვევს მინდიას კისერზე. მარცხენას—თორღვაის.)

ლამარა. აკოცეთ!

(თორღვაი და მინდია ერთიმეორეს ჰკოცნიან. ლამარა დაიზნიქება. თვალებს ხუჭავს.)

თორღვაი. ლამარა! რა გემართება?

მინდია. ლამარა! რა ხდება?!

ყველა. ლამარა! ლამარა!

ლამარა. ძილ.. სიზმარ.. სიყორულ..

(ჩაიკეცება. კვდება. რაიბულ და იჩო ხელგადაჭდობით ლამარას ფეხებს აზიდვენ. თორღვაისა და მინდიას ლამარას მკლავები აქვთ გადაჭდობილი. ამსახვით მიჰყავთ. ნათელი სიჩუმე. მღერიან ყველანი ძველის ძველ ჰიმნს — „ლილეს“ მზგავსს.)

ყველა. დილლაო დილლარა
 დილლაო ჰო ჰო ჰო..
 დილლანა დილლანო
 ლამარაა ლამარაა..
 დილლაი დილლარა
 დელა დილანა ჰოოო..
 ლამარა ლამარა
 ლამარა დილლაო ჰოო..
 დელა დილლეო დაააა.



ტფილისი 1924 წ.
 ნომბრის 14—20





ქართული
 ენციკლოპედია

ს ა რ ჩ ე ვ ი:

ლონდა	83
მაღმეტრემ	47
ლამარა	139

წიგნიანი და სხვა მძეგნი
 კონსერვაციაშია და დამა-

მ. მუხომიძე

19²²/₈ - 359.



ქართველი
წიგლიერთა
კავშირი

გრიგოლ რობაქიძის
ჩამოყალიბებული ნაწარები:

- ლონდა. დრამატული სიმფონია. (მხკობი)
- კარდუ. ტრაგედია სამ მოქმედებად.
- ვალუტჩევი. ფანტასმაგორია ექვს სურათად. (მხკობი)
- ლაშარა. პასტორალი ხუთ კამარად. (მხკობი)
- ხალიბის რქინები. ლირიკა.
- მზის ნარქენი. ლირიკა.
- პატმოსის რიტმები. ლირიკა.
- ხორალები. ლირიკა.
- გველის პერანები. რომანი.
- ქართველი ავტორები. კრიტიკა.
- უცხოელი ავტორები. შენიშვნები.
- პორტრეტები. რუსულად.
- ლიტერატურული პრობლემები.
- ესთეტიური ნათესები.
- „ქართლის ცხოვრების“ ეტიმოლოგია.



ეროვნული
ბიბლიოთეკა